

კახეთს კიდევ ერთხელ გადაუარა ქარიშხალმა
A4



ლუკაშენკომ შეიძლება ისროლოს
B1



ფეხბურთელს აუდიტორია ჰაერივით სჭირდება
B5

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 12 მაისი, 2005 წელი. №104 (964)

ფასი 50 თეთრი

# მთავრობა კმაყოფილია

კონდოლიზა რაისი კი წელს კიდევ ერთხელ ჩამოვა

საქართველოს მთავრობა და პირადად პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი საქართველოში აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტის შედეგებით კმაყოფილები არიან. როგორც მთავრობის სხდომაზე ზურაბ ნოღაიდელმა განაცხადა, ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი ვიზიტი, რომელიც საერთაშორისო არენაზე საქართველოს ავტორიტეტის ამაღლებას დიდად შეუწყობს ხელს.

პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ჯორჯ ბუშის ვიზიტის საორგანიზაციო შტაბის ხელმძღვანელობას, ასევე - კულტურის სამინისტროს და თბილისის მერიას, აღნიშნული ვიზიტის დროს გაწეული კოლოსალური სამუშაოებისთვის.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი მიმდინარე წელს საქართველოს კიდევ ერთხელ ეწვევა. ამის შესახებ მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა განუცხადა.

ზურაბიშვილის თქმით, კონდოლიზა რაისი თბილისს 2005 წლის მეორე ნახევარში ეწვევა და საქართველოს ხელისუფლებასთან ოფიციალურ შეხვედრებს გამართავს.

საგარეო საქმეთა მინისტრის ინფორმაციით, საქართველოში ჩამოსვლის სურვილი თავად კონდოლიზა რაისმა გამოთქვა. ამერიკის სახელმწიფო მდივნის ვიზიტამდე კი შეერთებულ შტატებს სალომე ზურაბიშვილი ეწვევა. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის ვიზიტი, სავარაუდოდ, მაისის ბოლოს გაიმართება.

*24 საათი*



ინტერპრესი

*კონდოლიზა რაისი, ოფიცილური მოლაპარაკებებისთვის, 2005 წლის მეორე ნახევარში ეწვევა საქართველოს.*

# ბიბლიოთეკა კარავში

ქუთაისის ბრიგადის 22-ე ბატალიონი გერბით, ამბიციებით და ექსკლუზიური პროგრამით

ვერიკო თევზაძე

ქუთაისის მე-2 ბრიგადის 22-ე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი კრწანისის ეროვნულ სასწავლო ცენტრში მოსამზადებელ ეტაპს გადის. აგვისტოდან მათ ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად გაწვრთნიან. ბატალიონის შტაბის უფროსი ლეიტენანტი მიხეილ გეჯაძე საჯაროდ აცხადებს: ერთი წლის შემდეგ ჩვენი სახით საზოგადოება დაინახავს, რომ საქართველოში ჯარში სამსახური და სამხედრო საქმე ნამდვილად პრესტიჟულია.

შეიძლება ითქვას, რომ საამისოდ შანსი არსებობს. სამთვიან საბრძოლო მომზადებას ბატალიონი ექსკლუზიური პროგრამის მიხედვით გადის. პროგრამა ბატალიონის მესვეურებმა შეიმუშავეს და იგი ბრიგადის ხელმძღვანელობამ დაამტკიცა. ჯარისკაცები აქ ისეთ დისციპლინებს ეუფლებიან, როგორიცაა "საერთაშორისო კონფლიქტების სამართალი", "სამხედრო დანაშაული", "ადამიანების მართვა ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ" და სხვა.

გუშინ, ჩვენს სტუმრობამდე რამდენიმე საათით ადრე, საველე პირობებში მყოფ ბატალიონში ბიბლიოთეკა გაიხსნა. აქ, ჯერჯერობით,

გაგრძელება A3 გვერდზე



*ქუთაისის 22-ე ბატალიონი ერთ წელიწადში ქართული ჯარის ჭეშმარიტი პრესტიჟის დემონსტრირებას გეგმავს.*

## საზოგადოება

ტრიბუნები იშლება, გზების შეკეთება გრძელდება



მუშებს ოთხი დღე მაინც დასჭირდებათ თავისუფლების მოედანზე აღმართული კონსტრუქციების დასაშლელად.
A4

## სამართალი

ინციდენტი თავისუფლების მოედანზე პროვოკაციად შეფასდა



ჯორჯ ბუშის გამოსვლაზე დასწრების მსურველთა დიდმა ნაკადმა არეულობა გამოიწვია – დაცვა იძულებული გახდა, მოეხსნა მეტალის ნივთების აღმომჩენი დეტექტორები. ალბათ, სწორედ ამის გამო გახდა შესაძლებელი ხელყუმბარის მოედანზე შეტანა
A5

იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.
A7-A8

## ამინდი

| | 12/05 | 13 /05 | 14 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 30 | 26 |
| ქუთაისი | 29 | 31 | 20 |
| ბათუმი | 26 | 27 | 17 |
| სოხუმი | 28 | 25 | 17 |
| ფოთი | 28 | 29 | 18 |
| თელავი | 27 | 28 | 26 |
| ზუგდიდი | 31 | 31 | 20 |
| გორი | 22 | 25 | 20 |
| ახმეტა | 27 | 29 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8225 |
| ევრო | 2.3450 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.4383 |
| რუბლი | 0.0655 |

| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | თვალსაზრისი | B6 |
| სამართალი | A7 | თვალსაზრისი | B7 |
| პროექტი | A8 | სხვადასხვა | B8 |

## ბუშის ვიზიტი საქართველოში

კვლავ მთავარი თემა უცხოურ პრესაში

*ბუშის საქართველოში ვიზიტის თემა გუშინ მედიის ყურადღების ცენტრში კვლავაც რჩებოდა. მართალია, დილით გავრცელებულმა ინფორმაციამ თბილისში, თავისუფლების მოედანზე ბუშის გამოსვლის დროს ხელყუმბარის აღმოჩენის შესახებ აქცენტები საკმაოდ შეცვალა, მაგრამ, ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ გუშინ, ისევე როგორც გუშინწინ, უცხოური პრესის ერთ-ერთი მთავარი თემა აშშ-ს ლიდერის საქართველოში ვიზიტი იყო. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ - თუ დასავლურ პრესაში, ჯერჯერობით, ნაკლებად იყო მოვლენის გაანალიზების მცდელობა, - უქმეებიდან "დაბრუნებული" რუსული პრესა მომხდარის ანალიზზე ამახვილებდა ყურადღებას.*

**თბილისში ყოფნისა და თავისუფლების მოედანზე სიტყვით გამოსვლის დროს, აშშ-ს პრეზიდენტს საფრთხე არ ემუქრებოდა, - განუცხადა გუშინ ჟურნალისტებს თეთრი სახლის პრეს-მდივანმა სკოტ მაკლელანმა. "საიდუმლო სამსახური და გამოძიების ფედერალური ბიურო განაგრძობს მომხდარის ანალიზს," - მხოლოდ ეს თქვა მაკლელანმა და არ დაუკონკრეტებია ინციდენტის შესახებ რაიმე დეტალები. მას შემდეგ, რაც ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ამერიკის სპეცსამსახურები საკუთარ გამოძიებას აწარმოებენ მომხდარის თაობაზე, პრეზიდენტის პრეს-მდივანმა განაცხადა,**

გაგრძელება A5 გვერდზე

## მთავრობა და პარლამენტი სტიქიის "სტომაქის ამოვსებას" იწყებენ

გიორგი ასანიშვილი

უქმე დღეებმა და ჯორჯ ბუშის საქართველოში სტუმრობით გამოწვეულმა იძულებითმა დასვენებამ პარლამენტი სამუშაო რიტმიდან ამოაგდო. აქამდე ვერ მოხერხდა 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების პროექტის განხილვა, რომელიც მთავრობამ პარლამენტში ერთი კვირის წინათ წარადგინა.

ამ ცვლილებების მიხედვით, აღმასრულებელი ხელისუფლება, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, 20 მილიონი ლარის გამოყოფას გეგმავს. აქედან, 15 მილიონი გზებისა და ხიდების შეკეთებას მოხმარდება, 5 მილიონი კი დაზარალებულ მოსახლეობას კომპენსაციების სახით მიეცემა.

პარლამენტართა სურვილია, რომ რაც შეიძლება სწრაფად მივიდეს ეს თანხები "დანიშნულების ადგილამდე". ამიტომ, გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე აუცილებლად გასავლელი პროცედურების საკმაოდ შემჭიდროებული გრაფიკი დამტკიცდა: საბიუჯეტო ცვლილებების პროექტის განხილვა კომიტეტებში დღეიდან დაიწყება და 17 მაისს პლენარულ სხდომაზე დასრულდება, რის შემდეგაც დეპუტატების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები მთავრობას გადაეგზავნება. 19 მაისს მინისტრთა კაბინეტი ბიუჯეტის შესწორებულ პროექტს კვლავ საკანონმდებლო ორგანოში დააბრუნებს, მეორე დღეს კი დოკუმენტი კენჭისყრაზე დადგება.

სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით, აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯებით პარლამენტის თავმჯდომარე მეტად კმაყოფილია.

გაგრძელება A2 გვერდზე

### საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება № 345

*2005 წლის 10 მაისი ქ. თბილისი*

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/წევრების კანდიდატურების შესარჩევად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. საქართველოს საარჩევნო კოდექსის 128[13] მუხლის შესაბამისად გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და 6 წევრის კანდიდატურის შესარჩევად.

2. კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (გ. უგულავა) შექმნას კონკურსის სამდივნო (მისამართი: 0134, ქ. თბილისი, პ. ინგოროყვას №7, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია).

3. საბუთები მიიღება კონკურსის გამოცხადებიდან 14 დღის განმავლობაში. თუ აღნიშნულ ვადაში არ მოხდება ერთ ვაკანსიაზე არანაკლებ ორი კანდიდატის წარდგენა, კონკურსი გრძელდება იმ ვადით, რომლის განმავლობაშიც მოხდება ერთ ვაკანსიაზე ორი კანდიდატის წარდგენა.

4. კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოს ქმედუნარიან მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელიც აკმაყოფილებს ამ განკარგულების მე-5 პუნქტისა და "საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მოთხოვნებს.

5. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატი შეიძლება იყოს უპარტიო, უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელიც თავისუფლად ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას, სარგებლობს საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით, აქვს არანაკლებ 3 წლის შრომითი გამოცდილება.

6. კონკურსის სამდივნოში წარდგენილ განცხადებაში მითითებული უნდა იყოს: კანდიდატის გვარი, სახელი, განათლება, სპეციალობა, სამეცნიერო ხარისხი (თუ აქვს), მისამართი (საქართველოს მოქალაქის პირადობისა და რეგისტრაციის მოწმობების შესაბამისად), სამუშაო ადგილი და თანამდებობა, საკონტაქტო მისამართი და ტელეფონის ნომერი (თუ აქვს). განცხადებას ხელს უნდა აწერდეს კანდიდატი და მას უნდა დაერთოს:

ა) კანდიდატის 2 ფოტოსურათი;

ბ) საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის (რეგისტრაციის მოწმობის) ქსეროასლი;

გ) უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ქსეროასლი;

დ) კანდიდატის შრომითი ბიოგრაფია და არჩევნებში მონაწილეობის გამოცდილების აღწერა (თუ აქვს ასეთი გამოცდილება).

7. განკარგულების შესრულების კონტროლი განახორციელოს საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (გ. უგულავა).

*მიხეილ სააკაშვილი*

# მთავრობა და პარლამენტი სტიქიის "სტომაქის ამოვსებას" იწყებენ

პირველი გვერდიდან

**"საქართველოში სტიქია ადრეც ყოფილა, მაგრამ მისი შედეგების სალიკვიდაციოდ მთავრობას ასე არასდროს უაქტიურია და ასეთი სოლიდური თანხების გამოყოფა არასდროს მომხდარა,"** - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე.

მადა ჭამაში მოდის: გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებს "გაახსენდათ", რომ წლების წინათ მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას დღემდე არავინ დახმარებია და საჩხერის, სიღნაღის რაიონების, აგრეთვე, თბილისის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი კვლავაც გაუსაძლის მდგომარეობაში იმყოფება. თუმცა, პარლამენტართა დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, მაინც საეჭვოა, რომ გასულ წლებში სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად მთავრობამ დღეს რაიმე სახსრები გაიღოს. საბიუჯეტო ცვლილებების შედეგად გამოყოფილი 20 მილიონი ლარი მხოლოდ ორიოდე კვირის წინათ წყალდიდობებისა და მეწყერის ჩამოწოლის შედეგად გამოწვეული ზარალის დაფარვას თუ გასწვდება.



ლევან ხერხეულიძის ფოტო

*მადა ჭამაში მოდის: გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებს "გაახსენდათ", რომ წლების წინათ მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოსახლეობას დღემდე არავინ დახმარებია.*

დეპუტატები მთავრობისთვის ფულის "დაყრევინებას" სხვა მიმართულებითაც ცდილობენ: კანონმდებლები, კერძოდ, მოითხოვენ, რომ გაზრდილი ბიუჯეტის კვალობაზე, ამოქმედდეს ის შეჩერებული მუხლები, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირებისთვის გარკვეულ პრივილეგიებს ითვალისწინებს.

ნინო ბურჯანაძის თქმით, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, შეჩერებული მუხლების ამოქმედებას პარლამენტარების სიზარმაცე უშლის ხელს, სინამდვილეში კი ვერაფრით ხერხდება, რომ აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთათვის მთავრობამ გარკვეული სახსრები გაიღოს. სპიკერი მოითხოვს, რომ ქვეყნის წინაშე დიდი დამსახურების მქონე ადამიანების მიმართ აღებული ვალდებულებები აღმასრულებელმა ხელისუფლებამ პირნათლად შეასრულოს.

# აფხაზური ენის მდგომარეობა პრობლემად რჩება

ზურაბ აფხაზავა
*სოხუმიდან*

პარლამენტის მეცნიერებისა და განათლების კომიტეტი ზედიზედ აწყობს გაფართოებულ თათბირებს, რომელთა მიზანიც აფხაზური ენის განვითარების შემდგომი პოლიტიკის განსაზღვრაა. ამ შეხვედრებში, დეპუტატების გარდა, ინტელიგენციის წარმომადგენლებიც მონაწილეობენ.

სახელმწიფო ენის როლის გაძლიერების სხვადასხვა პროგრამების თემა საკმაოდ აქტუალური იყო ორი წლის წინ, როდესაც ამ პროგრამებზე ინტელიგენცია და პარლამენტი აქტიურად მსჯელობდნენ. შემდგომში საზოგადოებრივი ინტერესი მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებს დაუკავშირდა და ენის საკითხი დაივიწყეს. ის, რომ პარლამენტში ამ საკითხის განხილვა განახლდა, პრობლემის რეანიმაციის დასტურია.

ამ თემისადმი მნიშვნელოვანი ინტერესის მიუხედავად, აფხაზური ენის განვითარების რაიმე ერთიანი კონცეფცია არ შემუშავებულა. არსებობდნენ მხოლოდ "მკაცრი" ან "რბილი" მიდგომის მომხრეები. ანუ, პირველნი საქმეთა წარმოების პირდაპირ აფხაზურ ენაზე გადაყვანას მოითხოვდნენ, რისთვისაც სახელმწიფო ჩინოვნიკებს და საბიუჯეტო სფეროს ყველა თანამშრომელს ვადა 2010 წლამდე უნდა მისცემოდა. მასმედიისაგან ისინი ითხოვდნენ, ინფორმაციის მოცულობის ნახევარზე არანაკლები აფხაზურ ენაზე გამოქვეყნებულიყო. მეორენი კი გამოდიოდნენ წინადადებით, ჯერ ენის შესწავლის პირობები შექმნილიყო, ხოლო შემდეგ მიეღოთ გადაწყვეტილება საქმეთა წარმოების სახელმწიფო ენაზე გადაყვანის თარიღის შესახებ.

ამჟამად პარლამენტში მიმდინარე შეხვედრები მოწმობს, რომ აფხაზურ ენასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იგივე დონეზე დარჩა. არსებობს ორი ბანაკი და ორი განსხვავებული მიდგომა, რეალური კონცეფციის შემუშავებაზე საუბარი კი ჯერ ნაადრევია.

დღეისათვის საზოგადოებაში აფხაზურ ენაზე ძალზე დაბალია მოთხოვნა. პირველ რიგში, იმიტომ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ნახევარზე მეტი ამ ენას არ ფლობს; და მეორე - განცხადებები, ენის შესწავლისთვის პირობების შექმნის შესახებ, მხოლოდ დეკლარაციებად დარჩა. სკოლებში სახელმწიფო ენის სწავლება საბჭოთა პროგრამებით მიმდინარეობს, რომლებიც, როგორც ჩანს, ენის სრულყოფილად შესწავლას არ გულისხმობს. აფხაზური ენის განვითარების ფონდმა ენის შესწავლის თანამედროვე მეთოდიკა შეიმუშავა. აქ გახსნილია კურსები, როგორც ბავშვებისათვის, ასევე მოზრდილთათვის. თუმცა, ფონდს იმის რესურსი არ გააჩნია, რომ მოსახლეობის სერიოზული ნაწილი მოიცვას.

აფხაზეთში უკვე მიღებულია კანონი "სახელმწიფო ენის შესახებ", სადაც, კერძოდ, მითითებულია, რომ 2010 წლისთვის ყველა დაწესებულებაში საქმეთა წარმოება სახელმწიფო ენაზე უნდა გადავიდეს. თუმცა, უკვე დღეს ნათელია, რომ რეალურად ეს შეუძლებელია.

იმის მიუხედავად, რომ აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ადამიანების რაოდენობა გაიზარდა, პარალელურად, რუსული ენის პოზიციების განმტკიცება მიმდინარეობს.

ჯერ ერთი, რუსული, კონსტიტუციის თანახმად, ოფიციალური ენაა. თანაც, რუსული ენის პოზიციების გაძლიერებას ხელს უწყობს აფხაზეთის ყოფნა რუსულ კულტურულ სივრცეში. აფხაზეთის მოსახლეობისათვის ძირითადი საინფორმაციო პროდუქტები რუსეთის ტელევიზია და რადიოა. გარდა ამისა, აფხაზეთი რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში იმყოფება. აფხაზური პრესის უდიდესი ნაწილიც რუსულენოვანია. განსაკუთრებით ეს დამოუკიდებელ პრესას ეხება, რომელიც დიდი ტირაჟებისთვის იბრძვის. ინფორმაციას აფხაზურ ენაზე, უმეტესად, სახელმწიფო ტელევიზია ავრცელებს. მაგრამ მისი ხარისხი საკმაოდ დაბალია. პროგრამების რაოდენობაც მცირეა.

უმაღლესი სასწავლებლები სპეციალისტებს, ძირითადად, რუსულ ენაზე ამზადებენ. აფხაზურ სკოლებშიც კი სწავლება მთლიანად აფხაზურ ენაზე მხოლოდ მეხუთე კლასამდეა. ერთადერთი საბავშვო სასწავლო დაწესებულება, სადაც ენის შესწავლა სათანადო დონეზეა, "ალფას" კერძო სკოლების ქსელია.

აფხაზური ენის როლის გაძლიერებით აფხაზური ინტელიგენციის დაინტერესების მიუხედავად, ჯერჯერობით, ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა. ასე რომ, გულუბრყვილობაა იმაზე ფიქრი, რომ უახლოეს პერსპექტივაში საზოგადოებაში მოთხოვნა აფხაზურ ენაზე შესამჩნევად გაიზრდება.

# ნახევარ მილიონს ორი ფირმა გაიყოფს

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ტენდერში გამარჯვებული ფირმები ქუთაისში საგზაო-სარემონტო სამუშაოებს უკვე შეუდგნენ. აგვისტოს ბოლომდე ქუთაისის რამდენიმე ქუჩაზე ფასადებიც უნდა შეკეთდეს.

ქუთაისის მერიის მიერ ფასადების შესაკეთებლად გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის სურვილი ოთხმა ქუთაისურმა და ორმა თბილისურმა ფირმამ გამოთქვა. აქედან, სამი ქუთაისური ფირმა სატენდერო მარათონს სხვადასხვა მიზეზის გამო გამოეთიშა.

**"შპს "ტენზორის" მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული და ამის გამო არ მიეცა ტენდერში მონაწილეობის უფლება. შპს "იბერია 21" კი დავალიანების გამო გამოეთიშა ტენდერს. შპს "დარმა" სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენა დააგვიანა,"** - აცხადებს ქუთაისის ეკონომიკური განვითარების სამსახურის კოორდინატორი გიორგი გაბიძაშვილი "24 საათთან" საუბარში.

საბოლოო ჯამში, სამ ლოტზე გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობა ორმა თბილისურმა და ერთმა ქუთაისურმა ფირმამ მიიღო. თბილისური შპს "იბერია" სატენდერო კომისიამ წარმოდგენილი მაღალი ფასების გამო დაიწუნა. ტენდერის შედეგად ქუთაისში ფასადების შეკეთების უფლება ორმა ფირმამ მოიპოვა. "სამშენებლო კომპანია თბილისი" 151 811 ლარის სამუშაოებს პირველ ლოტზე განახორციელებს, რომელიც ჭავჭავაძის გამზირის შვიდი ბინისა და გამსახურდიას ქუჩის ორი ბინის ფასადების შეკეთებას მოიცავს.

ქუთაისური ფირმა "ფასადმშენი 21" გამარჯვებულად ორ ლოტზე გამოცხადდა. მეორე ლოტზე, რომელიც ჭავჭავაძის გამზირის ცხრა ბინისა და გუგუნავას ქუჩის ერთი ბინის ფასადების მოწესრიგებას ითვალისწინებს, ბიუჯეტიდან 172 046 ლარი გამოიყოფა. მესამე ლოტზე კი, ანუ ჭავჭავაძის გამზირის ცხრა ბინისა და უკრაინის ქუჩის ერთი ბინის იერსახის შესალამაზებლად, 164 031 ლარი დაიხარჯება.

**"ჩვენ ჩავატარეთ ღია ტენდერი, რომლის დროსაც ყურადღება ექცევა არამარტო ფინანსურ ნაწილს, არამედ ფირმის მიერ შემოთავაზებულ პროგრამას, რომელშიც შედის ფირმის გამოცდილება, ინვენტარი, პერსონალი. საბოლოო შედეგი გამოვლენილი იქნა ყველა კოეფიციენტის არითმეტიკული გაანგარიშებით. "ფასადმშენმა" იმდენად დაბალი ფასები წარმოადგინა, რომ ორ ლოტზე გაიმარჯვა, მაგრამ პირველ ლოტზე "სამშენებლო კომპანია თბილისმა" შემოთავაზებული პროგრამით აჯობა და გაიმარჯვა,"** - აცხადებს გიორგი გაბიძაშვილი.

ქუთაისის მთავრობამ წლევანდელ ბიუჯეტში გზებისა და ფასადების შესაკეთებლად გათვალისწინებული ხუთ მილიონამდე ლარის ბედი უკვე გადაწყვიტა. 3 მილიონ 200 ათასი ლარის ღირებულების საგზაო-სარემონტო სამუშაოებს "გზამშენი 21" და "ტრანსინვესტინჟინერგი 12" განახორციელებენ. ფასადების შესაკეთებლად კი 487 888 ლარს "სამშენებლო კომპანია თბილისი" და "ფასადმშენი 21" შეასრულებს.

ადგილობრივი ხელისუფლება ამაზე გაჩერებას არ აპირებს.

**"ჩვენ აღმოვაჩინეთ ქუთაისის ბიუჯეტში დამატებით 1 მილიონ 225 ათასი ლარი, რომელიც ეკონომიკური კლასიფიკაციით არის გწერილი. არ არის გამორიცხული, რომ ეს თანხა დამატებით მივმართოთ გზებისა და ფასადების შესაკეთებლად,"** - აცხადებს გიორგი გაბიძაშვილი.

როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, 1 მილიონ 225 ათასი ლარი, ყოფილი რწმუნებულის გია გეწაძის მითითებით, ქუთაისში სპორტული კომპლექსის ასაშენებლად იყო გათვალისწინებული. სახელისუფლებო მონაცვლეობის შემდეგ კი, ქუთაისის ახალ ხელისუფლებას ამ თანხის განკარგვასთან დაკავშირებით სხვა იდეა გაუჩნდა. ადგილობრივი ხელისუფლება აღნიშნული თანხის კვლავაც ფასადებისა და გზების შესაკეთებლად მიმართვას გეგმავს.

# ქუთაისი "ოფსაიდში" დარჩა

ამერიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტთან დაკავშირებით თბილისში არსებული სადღესასწაულო განწყობა ქუთაისში ნაკლებად იგრძნობოდა. ქალაქის მერიის ნახევრადდამწვარი შენობის ფასადზე გამოფენილმა ორად ორმა პლაკატმა - "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება", ცხადია, ქუთაისში საზეიმო გარემო ვერ შექმნა.

**"ჯორჯ ბუშის ჩამოსვლა ისტორიული ფურცელია საქართველოსთვის. ტელევიზიით ვადევნებდი თვალყურს, თბილისში რაც ხდებოდა. მაგრამ ძალიან გული დამწყდა, რომ ქუთაისში არაფერი იგრძნობოდა. როგორც წესი, ქუთაისი არაფრად ჩააგდეს, რადგან იცოდნენ, რომ აქ არ ჩამოდიოდა ბუში. ეს, იცით, რას ნიშნავს? - მხოლოდ ის გააკეთეს და გაალამაზეს, რასაც ის კაცი ნახავდა,"** - აცხადებს ქუთაისის მკვიდრი დიმიტრი შანიძე "24 საათთან" საუბარში.

**"ქუთაისის ხელისუფლებას შეეძლო, თუნდაც ერთი დიდი ეკრანი დაედგა ქალაქის ცენტრში, რათა იმ ადამიანებს, რომლებმაც ვერ შეძლეს თბილისში წასვლა, დიდ ეკრანზე, პირდაპირ ეთერში ენახათ ის ზეიმი, რაც დედაქალაქში მოეწყო,"** - აცხადებს ქუთაისელი იზა ქობულაძე.

**"ძალიან გული დამწყდა, რომ ქუთაისში საერთოდ არაფერი იგრძნობოდა, არადა შეიძლებოდა, პატარ-პატარა სახალხო ღონისძიებები აქაც გაემართათ,"** - აცხადებს ქუთაისის მკვიდრი თამარ ხვადაგიანი.

ქუთაისის მოსახლეობისთვის საზეიმო განწყობის შესაქმნელად ადგილობრივმა ხელისუფლებამ ხუთწუთიანი ფეიერვერკი გაიღო. უფრო სწორად, სამხარეო ადმინისტრაციამ ეს საჩუქარი, რომელიც რწმუნებულის ფონდს 1700 ამერიკული დოლარი დაუჯდა, სამამულო ომის ინვალიდებს გამარჯვების დღის აღსანიშნავად მიუძღვნა. თუმცა საზეიმო ფეიერვერკი მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჩაიბარეს, რადგან მოქალაქეები, მათ შორის არც ამ საჩუქრის ადრესატი ვეტერანები, აღნიშნული სანახაობის თაობაზე ინფორმირებულნი არ იყვნენ.

*24 საათი*



### გურია თვალცრემლიანი ემშვიდობება თავის გუბერნატორს

ასეთი რამ, ძირითადად, ფილმებსა და წიგნებში ხდება. ხდება თურმე რეალურ ცხოვრებაშიც. რაღაც აჟიტირებული, ხმაურიანი, მასშტაბური ფორმატის მოვლენის პარალელურად, "პატარ-პატარა" ტრაგედიები, ბუნებრივია, ჩრდილში ექცევა, მაგრამ თავისი არსით ეს ტრაგედია ტრაგედიად და მოურჩენელ იარად რჩება. ასე იყო იმ საბედისწერო დღეს, რომელიც, სავალალოდ, უკანასკნელი აღმოჩნდა გურიის ახალგაზრდა გუბერნატორ ჟანი კალანდაძისთვის. მაშინ, როცა სრულიად საქართველო, არნახული ეიფორიით შეპყრობილი, წუთი-წუთზე ელოდა მართლაცდა საუკუნის სტუმარს - ამერიკის პრეზიდენტს და საქართველოს დედაქალაქში გრანდიოზული ზეიმი იყო, ოსიაურის გზაზე ჩასაფრებული სიკვდილი ელოდა, თურმე, ჟანი კალანდაძეს. ამ სულისშემძვრელ ტრაგედიამდე სამიოდ საათის წინ გუბერნატორი ომის ვეტერანებს შეხვდა, გულის გამათბობლად და სიყვარულით ებაასა მათ, თავად კი, თურმე, სიკვდილთან შესახვედრად ემზადებოდა.

გურია გლოვობს თავის ახალგაზრდა, ჭკვიან, წესიერ და ენერგიულ გუბერნატორს. საქართველოს ამ ლამის დავიწყებულ და მიტოვებულ მხარეში ჩამოსული 26 წლის ბიჭი ოდნავადაც არ შეუშინებია აქ არსებულ უმძიმეს ვითარებას. თავადაც ოპტიმისტურად იყო განწყობილი და სხვებსაც იმედს უნერგავდა. რაც წინამორბედთ წლების მანძილზე არ გაუკეთებიათ, ის გააკეთა, ფეხით კარდაკარ დაიარა მთელი გურია, ცდილობდა, ყველაფერი საკუთარი თვალით ეხილა, ხალხისაგან მიეღო უტყუარი ინფორმაცია. ვერცხლისწყალივით მოუსვენარი, თითქმის ყველაფერს ასწრებდა - თავს მოვალედ რაცხდა, ყველაფერს გამოხმაურებოდა. ყველგან იყო, ყველგან თავის სიტყვას ამბობდა, ყველა საქმიანი შეხვედრის აქტიური მონაწილე იყო. ოდნავ ფიცხი და იმპულსური, ყოველთვის მოფიქრებულ გადაწყვეტილებებს იღებდა, შავს შავს უწოდებდა, თეთრს-თეთრს, იყო უკომპრომისო და შეუვალი.

**"ჩვენ უნდა გავაცოცხლოთ გურია, დავუბრუნოთ ხალხს რწმენა, იმედი, სიცოცხლის აზრი და და ხალისი,"** - ასეთი იყო მისი მოღვაწეობის კრედო.

მას კარგად ჰქონდა გასიგრძეგანებული, რომ მთავარი იყო, გურიას ფუნქცია შეეძინა; ის აქტიურად უჭერდა მხარს ყველა პროექტს, რომელიც ეკონომიკური ზრდისა და და სოციალური ვითარების გაუმჯობესებისკენ იყო მიმართული. მიუხედავად მოკლე დროისა, მან გურიის გუბერნატორის პოსტზე თანამედროვე სახელმწიფო მოღვაწის ყველა თვისება გამოავლინა. რამდენიმე თვეში მან შეძლო გურიის მოსახლეობაში სიმპათიისა და კეთილგანწყობის, ნდობის მოპოვება. ამიტომაც დასტირის მას მთელი გურია, ამიტომაც დატოვა საქართველოს ამ პატარა კუთხეში დიდი ტკივილი და მწუხარება უდროო და ტრაგიკული აღსასრულის გამო.

*თამაზ ხარაიშვილი, ოზურგეთიდან*

### ბეჟან (ჟანი) კალანდაძის ტრაგიკულად დაღუპვის გამო

9 მაისს საღამოს რვა საათზე ხაშურის რაიონის ტერიტორიაზე საავტომობილო კატასტროფის შედეგად დაიღუპა საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გურიის მხარეში ბეჟან (ჟანი) კალანდაძე. იგი თვითონ იჯდა საჭესთან და მიემგზავრებოდა თბილისში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით.

პირველები ამ საშინელ ფაქტს ასევე თბილისში მიმავალი ლანჩხუთელი "ნაციონალები" შეესწრნენ. სამწუხაროდ, არავითარი შანსი არ იყო ახალგაზრდა, ენერგიული კაცის გადარჩენისა.

27 წლის ასაკში ის უკვე ჩამოყალიბებული ლიდერი იყო. ჩვენ, ლანჩხუთის რაიონის გამგეობის თანამშრომლები მასში ვხედავდით გურიისა და ლანჩხუთისათვის თავდადებულ პიროვნებას, ანგარიშგასაწევ კოლეგას და არა "უფროსს". საშინელი სინანულის გრძნობა კიდევ უფრო ორმაგდება იმის გამო, რომ დაიღუპა არა უბრალოდ ახალგაზრდა კაცი, არამედ პიროვნება, რომელმაც იცოდა, რისთვის ცხოვრობდა, ჰქონდა უამრავი გეგმა, გააჩნდა ენერგია და დაუოკებელი სწრაფვა, რომ ყველა მათგანისათვის შეესხა ხორცი. აუნაზღაურებელია დანაკლისი, დავკარგეთ უშუალო, გულწრფელი, კეთილი, ხალისიანი და უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე კაცი, რომელთან ურთიერთობაც ჩვენთვის სტიმული იყო, მისი გადამდები ენერგია კი ათეულობით ადამიანს ეყოფოდა.

გამოვხატავთ უდიდეს გულისტკივილს იმ დიდი დანაკლისის გამო, რომელიც პრეზიდენტის გუნდმა ჟანი კალანდაძის დაკარგვით განიცადა.

გულწრფელი სამძიმარი გვინდა ვუთხრათ ყველა მის ახლობელს და განსაკუთრებით დედას, აუნაზღაურებელი დანაკლისისათვის, რომელიც მარტო მას კი არა, მთელ ქვეყანას შეაძრწუნებს.

*ლანჩხუთის რაიონის გამგეობა*

## მოკლედ

### საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დღეს ლატვიაში მიემგზავრება

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე დღეს ოფიციალურ ვიზიტად ლატვიაში გაემგზავრება.

ვიზიტის დროს ოფიციალურად გაიხსნება საქართველო-ლატვიის პარლამენტებს შორის მიმდინარე თანამშრომლობის პროგრამა, რასაც ქართულ-ლატვიური კონფერენცია მიეძღვნება. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ლატვიის პარლამენტის ტრიბუნიდან დეპუტატებს მიმართავს.

ვიზიტის ფარგლებში გაიმართება შეხვედრები ლატვიის პრეზიდენტთან ვაირა ვიკე-ფრაიბერგთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ინგრიდა უდრესთან, პრემიერ-მინისტრ აიგარს კალვიტისთან, საგარეო საქმეთა მინისტრ არტის ჰაბრიკსთან, თავდაცვის მინისტრ ეინარს რეპსესთან და სხვა ოფიციალურ პირებთან. **ინტერ-პრესი**

### ბორის ჩოჩიევი: სააკაშვილს გეგმები ჩაეშალა

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრის ბორის ჩოჩიევის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს "ჯორჯ ბუშის რუსეთთან, აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაპირისპირების გეგმა ჩაეშალა".

"აშშ-ის პრეზიდენტმა ოფიციალურ თბილისს ნათლად მიუთითა, რომ იგი საქართველოს გამო რუსეთთან ურთიერთობების გამწვავებას არ აპირებს, თუ ეს უკანასკნელი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ქართული აგრესიისგან დაცვას შეეცდება," - აცხადებს ჩოჩიევი. მისივე აზრით, იმის გათვალისწინებით, რომ ჯორჯ ბუშმა მიხეილ სააკაშვილს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მხოლოდ მშვიდობიანი მეთოდებით გადაწყვეტა და ძალის გამოუყენებლობა ურჩია, "უდავოა, რომ საქართველოს პრეზიდენტს თბილისში ბუშის ვიზიტთან დაკავშირებით იმედები გაუცრუვდა". **ინტერ-პრესი**

### გაერთიანებულმა ქართულმა ბანკმა ახალი ფილიალი გახსნა

"გაერთიანებული ქართული ბანკის" განახლებული ფილიალი მაისის ბოლოს რუსთავში, მეგობრობის გამზირზე გაიხსნება. როგორც პრაიმ-ნიუსს გქბ-ს ერთ-ერთმა დამფუძნებელმა ზაზა სიორიძემ განუცხადა, ფილიალში რუსთაველი მომხმარებელი საბანკო მომსახურების სრულ სპექტრს მიიღებს, მათ შორის, სადეპოზიტო, საინკასაციო, საჩეკო და სხვა სახის მომსახურებას. მისი განცხადებით, რუსთავის ფილიალში გაიცემა მოკლევადიანი სესხები, რადგან ბოლო დროს მცირე სესხებზე მოთხოვნილება გაიზარდა. საქართველოს მასშტაბით ბანკის 18 ფილიალი და 22 სერვის-ცენტრი ფუნქციონირებს. გქბ-ს აქციათა საკონტროლო პაკეტს (51 პროცენტი) რუსული საბანკო გიგანტი "ვნეშტორგბანკი" ფლობს, "ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" - 18 პროცენტს, ხოლო აქციათა დარჩენილი 32 პროცენტი ქართველ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს ეკუთვნით. **პრაიმ-ნიუსი**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთისა და რუსეთის პარლამენტების თავმჯდომარეები 24-25 მაისს მოსკოვში შეხვედრას გამართავენ.

როგორც სააგენტო "ტრენდი" იუწყება, შეხვედრის თარიღი რუსეთის სათათბიროს თავმჯდომარე სერგეი მირონოვის ბაქოში ვიზიტისას შეთანხმდა.

პარლამენტის თავმჯდომარეები მოსკოვში საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს განიხილავენ.

ოთხი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეები თბილისში აპრილში უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ ეს შეხვედრა მხარეებს შორის შეუთანხმებლობის გამო გადაიდო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი და თავდაცვის სამინისტროს თავდაცვის პოლიტიკისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი ნოდარ ხარშილაძე გუშინ ბრიუსელში გაემგზავრნენ. ნატო-ს შტაბ-ბინაში ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსების ყოველწლიური გეგმიური შეხვედრა გაიმართება. **ინტერ-პრესი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

დიმა ავალიანის სვეტი

## "ბუშის პროექტი"

**"იცოდეთ, რომ ქართულ მიწაში ჩარგული თავისუფლების ნერგი მთელ მსოფლიოში გაიხარებს,"** - ეს მთავარი გზავნილია, რომელიც აშშ-ს პრეზიდენტმა მსოფლიოს თბილისიდან, თავისუფლების მოედნიდან გაუგზავნა.

რა თქმა უნდა, სხვადასხვა ქვეყნებში დემოკრატიული ცვლილებების, განსაკუთრებით კი საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი რევოლუციების მიმართ აშშ-ს ცალსახა მხარდაჭერა ადრეც დაუდასტურებია. თუმცა გუშინ ბუშმა ყველას აგრძნობინა, რომ აშშ არა მხოლოდ დსთ-ს სივრცეში უკვე მომხდარ რევოლუციებს მიესალმება, არამედ მხარს დაუჭერს რეჟიმის ამგვარ ცვლილებებს სხვა ქვეყნებშიც. კერძოდ, ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში.

ბუშისთვის საქართველო მისი "საავტორო პროექტის" - მსოფლიოში დემოკრატიის გავრცელების - საკვანძო წერტილი გახდა და საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, წარმატება სწორედ მისი "პროექტის" და პირადად მისი წარმატება იქნება.

აქედან გამომდინარე, შეერთებული შტატების პრეზიდენტი მიანიშნებს, რომ კომპრომისები ავტორიტარულ რეჟიმებთან, თუნდაც ბელორუსში, შეუძლებელია. თუმცა მაქსიმალურად ცდილობს პირდაპირი განცხადებებით "მეგობარი ვლადიმირი" ზედმეტად არ გააღიზიანოს.

სამაგიეროდ პროგრამა, რომლის პრეზენტაცია ბუშმა, ფაქტობრივად, თბილისში მოაწყო, რუსეთისთვის ნებისმიერ მწვავე კრიტიკულ განცხადებებზე გაცილებით მტკივნეულია. ბოლოს და ბოლოს, არავის უთქვამს, რომ "თავისუფლებას მოწყურებულ ხალხებში", რომლებსაც ბუში გათავისუფლებას ჰპირდება, "მეგობარ ჯორჯს" რუსეთის მოსახლეობა არ უგულისხმია...

მართალია, საქართველოს მოქალაქეების მოლოდინი ნაწილობრივ არ გამართლდა - ბუშს რუსეთისთვის ხმამაღლა არ მოუთხოვია ბაზების გაყვანის დაჩქარება და არც კონფლიქტების საკითხში დაუჭერია ღიად ჩვენთვის მხარი - მაგრამ ის განცხადებები, რაც მან თბილისში გააკეთა, გაცილებით მეტია. საქართველო აშშ-ს საგარეო პოლიტიკის სახედ, "ბრენდად", "სასაქონლო ნიშნად" იქცა და დღეისთვის ჩვენი ქვეყნის წარმატება ძალზე ბევრს ნიშნავს თავად შეერთებული შტატებისათვის. აქედან გამომდინარე, სრულიად ცხადია, რომ საქართველო მიიღებს ამ ქვეყნისგან ყველანაირ მხარდაჭერას, რაც მას დასჭირდება. ოღონდ ამისთვის საქართველომ უნდა შეძლოს ის, რაზეც ბუშმა გუშინ არაერთხელ მიანიშნა - მართლაც განავითაროს რეალური დემოკრატია, რაც მას სამაგალითოდ აქცევს სხვა ქვეყნებისთვის.

## შეხვედრა გალში

### საქართველო ახალ ვითარებაში გარკვევას ცდილობს

დღეს გალში, კონფლიქტის ზონაში უშიშროების საკითხებთან დაკავშირებული შეხვედრა გაიმართება, რომელზეც ქართულ მხარეს სახელმწიფო მინისტრი კონფლიქტების მოგვარების საკითხებში გიორგი ხაინდრავა წარმოადგენს.

შეხვედრის ორგანიზატორია საქართველოში გაერო-ს დამკვირვებელთა მისია და გაერო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი ჰეიდი ტალიავინი. აფხაზურ დელეგაციას უხელმძღვანელებს დე ფაქტო ხელისუფლების საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა. შეხვედრას სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებიც დაესწრებიან.

მთავარი თემებია: კონფლიქტის ზონაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელი ზომები და მხარეებს შორის თანამშრომლობის განვითარება.

მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ განაცხადა, რომ აღნიშნული შეხვედრა ბუშის ვიზიტამდე კარგა ხნით ადრე იყო დაგეგმილი. მისივე თქმით, დღეს, როცა აფხაზეთის მთავრობაში გარკვეული საკადრო ცვლილებები მიმდინარეობს, აღნიშნული შეხვედრა დამატებით დატვირთვას იძენს, რადგან ქართული მხარე დაინტერესებულია, კარგად გაერკვეს ახალ ვითარებაში.

*24 საათი*


## ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

„რადიო დილა" ყოველ დღე კვირის გარდა 10-დან 12 საათამდე




### ჩვენ ვცდილობთ გლეხი ფერმერად გადავაქციოთ

წამყვანები: ქეთევან კორძახია გაგა ბოხრონიძე

სტუმარი: ზურა კარბელაშვილი, ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია "ელკანა"-ტრენინგ-ცენტრის კოორდინატორი

ზურა კარბელაშვილი: ჩვენი მიზანია საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის გააქტიურებით. 16-23 მაისს ასოციაცია ატარებს სასწავლო პროგრამას „ბიომეურნეობის ზოგადი კურსი", რომელიც მსმენელებს გააცნობს ბიომეურნეობის პრინციპებს და მეთოდოლოგიას, რათა მეურნეობა იყოს მდგრადი და მომგებიანი.

# ბიბლიოთეკა კარავში



*ამ დევიზის გამოძახილია, ალბათ, ბატალიონის გერბზე მგლის გამოსახვა.*

პირველი გვერდიდან

25-მდე წიგნი აქვთ. ერთ-ერთი მათგანი ჯარისკაცთა უფლებებს ეხება.

ბატალიონს აქვს ამბიციები და საკუთარი გერბი. გერბზე წაწერილია დევიზი: **"ძალა, ღირსება, მოვალეობა".** შეკითხვაზე - ძალაში რას გულისხმობთ? - შტაბის უფროსი განგვიმარტავს: **"თანაბრად, როგორც ფიზიკურ, ასევე ფსიქოლოგიურ სიძლიერეს."**

ბატალიონს კრწანისის ეროვნული სასწავლო ცენტრისთვის დამახასიათებელი ხრიოკი ადგილი მიუჩინეს. ჯარისკაცებმა მწვანე მინდვრის პატარ-პატარა ბელტები მოჭრეს, თან ყაყაჩოებიც შეურიეს და ეზოში ლამაზი გაზონი მოაწყვეს. აქვე კენჭებისა და სხვადასხვა მასალებისგან დამზადებულ რამდენიმე მოზაიკურ გამოსახულებასაც შენიშნავთ. მათ შორის არის საქართველოს რუკა და წარწერა: "ჩვენ გავიმარჯვებთ!". ეზოს თეთრი ღობე არტყია - თუ კარგად დააკვირდებით, მიხვდებით, რომ ეს არის თეთრად შეღებილი მანქანის საბურავები, რომლებიც ბატალიონის წევრებმა საკუთარი ძალებით მოზიდეს. **"ჯარისკაცებს ყველაფერს საკუთარი ხელით ვამზადებინებთ და ამის მერე მათთვის ნაკლებად გვჭირდება ახსნა-განმარტების მიცემა, რომ აქაურობას უნდა გაუფრთხილდნენ,"** - განუცხადა "24 საათს" ბატალიონის მეთაურმა ლერი ყარმაზანაშვილმა.

კაპიტანი ყარმაზანაშვილი პირდაპირ აცხადებს, რომ მას **"საქართველოს, განათლებულ ჯარისკაცზე უფრო მეტად, შემსრულებელი ჯარისკაცი სჭირდება."** ამ განაცხადს, ჩვენი ინიციატივით, მსუბუქი პოლემიკა მოსდევს. ამასობაში საუბარში ბატალიონის შტაბის უფროსი ერთვება, იგი გერბზე დაწერილ დევიზს შეგვახსენებს და დასძენს, რომ **"ჯარისკაცის განათლება და ჯარისკაცის ღირსება კანონისადმი, ზემდგომისადმი მის უზომო მორჩილებას არ უნდა გამორიცხავდეს."**

კანონის დამრღვევები აქ მკაცრად ისჯებიან. ბატალიონის ეზოს ერთ მხარეს ზოლად გასდევს "ბოროტების არხი". ეს არის პატარა დაჭაობებული არხი. დამნაშავე ჯარისკაცმა, ძირითადად, ამ ტურტლიან არხში უნდა "გაცუროს". რამდენჯერ? - ეს უკვე დანაშაულის ხარისხზეა დამოკიდებული.

აქ პრობლემებზე საუბარი უჭირთ. ერთადერთი, შეიძლება ითქვას, რომ გუშინ ჯარისკაცთა ზოგიერთი საძინებელი კარავი ტალახიანი იყო. ეს წვიმის ბარალია - გვიხსნის ბატალიონის უფროსი და იქვე დასძენს: საველე პირობებში მსგავსი რამ დასაშვებია. ნახევრად ხუმრობით შეიძლება ითქვას, რომ ბატალიონში არსებული უპრობლემობა ჟურნალისტს უქმნის პროფესიულ პრობლემას. აქედან გამომდინარე, ჟურნალისტურ "ინტრიგანობას" გამოვიჩენ და ვიტყვი: საველე პირობებში, ალბათ, ისიც დასაშვებია, რომ სადილის მოსამზადებელი ქვაბები გარედან შემურული იყოს. ბატალიონის უფროსმა თავად აღნიშნა, რომ გაზის რედუქტორები ოდნავ აპარებს და მათ სასწრაფოდ შეაკეთებენ.

საკონტრაქტო პირობებში მყოფი, ქუთაისის ბრიგადის 22-ე ბატალიონი ორ თვეს ბათუმში დაჰყოფს, სადაც ჯარისკაცები ცურვას შეისწავლიან. 15 აგვისტოსთვის ისინი კრწანისში დაბრუნდებიან და ნატო-ს სტანდარტების შესაბამისად გაიწვრთნებიან. ნოემბრის თვეში ბატალიონი დისლოკაციის ადგილს - ქუთაისს დაუბრუნდება.






# დაბნეულობა ცესკო-ს წევრობის კანდიდატთა შორის

### კონკურსი გამოცხადდა, მაგრამ კონკურსანტებმა არ იციან, განაცხადები სად შეიტანონ

თამარ მჭედლიშვილი

წესით, გუშინდელი დღიდან სპეციალური შესარჩევი კომისიის კარი ყველა იმ ადამიანისთვის უნდა გაღებულიყო, ვისაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობა სურს. საქმე ის არის, რომ საქართველოს პრეზიდენტის 10 მაისის ბრძანებულების თანახმად, კონკურსი უკვე დაიწყო. იგი ექვს ვაკანტურ ადგილზე გამოცხადდა და კანდიდატთა განაცხადების მიღება ორი კვირის მანძილზე გაგრძელდება. ოღონდ, გუშინ დანამდვილებით არავინ იცოდა, განაცხადების მიღება სად მიმდინარეობდა. თავდაპირველი ინფორმაციით, ეს პროცესი ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში უნდა დაწყებულიყო, მაგრამ, როგორც გაირკვა, ცესკო არაფერ შუაში იყო და გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამებოდა.

ამის მიუხედავად, გუშინ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საშვთა ბიუროს უკვე ათამდე ადამიანმა მიაკითხა. მათ განაცხადების შეტანა სურდათ. მას მერე, რაც ცესკო-ს აპარატის თანამშრომლებმა მათ დაწვრილებით აუხსნეს, რომ კომისია განაცხადების მიღების პროცესში არ მონაწილეობდა, კანდიდატობის მსურველებმა სახელმწიფო კანცელარიას მიაკითხეს.

თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, თავად სახელმწიფო კანცელარიაშიც იმ მომენტისთვის არ იცოდნენ, ვინ ჩაიბარებდა განაცხადებებს. ჯერ ითქვა, რომ ამ პროცესს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი უხელმძღვანელებდა. მოგვიანებით კი გაირკვა, რომ სპეციალური სამდივნო გიგი უგულავას "პატრონაჟით" შეიქმნებოდა.

მოკლედ, იმის მიუხედავად, რომ გუშინ კონკურსის დაწყება პრეზიდენტის პრესსპიკერმა გელა ჩარკვიანმა საზეიმოდ გამოაცხადა, ამ კონკურსის პირობებსა და განაცხადების მიღების პროცედურებზე საკმაოდ ბუნდოვანი ინფორმაცია გავრცელდა, რამაც, როგორც უკვე ვთქვით, გაუგებრობა გამოიწვია (სხვათა შორის, გუშინ "24 საათის" რედაქციაშიც გაისმა რამდენიმე ზარი - კონკურსში მონაწილეობის მსურველებს ჩვენგან სურდათ გაეგოთ, განაცხადების შესატანად სად და ვისთან უნდა მისულიყვნენ).

საბოლოოდ კი გაირკვა, რომ განაცხადების მიღების პროცესს კოორდინაციას პრეზიდენტის აპარატის უფროსი გიგი უგულავა გაუწევს. სპეციალური სამდივნოც სწორედ მისი მეთვალყურეობის ქვეშ შეიქმნება.

რაც შეეხება თავად კონკურსანტებს, ჯერჯერობით, არც ერთ, საზოგადოებისთვის მეტნაკლებად ცნობილ ადამიანს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის სურვილი ღიად არ გამოუთქვამს. თუმცა, ჩვენთვის ცნობილი გახდა იმ ადამიანთა ვინაობა, ვისაც კომისიის წევრობა არ სურს. პირველ რიგში, ეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები არიან, ვინც წლების მანძილზე, პოლიტიკოსებთან ერთად, საარჩევნო კანონმდებლობაზე მუშაობდნენ და ბოლო წლებში საქართველოში გამართული არჩევნების მონიტორინგს ახორციელებდნენ. მათ შორის არიან საერთაშორისო საზოგადოება "სამართლიანი არჩევნები" და "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია."

რაც შეეხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მომავალ თავმჯდომარეს, როგორც ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ასევე პარლამენტის კულუარებში ამ ეტაპზე ერთადერთ რეალურ კანდიდატად საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის მოადგილე გიგა ბოკერია სახელდება. თუმცა, თავად ბოკერია ამ ხმებს კატეგორიულად უარყოფს.

ამასობაში, დღეს მოქმედი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ნონიკაშვილის მომავალი კარიერის ბედი უკვე გარკვეულია - იგი კავშირგაბმულობის ეროვნული მარეგულირებელი კომისიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი იქნება.

რაც შეეხება ცენტრალური საარჩევნო კომისიის აპარატის თანამშრომლებს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ისინი თანამდებობებს შეინარჩუნებენ. თუმცა, არც ის არის გამორიცხული, კომისიის ახალმა თავმჯდომარემ აპარატი საკუთარი შეხედულებებისამებრ გადაახალისოს.

# კონტრაბანდისტთა ფანტაზია და მარჯვე ხელები

მაია მოსიაშვილი

ქვემო ქართლის აზერბაიჯანულ სოფლებში ფინანსურ პოლიციას ხმაურიანი ანტიკონტრაბანდისტული ოპერაციები კარგა ხანია, აღარ ჩაუტარებია. ამბობენ, რომ მიზეზი მარტივია - როგორც იქნა მოხერხდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვრის წითელი ხიდისა და ვახტანგისის მონაკვეთების სათანადოდ გაკონტროლება. ორი ქვეყნის საზღვარზე მოქალაქეების, ფაქტობრივად, უკონტროლოდ გადასვლა-გადმოსვლის შემცირებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ მიმოსვლა მხოლოდ საქართველოს მოქალაქის პასპორტებითაა შესაძლებელი. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ კონტრაბანდული საქონელი ქვემო ქართლიდან ლილოსა და სხვა უკონტროლო ბაზრობებზე აღარ შემოდის? რა თქმა უნდა, არა. ამას მოწმობს მხარის ფინანსური პოლიციის მიერ გუშინ ჩატარებული ოპერაციაც. მათ გარდაბნის რაიონის სოფელ ჯანდარას მიმდებარე ტერიტორიაზე, იქ სადაც რკინიგზის ხაზი გადის, ტყეში 1 კილომეტრის მანძილზე მიმობნეული სხვადასხვა ტიპის ელექტრო და სამრეწველო საქონელი აღმოაჩინეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომლები და სპეცრაზმელები ადგილზე მაშინ მივიდნენ, როცა რამდენიმე ათეული ადამიანი რკინიგზის ორივე მხარეს დაყრილი ფუთების შეგროვებას და წაღებას ცდილობდა.

**"ამ ადგილიდან ორი კილომეტრია დარჩენილი გარდაბნის საბაჟო პუნქტამდე, საზღვრიდან კი სამი კილომეტრითაა დაშორებული. ხალხმა ტვირთი მატარებლიდან გადმოყარა გზის ორივე მხარეს. აქ დახვდნენ ნათესავები, რომლებიც აკრეფდნენ ტვირთს, სოფელში შეიტანდნენ, ხოლო იქიდან საქონელი ლილოს ბაზრობაზე მოხვდებოდა. მთელი ტვირთი გაბნეულია დაახლოებით 1 კილომეტრზე. ჯერჯერობით, რაც ვიპოვეთ, დაახლოებით, 30 ათასი ლარის ღირებულებისაა და ერთი დიდი მანქანა გაივსება. ტყე სავსეა ელექტრო საქონლით, ტანსაცმლით, სარეცხი მანქანებით... ადრე ამ გზით კონტრაბანდა არ შემოდიოდა, მაგრამ ბოლო დროს წითელ ხიდსა და ვახტანგისზე მკაცრი კონტროლი დაწესდა. იქ ფინანსური პოლიცია სპეცრაზმთან ერთად დგას. კონტროლი გაძლიერებული აქვთ საბაჟოს თანამშრომლებსაც. ამიტომ კონტრაბანდისტებმა ეს გზა მოძებნეს და საბაჟო კონტროლისთვის თავის არიდებას ამგვარად ცდილობდნენ,"** - განაცხადა ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსის მოადგილემ მერაბ მურღულიამ.

ფინანსურმა პოლიციამ შემთხვევის ადგილზე ოთხი ადამიანი დააკავა, რომლებიც ამბობდნენ, რომ მათ მხოლოდ ორ-ორი ფუთა ეკუთვნოდათ და საბაჟოს იმიტომ აარიდეს თავი, რომ 35 პროცენტიანი გადასახადის გადახდა არ შეეძლოთ.

დაბოლოს, კონტრაბანდის შემოტანის ამ საკმაოდ ორიგინალურ სქემაში, ალბათ, მატარებლის შემადგენლობასაც მიუძღვის წვლილი, რადგან ამ ადგილზე მატარებელი ისე ნელა მოძრაობდა, რომ ხალხმა არა მარტო ტანსაცმლიანი ფუთების, არამედ ელექტროსაქონლისა და სარეცხი მანქანების მშვიდობიანად გადმოტვირთვაც მოახერხა.

# მოიჯარეს ჩამორთმეული მოსავალი დაუბრუნეს

*გორში აქამდე უპრეცენდენტო მოვლენა მოხდა - სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, მოიჯარე ნოდარ მაისურაძემ სახელმწიფოს მიერ ჩამორთმეული მოსავალი დაიბრუნა.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

9-10 მაისს გორის რაიონის სოფელ ქვემო ხვითში მცხოვრებ მოიჯარეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ, სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, სახელმწიფო შპს "სალთვისი-2"-ის განკარგულებაში გადაცემული ხორბალი დაუბრუნა. თუმცა, კუთვნილი 73 ტონის ნაცვლად მან ჯერჯერობით 65 ტონა მიიღო.

**"21 აპრილის სააღსრულებო ფურცლის თანახმად, ჩვენ ნოდარ მაისურაძეს გადავეცით მისი კუთვნილი 65 ტონა ხორბალი. გორის რაიონის გამგეობაში შექმნილი კომისია დაესწრო ამ პროცესს და შედგა გადაბარების აქტი. დანარჩენი ხორბალი შრობისა და ტრანსპორტირების შედეგად დაიკარგა,"**- ამბობს გორის რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი რევაზ გოგიაშვილი.

2004 წლის 21 ივლისს გორის რაიონის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება მაისურაძისათვის 220 ჰექტარი მიწის იჯარის გაუქმების შესახებ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ამ გადაწყვეტილებას იმით ხსნიდნენ, რომ ეს მიწები მაისურაძემ თავის დროზე კანონდარღვევით მიიღო.

მაისურაძემ გამგეობის გადაწყვეტილება რაიონის სასამართლოში გაასაჩივრა. 16 აგვისტოს სასამართლომ გამგეობის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა. ამ დროისათვის შპს "სალთვისი-2"-ს მაისურაძისაგან ჩამორთმეულ სავარგულებზე მოსავლის აღება დასრულებული ჰქონდა. თუმცა, იგივე სასამართლოს 25 აგვისტოს დადგენილებით, მაისურაძისთვის აღებული მოსავალი უნდა დაებრუნებინათ. სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება რამდენიმე თვით გაიწელა. სააღსრულებო ფურცელი მხოლოდ მიმდინარე წლის 21 აპრილს გამოიწერა.

აღმასრულებელი ანზორ კაჭკაჭიშვილი მიიჩნევს, რომ სააღსრულებო 5-დღიანი ვადის დარღვევის მიუხედავად (ეს დრო გამგეობამ კომისიის შექმნას მოანდომა), მოპასუხე მხარეს წინააღმდეგობა არ გაუწევია, მაგრამ აღსრულება სრულყოფილად ვერ მოხდა.

**"სააღსრულებო ფურცელში წერია, რომ მოიჯარეებს შპს "სალთვისი-2"- მა უნდა დაუბრუნოს 73 ტონა ხორბალი. მაგრამ, იმის გამო, რომ ადგილზე 65 ტონა ხორბალზე მეტი ფიზიკურად არ დაგვხვდა, ვერ მოხდა სრულყოფილი აღსრულება. სპეციალისტებმა უნდა დაადგინონ, მართლა მოხდა თუ არა შეშრობის შედეგად ამ რაოდენობის ხორბლის დაკარგვა. ალბათ დარჩენილ სადავო ხორბალზე სასამართლო იმსჯელებს,"** - ამბობს კაჭკაჭიშვილი.

შპს "სალთვისი-2"-ის ამჟამინდელი დირექტორის ზურაბ ზანგალაძის თქმით, 73 ტონა ხორბლის ნაცვლად 65 ტონა იმიტომ დაბრუნდა, რომ ხორბლის შრობის შედეგად 10 პროცენტი დაიკარგა.

თუმცა, რამდენიმე ხნის წინ ადგილობრივმა და პროგრამა "60 წუთის" ჟურნალისტებმა შპს "სალთვისი-2"-ის მიერ ხორბლის გაყიდვის ფაქტი დააფიქსირეს.

**"ჩვენ მოსამართლე სულაბერიძეს სიტყვიერად ვკითხეთ, ჩვენ მიერ ხორბლის აღება დანაშაული ხომ არ იქნებოდა. მოსამართლემ გვითხრა, რადგან მიწა თქვენ მოგამაგრეს, მოსავალიც თქვენიაო". "საერთოდ მე არასდროს ვთვლიდი, რომ ეს ხორბალი შპს-ს საკუთრებაა, მაგრამ რადგან ხორბალი სასამართლომ მოგვაკუთნა, მაისურაძეს სასამართლოდან ვთხოვდი საბუთს, რომ უკან დამებრუნებინა,"** - ამბობს ზანგალაძე.

გორის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქართლოს სულაბერიძე უარყოფს რაიმე საუბარს ზანგალაძესთან.

**"სარჩელი დაგვიანებით შემოვიდა. მე გადაწყვეტილება რომ მივიღე, ხორბალი უკვე აღებული ჰქონდათ. სარჩელი ვიდრე არ შემოვიდოდა, მე მათ ვერაფერს ვეტყოდი, ისინი თვალითაც არ მყავდა მაშინ ნანახი,"** - ამბობს დაბნეულად სულაბერიძე.

# ტრიბუნები იშლება, გზების შეკეთება გრძელდება


მუშებს ოთხი დღე მაინც დასჭირდებათ თავისუფლების მოედანზე აღმართული კონსტრუქციების დასაშლელად.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

სპეციალური კონსტრუქციები თავისუფლების მოედანზე საგანგებოდ ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის ვიზიტისთვის დამონტაჟდა. ლითონის კონსტრუქციები დაახლოებით 150 ათასი ლარი დაჯდა. იმის გამო, რომ ტრიბუნების დემონტაჟი ჯერ არ განხორციელებულა, ლესელიძისა და შალვა დადიანის ქუჩებზე მოძრაობა რამდენიმე დღის განმავლობაში ვერ აღდგება.

როგორც ქალაქის მთავრობაში განმარტავენ, ტრიბუნების დემონტაჟი მათი ფორმის შეუცვლელად უნდა განხორციელდეს, რათა, საჭიროების შემთხვევაში, ისინი სხვა დროსაც გამოიყენონ. ზურაბ ჭიაბერაშვილის განცხადებით, კონსტრუქციის მონტაჟი და დემონტაჟი სულ 500 ათასი ლარი დაჯდა.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურში აცხადებენ, რომ ჯორჯ ბუშის ვიზიტთან დაკავშირებული ღონისძიებებისთვის გაწეული ხარჯები საბოლოოდ ჯერ არ შეუჯამებიათ. რაც შეეხება ფასადებსა და გზებს, მათი შეკეთება მომავალშიც გაგრძელდება. მოსახლეობაში არსებული ეჭვების გასაქარწყლებლად, გუშინ თბილისის მერმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორია თავად მოინახულა, სადაც გზის შეკეთება მიმდინარეობს. როგორც მერმა აღნიშნა, მთავრობა გზების შეკეთებას მხოლოდ ცენტრალურ უბნებში არ აპირებს და მალე გარეუბნებშიც გადაინაცვლებს.

**"ის მოსაზრება, რომ გზების შეკეთება მხოლოდ ბუშის ვიზიტთან იყო დაკავშირებული, სიმართლეს არ შეესაბამება. გზების მშენებლობა მომავალშიც გაგრძელდება. ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ ამჟამად 40-მდე ქუჩაზე ტენდერი გვაქვს გამოცხადებული. რაც შეეხება ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტისთვის გაწეულ ხარჯებს, მათი შეჯამება უახლოეს დღეებში მოხდება,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა.

*24 საათი*

# სანიტარული დებატები პარლამენტში

ნანა ქადაგიშვილი

*უახლოეს მომავალში სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საპარლამენტო კომიტეტში სანიტარულ კოდექსში შესატანი ცვლილებების პროექტს წარადგენს. პროექტის განხილვას მწვავე დებატები მოჰყვება, რადგან კომიტეტი აღმასრულებელი უწყების მოსაზრებებს ბევრ რამეში არ იზიარებს.*

სანიტარულ კოდექსში შესატანი ცვლილებები ოთხი დონის სამედიცინო შემოწმების (მათ შორის, სანიტარული წიგნაკების), სანიტარული პასპორტებისა და ჰიგიენური სერტიფიკატების გაუქმებას ითვალისწინებს. ეს საკითხები მას შემდეგ გახდა აქტუალური, რაც პრეზიდენტი სამთავრობო სხდომაზე სანიტარული წიგნაკების გაუქმების ინიციატივით გამოვიდა.

1997 წელს დაწესდა ოთხი დონის სამედიცინო შემოწმება (შემოწმების დონეები სხვადასხვა პროფესიის მოთხოვნების მიხედვით განისაზღვრა). აქედან, სანიტარული წიგნაკის აღება მხოლოდ მეოთხე დონეში შემავალი პროფესიის ადამიანებს დაევალათ. ესენი არიან: სასწავლო დაწესებულებების პედაგოგები, სამედიცინო დაწესებულებების მედპერსონალი, კვების პროდუქტების საწარმოებში, საწყობებში, სავაჭრო ობიექტებსა და თამბაქოს ფაბრიკებში მომუშავეები.

წლების მანძილზე სანიტარული წიგნაკი მხოლოდ კორუფციის წყაროს წარმოადგენს. ნებისმიერ პოლიკლინიკაში მისი აღება 15 ლარად, ყოველგვარი შემოწმების გარეშე შეიძლება.

**"ექნება თუ არა კვების პროდუქტებით მოვაჭრეს ნაყიდი სანიტარული წიგნაკი, არაფერს ცვლის. აქედან გამომდინარე, ოთხივე დონის სამედიცინო შემოწმების გაუქმება არსებულ მდგომარეობას ვერ გააუარესებს,"** - აცხადებს სანიტარული ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის უფროსი დავით მესხიშვილი. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე კი სხვაგვარად ფიქრობს. **"არავინ უარყოფს, რომ სამედიცინო შემოწმების არსებული სისტემა ფორმალურია, მაგრამ, რადგან არ ვარგა, არ შეიძლება საერთოდ მოვსპოთ. სრული უკონტროლობა ინფექცია-ეპიდემიების გავრცელებას გამოიწვევს. ძველი უნდა გაუქმდეს და სამაგიეროდ, ახალი და რეალური სისტემა შეიქმნას,"** - აცხადებს კომიტეტის ხელმძღვანელი გიგი წერეთელი.

ჯერ ფორმალური სისტემა გავაუქმოთ და მერე ვნახოთო, - აცხადებს ინსპექციის ხელმძღვანელობა. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ინსპექციის მოსაზრებებს პრეზიდენტი და შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი იზიარებენ, ჯანდაცვის კომიტეტს, ალბათ, გაუჭირდება, სანიტარული კოდექსის აღნიშნული ფორმით ცვლილებას შეეწინააღმდეგოს.

სანიტარული ინსპექცია მალე სხვა ცვლილებებსაც მოამზადებს, რაც სანიტარული პასპორტისა და ჰიგიენური სერტიფიკატის გაუქმებას გულისხმობს. სანიტარული პასპორტი დღეისათვის საკვები პროდუქტის გადამტან ავტომანქანებზე გაიცემა; ჰიგიენური სერტიფიკატის აღება კი საკვები პროდუქტების საწარმოების ხელმძღვანელობას ევალება. სანიტარულ პასპორტებს მძღოლები ზუსტად იმავე "წესით" იღებენ, როგორც წიგნაკებს. ჰიგიენურ სერტიფიკატებს კი სანიტარული ინსპექცია ბოლო დროს აღარ გასცემს. **"საქართველოში არ არსებობს ლაბორატორია, რომელიც საკვების უსაფრთხოებას 100 პროცენტით განსაზღვრავს. ამიტომ ამ სერტიფიკატის გაცემას აზრი არ ჰქონდა,"** - აცხადებს მესხიშვილი.

საბაჟოზე არსებული სანიტარული სამსახური კი, ჯერჯერობით, გაუქმებას გადაურჩა. მართალია, ძირითადი აქცენტი მგზავრების (ვინც იმ ქვეყნებიდან მოდის, სადაც ეპიდემია-ინფექციებია გავრცელებული) შემოწმებაზე გადავა, მაგრამ საზღვარზე შემოტანილი საკვების შემოწმება, ჯერჯერობით, სანიტარული სამსახურის მოვალეობაში დარჩება. მომავალში კი, გამორიცხული არ არის, საზღვარზე არსებული რამდენიმე მაკონტროლებელი სამსახური ერთ უწყებაში გაერთიანდეს.


## ვაკანსია

შპს "არტი", Procter&gamble-ისა და Gillette-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში იწვევს 24 წლამდე ასაკის ვაჟებს სავაჭრო წარმომადგენლის თანამდებობაზე კონკურსანტთა შერჩევა მოხდება ტესტირებისა და გასაუბრების საფუძველზე.

**დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, ავტობიოგრაფია (CV) გამოაგზავნოთ**
**ფაქსზე: 94-18-94**
**ელ-ფოსტა: vacansy@arti.ge**


# კახეთს კიდევ ერთხელ გადაუარა ქარიშხალმა


*ქარიშხალმა სიღნაღის ბიბლიოთეკას სახურავი გადახადა. ბიბლიოთეკის შენობა, ცოტა ხნის წინათ, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გარემონტდა.*

კახეთის რეგიონს სტიქიამ უკვე მეორედ შეუტია. გუშინ, დღის პირველ ნახევარში, უეცრად ამოვარდნილმა ძლიერმა ქარბუქმა სიღნაღი, გურჯაანი და თელავის რაიონები აზარალა. ქარმა ათობით სახლს სახურავი გადახადა, ასწლოვანი ხეები კი ძირიანად დაგლიჯა. მწყობრიდან გამოვიდა ენერგოსისტემა. ქარიშხალმა, რომლიც მთელ კახეთს ერთი საათის მანძილზე უტევდა, ელექტროსადენები დაწყვიტა, რამაც რეგიონში ენერგომომარაგების პარალიზება გამოიწვია.

აღსანიშნავია, რომ ქარიშალს წინა დღეს მიწისძვრაც უძღოდა. წინასწარი მონაცამებით, სიმძლავრე ოთხ ბალს აღემატებოდა. განსაკუთრებით ძლიერი ბიძგები ყვარლის რაიონში დაფიქსირდა. აქ რამდენიმე სახლს ბზარებიც გაუჩნდა.

დაზარალებული ოჯახები გუშინვე მოინახულა პრეზიდენტის რწმუნებულმა კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილმა და მოსახლეობას დახმარებას დაჰპირდა.

*24 საათი*


## შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგური" აცხადებს კონკურსს კომეტა-51-ს ტაიმ-ჩარტერით იჯარით გაცემის შესახებ

ინფორმაცია იჯარით გასაცემი ობიექტის შესახებ:

კომეტა 51
ტიპი - კომეტა-მ
აშენების წელი - 1981
დედვეიტი - 142,3
ტვირთამწეობა - 114 მგზავრის
იჯარის ვადა - 1 (ერთი) წელი
იჯარის საწყისი ფასი შეადგენს თვეში 10 000 ლარს

- მოიჯარე გაუწევს რა იჯარით აღებულ საშუალებას ექსპლუატაციას, დაფარავს მისი ექსპლუატაციისათვის აუცილებელ ყველა ხარჯს, რაც მოიცავს პერსონალის სახელფასო ფონდს, საწვავის, მასალებისა და მიმდინარე შეკეთების, აუცილებელი კაპიტალური რემონტის, მეტროლოგიური, რეგისტრის დამოწმების და ყველა სხვა საერთო და საექსპლუატაციო ხარჯებს.

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

- კონკურსში მონაწილეთა განაცხადები, რომელშიც სავალდებულოა აისახოს მოიჯარის თანხმობა გამოცხადებულ საკონკურსო პირობების შესრულებაზე;
- მოიჯარის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტებში, რომელიც ილუქება მის მიერ;
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ( ფიზიკური პირის შემთხვევაში)
- ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
- იურიდიული პირი დამატებით წარმოადგენს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს;
- კონკურსში მონაწილეთა წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნა იწარმოებს ერთთვიანი ვადის გასვლის მეორე დღეს;
- კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესატანი " ბე"-ს ოდენობა შეადგენს 10 000 ლარს, რომელიც უნდა გადაირიცხოს შემდეგ საბანკო ანგარიშზე: TBC- ბანკის ფოთის ფილიალი ა/ა-609103, კოდი 2200101937. კონკურსში დამარცხებულს (დამარცხებულებს) მითითებული თანხა დაუბრუნდება (დაუბრუნდებათ) ერთი კვირის ვადაში;
- კონკურსში გამარჯვებული გამოვლინდება საკონკურსო კომისიის მიერ წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნიდან არაუგვიანეს 3 დღისა;
- კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და მაღალი საიჯარო ქირის გადახდა;
- განცხადებები მიიღება კონკურსის გამოცხადების დღიდან ერთი თვის განმავლობაში შემდეგ მისამართზე:

**ქ. ფოთი, აღმაშენებლის ქ. #52, tel: 7 01 48**

# ბუშის ვიზიტი საქართველოში

პირველი გვერდიდან

**რომ "არსებობს განსხვავებული ინფორმაციები იმის შესახებ, თუ რა მოხდა, და რას წარმოადგენდა ეს ნივთი (ხელყუმბარა)".**

თუმცა, ეს განცხადება საერთო სიტუაციას უკვე ნაკლებად ცვლიდა. გუშინ დილით დაწყებულმა ინფორმაციულმა პანიკამ, ვითომდა ჯორჯ ბუშზე საქართველოში წარუმატებელი ტერაქტის შესახებ, აშშ-ს პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტით შექმნილი "ემოციური განწყობა" მცირეოდენ შეცვალა.

ბრიტანულმა გავლენიანმა გამოცემა "თაიმს"-მა ამერიკის პრეზიდენტის სტუმრობას საქართველოში სარედაქციო წერილი მიუძღვნა სათაურით - "ჯორჯი და ჯორჯია - დემოკრატია რთული მეზობლების მყოლ ქვეყანაში", - სადაც ხაზგასმული იყო, რომ თბილისში ჯორჯ ბუშის გამოსვლას საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ხალხის ყველაზე დიდი რაოდენობა ესწრებოდა.

გაზეთის აზრით, ბუშს აღტაცებული ქართველები ეგებებოდნენ არამარტო იმიტომ, რომ იგი საქართველოში ჩასული პირველი ამერიკელი პრეზიდენტია, არამედ, მისი ღიად დაფიქსირებული მხარდაჭერის გამო.

"თაიმს"-ს არ გამორჩენია ბუშის განცხადება იმის შესახებ, რომ სხვა ქვეყნებმა პატივი უნდა სცენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას; გამოცემის აზრით, ეს **"ცუდად შენიღბული კრიტიკაა მოსკოვის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისადმი აღმოჩენილ ფინანსურ და სამხედრო მხარდაჭერაზე".** თუმცა, გაზეთი იმასაც აღნიშნავს, რომ მსგავსი განცხადებებისთვის დრო - მოსკოვში "გამარჯვების დღის" ზეიმის შემდეგი დღე - არცთუ კარგად არის შერჩეული.

აშშ-ს ეს განცხადება, ალბათ, რუსეთს პროვოკაციულად მოეჩვენება, - ასკვნის "თაიმსი". **"რასაკვირველია, რუსეთს არ აქვს უფლება საზღვრებს გარეთ ვინმეს თავისი პოლიტიკა მოახვიოს თავს და თავის მეზობელ ქვეყნებში მიმდინარე პროცესების თაობაზე იმაზე მეტი შეშფოთება გამოთქვას, ვიდრე ამას აშშ აკეთებს ლათინური ამერიკის ქვეყნებთან მიმართებაში, მაგრამ რუსეთს ერთდროულად რამდენიმე კოზირი აქვს ხელთ,"** - წერს ბრიტანული გაზეთი. პირველ რიგში ესაა საქართველოს დამოკიდებულება რუსულ ენერგომატარებლებზე. ასევე, ის ფაქტორი, რომ საქართველოს მოქალაქეთა ძალიან დიდ რიცხვი (დაახლოებით 1 მლნ ადამიანი) ცხოვრობს რუსეთში და იქ მიღებული შემოსავლით ინახავს ოჯახს. ასე რომ, გაზეთი ასკვნის - **"შესაძლოა, რუსეთი კიდეც აქეზებს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ განწყობას, მაგრამ არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ ამ რეგიონებში მცხოვრებთა უმრავლესობას თბილისის ხელისუფლებასთან ყოფნას, კრემლი ურჩევნია".** და კიდევ ერთ მნიშნელოვანი ფაქტორი საქართველოში ჯერ კიდევ მყოფი რუსეთის სამხედრო ბაზებია.

ამავდროულად, ბრიტანული გაზეთი პატივისცემით საუბრობს მიხეილ სააკაშვილის პრაგმატულ პოლიტიკაზეც. **"მას ესმის, რომ მიუხედავად ზოგჯერ აშკარად მტრული დამოკიდებულებისა, გეოპოლიტიკური ვითარება მას რუსეთთან თანამშრომლობას კარნახობს**, - ასკვნის "თაიმსი", - **ორივე მხარეს არსებული მტრობა ვერაფრით დაეხმარება ენერგიულ, მაგრამ გაღატაკებულ ქართველ ხალხს."**

დღესასწაულების შემდეგ გამოსულმა რუსულმა გაზეთებმა საკმაოდ ვრცელი ანალიტიკური მასალები მიუძღვნეს ჯორჯ ბუშის ვიზიტს პოსტსაბჭოთა სივრცეში. **"ბუშის ბლიც-ვიზიტმა რუსეთსა და ორ მეზობელ ქვეყანაში - ლატვიასა და საქართველოში - ამერიკის პრეზიდენტს, უდავოდ, მისცა შესაძლებლობა, პოლიტიკური ტალანტი გამოევლინა,"** - წერს **"ნეზავისიმაია გაზეტა"** სტატიაში სათაურით - **"ორი პრეზიდენტის გულახდილი კამათი". "იგი წარმოჩინდა არამარტო როგორც "დემოკრატიული ფასეულობების" პროპაგანდისტი, არამედ როგორც გამოცდილი დიპლომატი. ამ ქვეყნებისთვის მხარდაჭერის გამოხატვისას, მას არ გამოუწვევია მოსკოვის ნეგატიური რეაქცია".**

იგივე გაზეთი სხვა სტატიასაც აქვეყნებს ბუშის ევროპულ ტურნეზე - **"ბუშის სამმაგი დიპლომატია",** სადაც აღნიშნავს, რომ **"ბუშის მრავლისმეტყველი დუმილი დასავლეთში არსებულ შეშფოთებაზე რუსეთში დემოკრატიის ბედის შესახებ, შეიძლება აღქმული იყოს, როგორც პუტინის შიდაპოლიტიკური კურსის მხარდაჭერა". "თუმცა, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ პუტინისადმი სიმპატიით განწყობილი ბუში, სრულიად განსხვადება ბუშისგან, როემლიც ამერიკას გამოხატავს,"** - წერს გაზეთი.

გაზეთი **"ნოვიე იზვესტია"** აღნიშნავს, რომ **"რიგაში გამოსვლისას ბუშმა ბალტიისპირეთის ქვეყნები სანიმუშო დემოკრატიებად წარმოაჩინა, რომელთაც მაგალითი შეუძლიათ მისცენ ბელარუსსა და რუსეთს. ასევე, დახმარება აღუთქვა მათ "დიდი სახელმწიფოების მხრიდან" (იგულისხმება რუსეთი) საფრთხის შემთხვევაში; და მხოლოდ და მხოლოდ მცირე მითითება მისცა მასპინძლებს ეროვნულ უმცირესობათა პრობლემების მიმართ არასაკმარისი ყურადღებისთვის".**

ბუშის საქართველოში ვიზიტის კომენტირებისას გაზეთი **"კომერსანტი"** აღნიშნავს, რომ **"თავისი ვიზიტით თეთრი სახლის პატრონი საბოლოოდ სვამს პოსტსაბჭოთა სივრცეში ამერიკული პოლიტიკის აქცენტებს".** აშშ-ს პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის ყველაზე მთავარ დანიშნულებად კი რუსული გაზეთი იმას თვლის, რომ **"ბატონი ბუშის მიერ თბილისში გამოხატული მზადყოფნა, შუამავლის როლი შეასრულოს რუსეთსა და საქათველოს შორის არსებულ დავაში რუსული ბაზების საქართველოდან გაყვანის შესახებ - არსებითად აშშ-ს მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის სივრცეში ახალი როლის დაკავებაზე გაკეთებული განაცხადია".**

# ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენში ნავთობის ჩაშვება დაიწყო

*აზერბაიჯანის დედაქალაქიდან 40 კილომეტრის დაშორებით, "სანგაჩალის" ტერმინალზე, კომპანია "ბიტისი კო"-მ, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის ექსპლოატაციის ოპერატორია, საექსპორტო ნავთობსადენის ტექნიკური შევსება დაიწყო.*



25 მაისს, "სანგაჩალის" ტერმინალზე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის ოფიციალური ცერემონიალი გაიმართება, რომელშიც ამერიკის შეერთებული შტატების, აზერბაიჯანის, საქართველოს, თურქეთისა და ყაზახეთის ლიდერები მიიღებენ მონაწილეობას.

მანამდე კი კომპანია "ბი-პი"-ის პრესსამსახურმა მილსადენის ნავთობით შევსების პროცესის დაწყებაზე ინფორმაცია გაავრცელა.

"აზერბაიჯანში, სანგაჩალის ტერმინალში კომპანია "ბიტისი კო"-მ ნავთობის ჩაშვება დაიწყო და ამით ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის საექსპორტო ნავთობსადენის შევსების პირველი ეტაპის განხორციელება ძალაში შევიდა," - ნათქვამია კომპანიის მიერ გუშინ გავრცელებულ პრესრელიზში.

1770 კილომეტრი სიგრძის მილსადენში ნავთობი კასპიის ზღვაში მდებარე "აზერი-ჩირაგ-გიუნეშლი"-ს საბადოდან ხვდება, მისი სრულად შევსებისთვის კი 10 მილიონი ბარელი ნავთობია საჭირო.

მილსადენის შევსება ეტაპობრივად განხორციელდება და პროცესი 6 თვეზე მეტხანს გასტანს. ამასთან, თურქულ პორტ ჯეიჰანიდან პირველი ტანკერის გადატვირთვა 2005 წლის მეოთხე კვარტალში იგეგმება.

აზერი-ჩირაგ-გიუნეშლის ნავთობსაბადოს სავარაუდო მარაგი 5,4 მილიარდი ბარელია. მისი მოპოვება 2024 წლამდე გაგრძელდება. მაქსიმალური დატვირთვით კი ნავთობსადენი 3-4 წლის შემდეგ ამუშავდება.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის 1770 კილომეტრი სიგრძის მილსადენი, საიდანაც საქართველოს ტერიტორიაზე 248 კილომეტრიანი მონაკვეთი გადის, ბაქოს მახლობლად მდებარე სანგაჩალის სახმელეთო ტერმინალიდან იწყება და საქართველოს გავლით ახალ საექსპორტო ტერმინალ ჯეიჰანამდე მიედინება. აქედან ნავთობი დაიტვირთება ტანკერებზე, რომლითაც იგი ევროპულ ბაზარს მიაღწევს.

ნავთობსადენს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ის ამერიკის შეერთებული შტატების და ევროპის მიერ კასპიის ზღვის ნავთობის მარაგის მიღებას უზრუნველყოფს.

აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები ყაზახეთთან ამ მარშუტით ყაზახური ნავთობის ტრანსპორტირების თაობაზე და, თუ ასტანა აღნიშნულ წინადადებას დასთანხმდება, კასპიის ნავთობის დიდ ნაწილს დასავლელი მომხმარებლები მას სამხრეთ კავკასიის გავლით და რუსეთის გვერდის ავლით მიიღებენ.

კასპიის აუზის ნავთობის ტრანპორტირების მარშრუტები უკვე დიდი ხანია რუსეთსა და აშშ-ს შორის დავის საგანს წარმოადგენს. თუმცა, ჯერჯერობით, აშკარაა, რომ დაპირისპირება რუსეთის სასარგებლოდ ძნელად თუ გადაწყდება. მაგალითად, მოსკოვს არაერთხელ გაუკეთებია განცხადება, რომ მარშრუტი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი ეკონომიკურად წამგებიანია და კასპიის ნავთობის მსოფლიო ბაზარზე მისაწოდებლად საკუთარი სატრანსპორტო რესურსები შეუთავაზებია, თუმცა უშედეგოდ.

აშშ კი ცალსახად უჭერს მხარს კასპიის ნავთობის ექსპორტირების ალტერნატიულ ვარიანტს (დასავლეთის მარშრუტი) და ამისთვის უსაფრთხოების ახალი პროექტების განხორციელებასაც არ ერიდება. ერთ-ერთი ასეთთაგანი ახალი ამერიკული პროექტია, რომლის სახელწოდებაც "კასპიის დაცვაა". აღნიშნული პროექტი კასპიის ნავთობსაბადოების უსაფრთხოებისათვის 100 მილიონი აშშ დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

"კასპიის დაცვის" პროექტის შესახებ აქტიურად მიმდინარეობს საუბრები ოფიციალური ვაშინგტონის წარმომადგენელებს შორის. ამ თემას არანაკლები მონდომებით ამერიკული მედიის წამყვანი საშუალებებიც აშუქებენ. საქმე კასპიისპირა სახელმწიფოების, პირველ რიგში, კი აზერბაიჯანისა და ყაზახეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის გაძლიერებას ეხება.

გაცხოველებული საუბრებისა და განსჯის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ "კასპიის დაცვის" პროექტის განხორციელება უკვე გადაწყვეტილია. ამას ყაზახეთში აშშ-ს ელჩის ჯონ ორდუეის განცხადებაც ცხადყოფს. ამერიკელი დიპლომატის თქმით, აშშ-ს მთავრობა ყაზახეთის შეიარაღებული ძალებისათვის დახმარების შესაძლებლობას განიხილავს, რათა ამ სახელმწიფომ თავისი კასპიისპირა საზღვრის უსაფრთხოება გააძლიეროს.

ეს დახმარება მოიცავს ტექნიკური, მათ შორის, რადიოელექტრონული დაზვერვისა და თვალთვალის საშუალებების გადაცემას; მათ განთავსებას კასპიის ზღვის სანაპიროზე. გარდა ამისა, პროექტი ყაზახეთისა და აზერბაიჯანის სამსახურების მომზადებასაც ითვალისწინებს.

*24 საათი*

# "გამარჯვების დღე" პოლონეთსა და რუსეთს შორის დაძაბულობას ზრდის

პოლონეთის პრეზიდენტი ალექსანდრ კვასნევსკი რუსეთთან ურთიერთობის გაციებას, "ნარინჯისფერი რევოლუციის" დროს უკრაინაში გამართული საპრეზიდენტო არჩევნებისას შექმნილი კრიზისის განმუხტვაში, პოლონეთის მიერ შესრულებულ როლს უკავშირებს.

კვასნევსკი შუამავლის როლს ასრულებდა უკრაინის ყოფილ და ახალ ხელისუფლებას შორის. მისი თქმით, ურთიერთობების გაფუჭების მიზეზი გახდა არა გამარჯვების 60 წლისთავის აღნიშვნა, არამედ **"ვითარება, რომლის საფრთხის წინაშეც რუსეთის ინტერესები აღმოჩნდა".**

**"მე უკრაინაში კრიზისის განმუხტვაში პოლონეთისა და ევროკავშირის მონაწილეობას ვგულისხმობ,"** - აღნიშნა მან რადიო-ინტერვიუში.

კვასნევსკი 9 მაისს მოსკოვში გამართული გამარჯვების დღის აღსანიშნავ ღონისძიებებში მონაწილეობდა, სადაც მოსკოვსა და ევროპულ დედაქალაქებს შორის ბალტიის ქვეყნებზე საბჭოთა ოკუპაციის თაობაზე მკაცრი განცხადებების ურთიერთგაცვლას ჰქონდა ადგილი.

**"შესაძლოა ისე მოხდეს, რომ 9 მაისის შემდეგ ჩვენ ერთმანეთს ჩამოვშორდებით. მიზეზი კი იქნება განსხვავებული მოსაზრებები და იმ ფაქტის გააზრება, რომ რუსები ვერც ვერასდროს შეიგნებენ რამეს. თავის მხრივ, ამ ყველაფერს კი პოლიტიკური შედეგი ექნება თუნდაც რუსეთსა და ევროკავშირს შორის კონტაქტებისთვის,"** - აღნიშნა კვასნევსკიმ მოსკოვში. თუმცა, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მან უთანხმოების განეიტრალება სცადა და იმედი გამოთქვა, რომ დაძაბულობა პერმანენტულ ხასიათს არ მიიღებს, **"თუ ის არ გამწვავდება უპასუხისმგებლო განცხადებებითა და მოქმედებებით".**

ალექსანდრ კვასნევსკი არ დაეთანხმა იმას, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა პოლონელ ომის ვეტერანებს შეურაცხყოფა მიაყენა, რადგან პოლონეთი არ მოიხსენა ანტიჰიტლერისეულ კოალიციაში.

**"არ გვაქვს მიზეზი ვიფიქროთ, რომ პოლონეთი და პოლონელი ვეტერანები ცუდ მდგომარეობაში და არასწორად იქნენ წარმოდგენილნი,"** - განაცხადა კვასნევსკიმ.

მიუხედავად ამისა, როგორც "ესოშიეითედ პრესი" იტყობინება, რუსეთის ბოლოდროინდელმა განცხადებებმა პოლონეთში უარყოფითი ემოციები გამოიწვია.

პოლონეთში გასტროლებზე ჩასული დიდი თეატრის მსახიობების საბალეტო წარმოდგენა გადაიდო. მიზეზი იყო ის, რომ ვარშავასა და ოლშტინში მაყურებლებმა ბილეთების მასობრივად დაბრუნება დაიწყეს.

**"ხალხი იმას აპროტესტებს, რაც მოსკოვში მოხდა და პროტესტის გამოხატვის სხვა გზა ვერ მათ მონახეს,"** - განაცხადა გასტროლების ორგანიზატორმა ვიქტორ სვიტონიაკმა.

*ბი-ბი-სი*

# პანიკა ვაშინგტონში

## ცრუ განგაში თუ ტერაქტის მცდელობა?

ვაშინგტონის დახურულ საჰაერო სივრცეში გუშინ დილით მცირე ზომის თვითმფრინავი შეიჭრა. მისი შემჩნევისთანავე თეთრ სახლსა და მიმდებარე ტერიტორიაზე თანამშრომელთა სასწრაფო ევაკუირება მოხდა.

მოგვიანებით, ცნობილი გახდა, რომ თეთრი სახლის თავზე საჰაერო სივრცის დამრღვევი ერთძრავიანი კერძო თვითმფრინავი "სესნა" იყო.

როგორც ამერიკულმა ტელეარხები იტყობინებოდნენ, პრეზიდენტი ჯორჯ ბუში ინციდენტის დროს თეთრ სახლში არ იმყოფებოდა. ადგილზე იყო მხოლოდ შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი, რომელმაც გაძლიერებული დაცვის თანხლებით სასწრაფოდ დატოვა რეზიდენცია.

განგაშის გამოცხადებისთანავე, თეთრი სახლის სახურავი და მიმდებარე ტერიტორია, სნაიპერებმა და შეერთებული შტატების პრეზიდენტის შეიარაღებულმა დაცვამ კონტროლქვეშ აიყვანა.

განგაში, მისი გამოცხადებიდან 15 წუთში გაუქმდა, ხოლო თეთრი სახლის თანამშრომლებს სამუშაო ადგილებზე დაბრუნების უფლება მისცეს.

ინციდენტი კაპიტოლიუმის შენობიდან ხუთ კილომეტრში მოხდა. "სესნა" ვაშინგტონის საჰაერო სივრცეში ჩრდილოეთიდან, შტატ მერილენდის მხრიდან შეიჭრა.

ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებების ცნობით, მთელი ამ ხნის განმავლობაში, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრი დონალდ რამსფელდი პენტაგონის შენობაში იმყოფებოდა.

ამერიკულმა გამანადგურებლებმა თვითმფრინავი ვაშინგტონის გარეუბნისკენ გააცილეს და პილოტს დაჯდომა აიძულეს.

წინასწარი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, საჰაერო სივრცის შემთხვევით, არაგამიზნულ დარღვევას ჰქონდა ადგილი.

*24 საათი*




## "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი მომხმარებლისკენ

"თიბისი ბანკი" კვლავინდებურად ნოვატორის ამპლუაში გვევლინება და საზოგადოებას მორიგ ინიციატივას სთავაზობს. ბანკის ახალი პროექტის - "9 ნაბიჯი მომხამრებლისკენ" - მორიგი სიახლის პრეზენტაცია, რომელიც სამომხმარებლო სესხების პირობების გამარტივებას ითვალისწინებდა, ერთი კვირის წინათ წარმატებით შედგა. თიბისი ბანკი მომხმარებელს უახლოეს ხანებში სხვა მომსახურებებსაც გამარტივებული და გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზებს.

პროექტი "9 ნაბიჯი მომხმარებლისაკენ" გულისხმობს ბანკის მიერ 9 კვირის განმავლობაში 9 კონკრეტული სიახლის განხორციელებას მომხმარებლებისთვის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. "თიბისი ბანკის" 9 ნაბიჯი რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გადაიდგმება. კერძოდ, ბანკის მიზანია მომხმარებელთან მაქსიმალური "მიახლოება" უშუალო კომუნიკაციის საშუალებით და მის მოთხოვნილებებზე მორგება, ახალი თანამედროვე საბანკო პროდუქტების დანერგვა და არსებული სერვისების დახვეწა მომხმარებელთა საჭიროების შესაბამისად.

### ნაბიჯი 3 - რეალური საკრედიტო ბარათები

ახალი მომსახურებების დანერგვა და არსებული სერვისების პირობების გამარტივება "თიბისი ბანკს" დამატებით კონკურენტულ უპირატესობას ანიჭებს. "თიბისი ბანკის" ხელმძღვანელობა ტრადიციებს არ ღალატობს და, ფინანსური მაჩვენებლების ზრდის პარალელურად, მომხმარებელს გაუმჯობესებელ სერვისებს და მეტ კომფორტს სთავაზობს.

"თიბისი ბანკის' ყოველთვის გამოირჩევა მოსახლეობისთვის ინოვაციური საბანკო პროდუქტების შეთავაზებით და არსებული მომსახურებების მუდმივი დახვეწის ინტენსივობით. მომხმარებლისკენ მორიგი ნაბიჯი ახალი პროდუქტის - საკრედიტო ბარათების დანერგვაა. აგრეთვე მიზნობრივი სეგმენტის მოთხოვნების დაკმაყოფილება და გამძაფრებულ კონკურენტულ გარემოზე რეაგირება.

"დღემდე საქართველოში გამოშვებული პლასტიკური ბარათები წარმოადგენს სადებეტო ბარათს - მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ იმ თანხის აღება და დახარჯვა, რაც მის საბარათე ანგარიშზე არის დარიცხული. საკრედიტო ბარათის მფლობელს კი შეუძლია ანგარიშზე არსებულ თანხაზე გაცილებით მეტი თანხის მიღება. საკრედიტო ბარათი - ესაა სესხის აღების სწრაფი, თანამედროვე და მოხერხებული საშუალება. საკრედიტო ბარათის მფლობელს შეუძლია ნებისმიერ დროს დახარჯოს ანგარიშზე არსებულ თანხაზე გაცილებით მეტი, ანუ მომენტალურად მიიღოს ბანკისგან კრედიტი, რომლის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის საკმაოდ ხელმისაწვდომი და იაფია", - ჩვენთან საუბარში განაცხადა **"თიბისი ბანკის" მარკეტინგის განყოფილების უფროსმა, ვაჟა ბერიაშვილმა.**

"თიბისი ბანკის" მიზანია კლიენტებთან დაამყაროს გრძელვადიანი თანამშრომლობა, ამიტომაც საკრედიტო ბარათი არის პრაქტიკულად უვადო კრედიტი და მომხმარებელს შეუძლია ბარათის საშუალებით აღებული სესხი ნებისმიერი საჭიროებისთვის გამოიყენოს. ამასთან, საკრედიტო ბარათები სტიმულს აძლევს მოსახლეობას, შეიძინოს სხვა და სხვა სახის პროდუქცია სავაჭრო ობიექტებში.

მომხმარებლისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სესხის უზრუნველყოფის (გირაოს) საკითხი. საკრედიტო ბარათი იმითაცაა ხელსაყრელი, რომ მასზე მომხმარებელს არ მოეთხოვება უზრუნველყოფა - კერძოდ, საკრედიტო ბარათის მეშვეობით მიღებულ სასესხო თანხაზე მომხმარებელს უზრუნველყოფა არ მოეთხოვება, სესხის გაცემა გირაოს გარეშე ხდება.

საკრედიტო ბარათის მფლობელთათვის კრედიტის თანხა მერყეობს 200-დან 10 ათას ამერიკულ დოლარამდე. ამასთან, ათვისებული საკრედიტო ლიმიტი მომხმარებელს შეუძლია დაფაროს მთლიანად ან ნაწილობრივ. მინიმალური გადასახდელი თანხა კი შეადგენს, თვის ბოლო რიცხვის მდგომარეობით, ათვისებული კრედიტის 10 პროცენტს და ამას დამატებული დარიცხული პროცენტი. "თიბისი ბანკის" წლიური საპროცენტო განაკვეთი 19 პროცენტია.

კლიენტი, ერთი თვის განმავლობაში, ირჩევს კრედიტის დაფარვის მისთვის მოსახერხებელ თარიღს. გასათვალისწინებელია, რომ კლიენტი პროცენტს იხდის მხოლოდ მის მიერ რეალურად ათვისებული კრედიტის თანხაზე. საკრედიტო ბარათი შეიძლება იყოს ელექტრონის, კლასიკისა და გოლდის ტიპის.

**და მაინც რა უპირატესობა გააჩნია საკრედიტო ბარათს?**

**საშეღავათო პერიოდი - კლიენტის ანგარიშს არ ერიცხება პროცენტი იმ შემთხვევაში, თუ დავალიანების წარმოშობიდან 5 დღეში მომხმარებელი სრულად დაფარავს სესხს.**

**ზრდადი საკრედიტო ლიმიტი - ყოველ 6 თვეში ერთხელ ბანკი განიხილავს კლიენტისთვის საკრედიტო ლიმიტის ზრდის შესაძლებლობებს.**

**მინიმალური ნაშთის არარსებობა - სადებეტო ბარათისგან განსხვავებით, საკრედიტო ბარათებს არ მოეთხოვება მინიმალური ნაშთი.**

**მოქნილობა - დამტკიცებული საკრედიტო ლიმიტის ფარგლებში კლიენტს შეუძლია აიღოს, დაფაროს და შემდეგ ხელახლა აიღოს კრედიტი. ან სულაც არ ისარგებლოს სესხით და ის მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევისთვის შემოინახოს.**

**ვადა - საკრედიტო ბარათი, კარგი საკრედიტო ისტორიის კლიენტებისთვის, ფაქტობრივად, არის უვადო კრედიტი.**

"თიბისი ბანკი" ცდილობს კლიენტებისთვის მაქსიმალურად მისაღები გახადოს საკრედიტო ბარათების აღება. ამიტომაც საკრედიტო ბარათის მფლობელს მინიმალური საბუთების წარდგენა მოეთხოვება. ესენია: პირადობის მოწმობა, განაცხადი, შრომითი ხელშეკრულება, რეკომენდაცია სამსახურიდან. მაგრამ იმ პირებს, რომლებსაც ხელფასი ერიცხებათ "თიბისი ბანკში" 6 თვეზე მეტი ხნის განმავლობაში, არიან ბანკში მიმდინარე სესხის მქონე პირები, ასევე პიროვნებებს, რომელთაც გააჩნიათ "თიბისი ბანკში" ბრუნვა ანგარიშზე, მხოლოდ პირადობის მოწმობა და განაცხადი მოეთხოვებათ.

განაცხადის შევსებიდან მეორე დღეს "თიბისი ბანკი" სესხის გაცემის თაობაზე საბოლოო პასუხს იძლევა. ბანკი უკავშირდება უშუალოდ კლიენტს, აზუსტებს ინფორმაციას და საჭირო საბუთების წარმოდგენას სთხოვს. მხოლოდ ამის შემდეგ ბანკი ატყობინებს საკრედიტო ბარათის აღების მსურველს საკრედიტო ლიმიტის დამტკიცების შესახებ და უთანხმებს ბარათის გადმოცემის თარიღს.

"თიბისი ბანკის" საკრედიტო ბარათით სარგებლობისთვის კლიენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ზოგად პარამატრებს: თვიური შემოსავალი - მინიმუმ 300 ამერიკული დოლარი, სამუშაო გამოცდილება - მინიმუმ 6 თვე, ასაკი - 20-63 წელი.

"ვიზა" საკრედიტო ბარათი სადებეტო ბარათებისაგან განსხვავებით საშუალებას აძლევს კლიენტს ჯერ დახარჯოს თანხა, ხოლო შემდგომ ეს თანხა დაფაროს. ეს არის ის სიახლე, რომელსაც "თიბისი ბანკი" მაისიდან ახორციელებს. ამჟამად "ვიზასთან" საქართველოს 10 კომერციული ბანკი თანამშრომლობს. ქვეყანაში 105 ათასი ბარათია გაშვებული, რომელთა ბრუნვაც 105 მილიონ დოლარს შეადგენს. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ საკრედიტო ბარათები სტიმულს მისცემს მოსახლეობას შეიძინონ სხვა და სხვა სახის პროდუქცია სავაჭრო ობიექტებში. "თიბისი ბანკის" ახალი ინიციატივა სავაჭრო ობიექტებში სავაჭრო ბრუნვის გაზრდასაც შეუწყობს ხელს, რაც, შესაბამისად, გაზრდის ბიუჯეტში შენატანებს.



*მოკლედ*

## ვალუტის კურსი დოლართან მიმართებაში 1.8225 ლარით განისაზღვრა

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟის 11 მაისის ვაჭრობაში მონაწილეობა სამმა კომერციულმა ბანკმა (გამყიდველის სტატუსით) და ეროვნულმა ბანკმა (მყიდველის სტატუსით) მიიღო. დაიდო 3 საბირჟო გარიგება, რომლის საერთო მოცულობამ 505.000 აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული თანხა ეროვნულმა ბანკმა შეისყიდა.

საბირჟო ვაჭრობა დაიწყო კურსით 1 აშშ დოლარი - 1.8275 ლარი. კომერციული ბანკების მხრიდან უცხოურ ვალუტაზე თავდაპირველი მოთხოვნა არ ყოფილა, ხოლო მიწოდებამ 395.500 აშშ დოლარი შეადგინა. თბს-ს დღევანდელ ვაჭრობაზე მოთხოვნა-მიწოდება დაბალანსდა კურსით 1 აშშ დოლარი - 1.8225 ლარი.

12 მაისიდან ძალაშია ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი 1 აშშ დოლარი - 1.8225 ლარი. ამავე პერიოდისათვის შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 აშშ დოლარს 1.8250 ლარად ყიდულობდნენ და 1.8350-ად ყიდდნენ.

თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დღესვე შედგა 350.000 ევროს მოცულობის გარიგება, რომელშიც ორი კომერციული ბანკი მონაწილეობდა. მიმდინარე კურსი 1 ევრო/2.3659 ლარი იყო, ხოლო დაფიქსირებული კურსი - 1 ევრო/2.3450 ლარი.

ამავე პერიოდისათვის შიდა სავალუტო ბაზარზე ვალუტის გადამცვლელი პუნქტები 1 ევროს 2.3500 ლარად ყიდულობდნენ და 2.3700 ლარად ყიდდნენ. **ინტერ-პრესი**

## სახაზინო ვალდებულებების N15 აუქციონი

11 მაისს 364-დღიანი სახაზინო ვალდებულებების N15 აუქციონზე გასაყიდად გამოიტანეს 2 000 000 (ორი მილიონი) ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები. აუქციონზე წარმოდგენილ იქნა 5 კომერციული ბანკის 21 განაცხადი 54 500 ცალ სახაზინო ვალდებულების ყიდვაზე, თანხით 5 450 000 ლარი. დაკმაყოფილდა 11 კონკურენტული განაცხადი, მათ შორის, 1 - ნაწილობრივი და 2 - არაკონკურენტული, რომელთა საანგარიშსწორებო ფასის საერთო თანხამ 1811519.68 ლარი შეადგინა.

დაკმაყოფილებული განაცხადებიდან მინიმალურმა საპროცენტო განაკვეთმა - 9,40 პროცენტი, მაქსიმალურმა - 11,75 პროცენტი და საშუალო შეწონილმა საპროცენტო განაკვეთმა - 10,43 პროცენტი შეადგინა. **მედიანიუსი**

## უკრაინის მთავრობა რუსული ნავთობის ალტერნატივას ეძებს

უკრაინის მთავრობა რუსული ნავთობის ალტერნატივას ეძებს. როგორც დღეს პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ განაცხადა, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ უკრაინას რუსული ნავთობი უფრო ძვირად მიეწოდება, ვიდრე ის მსოფლიო ბაზრებზე ღირს. მთავრობის მეთაურის თქმით, 1 ივნისიდან რუსეთში ნავთობის საექსპორტო საბაჟო გადასახადის გაზრდის შემდეგ უკრაინის ნავთობის გადამამუშავებელი ქარხნებისთვის ერთი ტონა ნედლეულის ღირებულება 318-დან 340 დოლარამდე გაიზრდება. ამჟამად უკრაინის მთავრობა 318 დოლარად ნავთობის შეძენის შესაძლებლობას განიხილავს. ერთ-ერთ ვარიანტად ყაზახური ნავთობი სახელდება. **ინტერ-პრესი**

# ენგურჰესი, სავარაუდოდ, 20 დღით გაჩერდება

*საგაზაფხულო ენერგოკრიზისის გამო, ენგურჰესის რეაბილიტაციის მიზნით გაჩერება რამდენიმეჯერ გადაიდო. თუმცა, "ენგურჰესი" რამდენიმე დღით, როგორც ჩანს, მაინც გაჩერდება.*

დიანა ჩაჩუა

როგორც ენგურჰესის გენერალურმა დირექტორმა ლევან მებონიამ გუშინ განაცხადა, ჰესი, სავარაუდოდ, 20 დღით გაჩერდება. უკვე დაწყებულია მოსამზადებელი სამუშაოები ჰესის გაჩერებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ხდება ჭარბი წყლის გამოშვება დღე-ღამეში 350 კუბ.მეტ წამში მოცულობით.

როგორც მებონიამ განაცხადა, ამჟამად ენგურჰესზე ოთხი აგრეგატი მუშაობს, რომელსაც 880-900 მეგავატი სიმძლავრის გამომუშავება შეუძლია. თუმცა, ვინაიდან მოთხოვნა არ არის, ჰესი პიკზე 680-700 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს. წყლის დონე ენგურჰესზე ამჟამად 425 მეტრია, რაც ნორმას წარმოადგენს.

თუ როგორ მოხდება ენგურჰესის გაჩერებით გამოწვეული დეფიციტის შევსება, ჰესის გაჩერების შესახებ გადაწყვეტილების მიიღებს შემდეგ გახდება ცნობილი. როგორც ენერგეტიკის სამინისტროში განაცხადეს, რამდენიმე ალტერნატიული ვარიანტი განიხილება. კერძოდ, იმპორტის აღდგენა სომხეთიდან, იმპორტი თურქეთიდან, თბილსრესის მე-3 ენერგობლოკის ჩართვა და სხვა.

თუმცა, სტიქიის გამო საქართველოს რეგიონების ნაწილი ენერგოშეზღუდვებს დღესაც - ენგურჰესის გაჩერებამდეც განიცდიდა. საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ინფორმაციით, მცხეთა-მთიანეთის ფილიალისთვის სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი 60 ათას ლარს აღწევს.

როგორც ფილიალის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა გიორგი რევაზაშვილმა განაცხადა, აპრილის თვის ბოლოს და მაისის დასაწყისში გადაუღებელი წვიმების და ძლიერი ქარების შედეგად გამოწვეულმა ავარიებმა ელექტროგადამცემ ხაზებზე რამდენიმე ათეულს მიაღწია.

ავარიები, ძირითადად, მცხეთის, დუშეთის, ახალგორის და თიანეთის მომსახურების ცენტრებში დაფიქსირდა. მცხეთა-მთიანეთის ფილიალმა საკუთარი მომსახურების ტერიტორიაზე ყველა იმ ავარიის შეკეთება დაასრულა, სადაც მისასვლელი გზა არსებობს. ის ობიექტები, სადაც გზების არარსებობის გამო მისვლა ვერ ხერხდება, კვლავ დაზიანებული რჩება.

ამჟამად, წყალდიდობის გამო, ელექტროენერგია არ მიეწოდება ახალგორსა და თიანეთის 4 სოფლის 100-მდე აბონენტს. გზის აღდგენისთანავე მათ ელექტრომომარაგება ჩვეულ რეჟიმში აღუდგებათ;

მდინარე არაგვი საფრთხეს უქმნის ჭართლის 110 კვ-იან ანძას. წყალდიდობის შემდეგ არაგვმა კალაპოტი შეიცვალა და ანძას ძირს უთხრის. ენერგოკომპანიაში განიხილება პროექტები ანძის გადაადგილების ან საყრდენი გრუნტის გასამაგრებლად. ჩასატარებული სამუშაოების ღირებულებამ შესაძლოა, 50 ათას ლარს მიაღწიოს.

ელექტრომომარაგება შეუწყდა ფშავ-ხევსურეთის 430 აბონენტს, რადგან ადიდებულმა არაგვმა 110 კვ-იანი ანძა წაიქცია. ამჟამად ენერგოკომპანიის ფილიალში მუშავდება ფშავ-ხევსურეთის 110 კვ-იანი ხაზის 10 კვ-იანი ხაზით შეცვლის პროექტი.

როგორც ფილიალში განაცხადეს, ამ სიმძლავრით ხაზი ფშავ-ხევსურეთის მოთხოვნას სრულიად დააკმაყოფილებს.

# აზერბაიჯანი პორტების პრივატიზაციაში მონაწილეობას ითხოვს

*გუშინ, საინფორმაციო სააგენტო "რეგნუმმა" აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრის ავაზ ალეკპეროვის განცხადება გამოაქვეყნა, სადაც საუბარია, რომ აზერბაიჯანი საქართველოსგან 17 მილიონდოლარიანი ვალის სანაცვლოდ, საზღვაო პორტების პრივატიზაციაში მონაწილეობას ითხოვს.*

აზერბაიჯანის ფინანსთა მინისტრის ავაზ ალეკპეროვის განცხადებით, დღეისათვის საქართველოს მთავრობას ვალის პროდუქციის სახით გადახდა სურს, რის შესახებაც საქართველოს პრემიერ-მინისტრმა აზერბაიჯანის მთავრობას წერილობითაც მიმართა. თუმცა, აზერბაიჯანულმა მხარემ ეს წინადადება არ მიიღო და საუკეთესო ვარიანტად საზღვაო პორტების პრივატიზაციაში აზერბაიჯანის მონაწილეობა მიიჩნია.

ავაზ ალეკპეროვის თქმით, აღნიშნულ საკითხებზე მაისის ბოლოს, ბაქოში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტის დროს იმსჯელებენ. **"თუკი ქართული პორტები უკვე იყიდება, მათი ფასი ათჯერ გაიზრდება, ამიტომ ამ პროექტში ჩვენი მონაწილეობა ძალზედ მნიშვნელოვანი იქნებოდა,"** - აცხადებს ალეკპეროვი.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში აზერბაიჯანის ინიციატივასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობენ. როგორც სამინისტროში განაცხადეს, უწყებაში აზერბაიჯანული მხარის ასეთი სურვილის შესახებ ოფიციალური მიმართვა არ მიუღიათ.

ცნობისათვის, საქართველოს აზერბაიჯანის მიმართ ვალი 1992-1994 წლებში დაუგროვდა, რომლის მთლიანი ოდენობა 16 მლნ 189 ათას 573 დოლარს შეადგენს. ვალის ნაწილი - 12.95 მლნ დოლარი ქართულ მხარეს 2004 წლის მარტში უნდა დაეფარა, დანარჩენი კი 2005 წლის ივნისიდან უნდა გადაიხადოს. საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანს ვალის პირველი ნაწილის გადავადებას 2006 წლამდე, მეორე ნაწილისას კი - 2007 წლამდე სთავაზობს.

და კიდევ ერთი ინფორმაცია - საქართველოს მთავრობა, დღევანდელი ინფორმაციით, პორტების გაყიდვას არ გეგმავს.

*24 საათი*


## UNICEF Georgia
## Juvenile Justice System Reform Support to the Reform of Administration of Juvenile Justice in Georgia

*Issuance date May 9, 2005*
*Closing date: May 23, 2005*

UNICEF Georgia invites applications from prospective partner organizations to carry out activities in Support to the Reform of Administration of Juvenile Justice in Georgia. In close cooperation with the project stakeholders, partners are expected to bring clear and enforceable approaches and solutions to the implementation of juvenile justice system reform in Georgia. Applications for project proposals are sought for a twelve month implementation period, with possible extension based on performance.

This Request for Applications (RFA) seeks to support activities of juvenile justice system reform through policy change, the establishment of model juvenile justice courts, strengthening national capacity of the pillars of juvenile justice and increasing access to reinsertion and rehabilitation services to reduce juvenile delinquency.

The proposed project must contribute to the following objectives:

1. To advocate for key policy changes needed to improve the juvenile justice system in the country and to ensure the full and successful implementation of recommendations and draft laws on juvenile justice developed in the UNICEF funded comparative study.
2. To further familiarize law enforcers in Georgia with international standards and norms of juvenile justice, to assist in development of Code of Conduct and Operational Guidelines for police representatives, as well as increase their knowledge on issues related to reforms, and to establish a proper juvenile justice system through nation-to-nation mentoring, trainings, information sharing and exposure to internationally respected systems of Juvenile Justice.
3. To reduce the deprivation of children and youth to liberty, protection, health and juvenile justice and to promote and implement quality alternatives to the deprivation of liberty for children in conflict with the law in Georgia.
4. To identify risk factors and groups of youth at risk of becoming in conflict with the law, and to develop and implement an effective context-sensitive system of referral for children in conflict with the law, such that they can access the necessary and appropriate social services.

Requirements of the applicants:

■ At least three years experience in project implementation;
■ Experience in financial management and administrative systems;
■ Transparency about policies, activities, structure and funding (audited accounts on file and evaluations of projects executed by the applicant);
■ Credibility with stakeholders, government and community;
■ Previous experience with successful administration and management of full cycle legal and or social reforms projects highly desirable.

Please obtain the Request for Application in the UNICEF Georgia Office or send an email request to the following address: nnozadze@unicef.org.

■ Applications should be written in English based on the above mentioned Request for Application,
■ placed in the sealed envelop with Ref B -GEO-2005-003 and
■ delivered to tender box of UNICEF office no later than close of business 23 May
■ at the following address:

UNICEF Tbilisi
9 Eristavi Street
UN House, IV Floor
Tbilisi, Georgia

## გაეროს ბავშვთა ფონდი (UNCEF)

### არასრულწლოვან დამნაშავეთა ადმინისტრირების რეფორმის ხელშეწყობა საქართველოში
### საბუთების მიღების ვადაა 9 მაისიდან 23 მაისამდე

გაეროს ბავშვთა ფონდი აცხადებს კონკურს "არასრულწლოვან დამნაშავეთა ადმინისტრირების რეფორმის პროექტის მხარდაჭერა." პროექტის ხანგრძლივობის ვადაა თორმეტი თვე, შემდგომი გაგრძელების პერსპექტივით.

დაინტერესებულმა ორგანიზაციებმა უნდა წარმოადგინონ საპროექტო განაცხადი, რომელიც შეესაბამება გაეროს ბავშვთა ფონდის არასრულწლოვან დამნაშავეთა ადმინისტრირების რეფორმის პროექტის პრიორიტეტებს.

პროექტის მიზანია:

1. ქვეყნის არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის სისტემაში ძირითადი საკანონმდებლო ცვლილებების გატარება;
2. რეფორმაში ჩართულ მხარეთა ცნობიერების ამაღლებას იუვენალური იურისდიქციის რეფორმით გათვალისწინებულ პროცესებზე;
3. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის მოდელის საქართველოში დანერგვის ხელშეუწყობა;
4. არასრულწლოვანთა დანაშაულის ადმინისტრაციის რეფორმის შემადგენელი ქვაკუთხედების ეფექტურობის განვითარება (კანონაღსრულება, პროკურატურა, მოსამართლეები და სოციალური მუშაკები) და მათი მუშაობის ადამიანის და ბავშვთა უფლებების მიმართულებით წარმართვა;
5. პრევენციის, რეინტეგრაციის და რეაბილიტაციის სამსახურების გაზრდა არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პროფილაქტიკის მიზნით.

**კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სამთავრობო, რეგისტრირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს და საინიციატივო ჯგუფებს, რომელებიც აკმაყოფილებენ შემდეგ მოთხოვნებს:

■ პროექტების განხორციელების Mინიმუმ სამი წლის გამოცდილება;
■ ფინანსური მართვის და ადმინისტრაციულ სისტემებთან მუშაობის გამოცდილება;
■ წესდების, საქმიანობის სტრუქტურისა და ფინანსების გამჭვირვალეობა (გამნცხადებლის მიერ განხორციელებული პროექტების შეფასება და აუდიტი)
■ ნდობა მთავრობის და საზოგადოების მხრიდან
■ სასურველია განმცხადებელს ქონდეს სასამართლო ან სოციალური პროექტების წარმატებით გამხორციელების გამოცდილება

დაინტერესებულ ორგანიზაციებს გთხოვთ მოითხოვოთ საკონკურსო განაცხადის სრული ვერსია გაეროს ბავშვთა ფონდის ოფისიდან ან ელექტრონულ ფოსტაზე: nnozadze@unicef.org

■ საპროექტო განაცხადი უნდა პასუხობდეს საკონკურსო განაცხადში მოყვანილ ინსტრუქციებს.
■ განაცხადი უნდა მოთავსდეს დალუქულ კონვერტში Ref. B -GEO-2005-003.
■ შემოტანილი იქნას UNICEFის სატენდერო ყუთში 23 მაისის სამუშაო დღის დამთავრებამდე,
■ შემდეგ მისამართზე:

გაეროს ბავშვთა ფონდი
ერისთავის ქ. 9 გაეროს სახლი მე-4 სართული
საქართველო, თბილისი, 0179

## UNICEF Georgia
## Child Welfare System Reform
## Community Participation in Child Protection

UNICEF Georgia in support to the Government's Plan of Action for Child Welfare and Deinstitutionalization invite interest from prospective partner organizations to carry out activities in support of child protection system reform objectives. This Request for Applications (RFA) seeks applications for funding for a twelve month period only beginning 01 June 2005 and ending 31 May 2006.

This RFA seeks to support activities that will be **quick to start**. The overall goal of the RFA is to support the government's initiative to reform the child welfare system by expanding the supply and quality of sustainable community alternatives to residential institutions and services that strengthen families and communities in their role as primary duty bearers for the well being of children, and by increasing demand for non-institutional solutions.

**This RFA is open to national and/or international NGOs; local government; business entities, community-based organizations (CBOs) such as parents groups; State funded residential children's institutions, etc.**

Successful proposals will implement one or more of the following strategies:
Two key strategies will be used to reduce reliance on residential children's institutions: (A) increase in the number and quality of community-based services through a prototype of the Targeted Programme; and (B) Public information to increase demand for new community services.

Please, obtain the Request for Application in UNICEF Georgia Office or sent an e-mail to the following addresses: nzeinklishvili@unicef.org

■ Applications should be written in English based on the above mentioned Request for Application,
■ placed in the sealed envelop with Ref B -GEO-2005-004 and
■ delivered to tender box of UNICEF office no later than close of business 25 May
■ at the following address:

UNICEF Tbilisi
9 Eristavi Street
UN House, IV Floor
Tbilisi, Georgia

## საკონკურსო განაცხადი

### ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმა
### ბავშვთა დაცვის სფეროში თემების მონაწილეობა

იუნისეფი საქართველოში, ბავშვთა კეთილდღეობისა და დეინსტიტუციონალიზაციის სამთავრობო კომისიის მხარდაჭერის მიზნით, იწვევს პერსპექტიულ პატრნიორ-ორგანიზაციებს, რათა მათ თავისი საქმიანობით ხელი შეუწყონ ბავშვთა დაცვის სისტემის რეფორმის განხორციელებას. საკონკურსო განაცხადი (RFA) ითვალისწინებს სამუშაოების დაფინანსებას თორმეტი თვის მანძილზე 2005 წლის 1 ივნისიდან 2006 წლის 31 მაისამდე.

კონკურსში გამარჯვებულმა პარტნიორმა საქმიანობა უნდა დაიწყოს უახლოეს მომავალში. RFA-ს მთავარი მიზანია მხარი დაუჭიროს სამთავრობო ინიციატივას, გაზარდოს ბავშვთა სახლების ალტერნატივები და მომსახურების ხარისხი. აღნიშნული დაეხმარება ოჯახებსა და თემს, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან ბავშვთა კეთილდღეობაზე, თავიანთი მოვალეობისა და ფუნქციის შესრულებაში და გაიზრდება მოთხოვნა პრობლემის არა-ინსტიტუციონალური გზით გადაჭრაზე.

საკონკურსო განაცხადი (RFA) იწვევს ყველას - სახელმწიფო და/ან საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს; ბიზნესის წარმომადგენლებს, თემებზე დაფუძნებულ ისეთ ორგანიზაციებს (CBOs), როგორიცაა მშობელთა ჯგუფები; სახელმწიფოს დაფინანსების ქვეშ მყოფ ბავშვთა დაწესებულებებს, და ა.შ.

წარმატებული პროექტი უნდა აკმაყოფილებდეს ერთ ან რამოდენიმე მოთხოვნას (სტრატეგიას).

დამოკიდებულების შესაცვლელად ბავშვთა სახლების მიმართ ორი ძირითადი სტრატეგია იქნება გამოყენებული: (ა) თემზე დაფუძნებული მომსახურების ხარისხისა და მოცულობის გაზრდა პილოტური პროექტების გათვალისწინებით; და (ბ) საზოგადოების ინფორმირება თემზე დაფუძნებული მომსახურების ახალი ფორმებისადმი მოთხოვნილების გაზრის მიზნით.

გთხოვთ, მობრძანდეთ საკონკურსო განაცხადის ფორმის (აპლიკაცია) მისაღებად იუნისეფის საქართველოს ოფისში ან დაგვიკავშირდეთ შემდეგ მისამართზე: nzeinklishvili@unicef.org

■ საპროექტო განაცხადი უნდა იყოს **ინგლისურ ენაზე** იუნისეფის მიერ მომზადებული საკონკურსო პირობების გათვალისწინებით
■ უნდა მოთავსდეს დალუქულ კონვერტში წარწერით B-GEO-2005-004.
■ შემოტანილი იქნას UNICEFის სატენდერო ყუთში 25 მაისის სამუშაო Dრის დამთავრებამდე შემდეგ მისამართზე:
თბილისი, ერისთავის ქ. 9
გაეროს სახლი, ვაკე
IV სართული

# ინციდენტი თავისუფლების მოედანზე პროვოკაციად შეფასდა

*პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ევროპულ ტურნეს, რომელიც საქართველოში დასრულდა, მცირე ინციდენტი მოჰყვა. ამის თაობაზე ამერიკის სპეცსამსახურებმა გუშინ დილით სენსაციური განცხადება გაავრცელეს.*

ტელეკომპანია CNN-ის ინფორმაციით, აშშ-ს სპეცსამსახურის დაცვის საიდუმლო სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ამერიკის პრეზიდენტის უსაფრთხოებაზე, ამოწმებს არსებულ ინფორმაციას იმის თაობაზე, თითქოსდა თბილისში, თავისუფლების მოედანზე ჯორჯ ბუშის გამოსვლისას მზადდებოდა მასზე თავდასხმა. პრეზიდენტის დაცვის საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლის ჯონათან ჩერის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათ მიაწოდეს შეტყობინება, რომ ბუშის გამოსვლისას მისი მიმართულებით ისროლეს გაურკვეველი საგანი - სავარაუდოდ, ხელყუმბარა. ჩერის თქმით, ქართველმა კოლეგებმა მას განუცხადეს, რომ ყუმბარა იმ ტრიბუნიდან 30 მეტრის დაშორებით დაეცა, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტი იდგა. ჯონათან ჩერის განმარტებით, საქართველოს ხელისუფლებამ ინციდენტის შესახებ მას შემდეგ მიაწოდა ინფორმაცია ამერიკულ მხარეს, როცა ჯორჯ ბუშმა საქართველო დატოვა.

ტელეკომპანია NBC-ს ინფორმაციით, ხელყუმბარა აღმოაჩინა და შემთხვევის ადგილიდან დაუყოვნებლივ გაიტანა საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომელმა.

**"ჯერჯერობით არ გვინახავს მოწყობილობა, რომლის შესახებაც საუბარი იყო შეტყობინებაში. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთი ხასიათის ინფორმაცია ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და მასზე ძალზე სერიოზულად ვმუშაობთ",** - ტელეკომპანია CNN-თან ინტერვიუში განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტის დაცვის საიდუმლო სამსახურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეიმს მაკინმა.

მოგვიანებით, მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა. **"თბილისში, თავისუფლების მოედანზე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის სიტყვით გამოსვლისას ნაპოვნ ხელყუმბარას პრეზიდენტისთვის საფრთხის შექმნა არ შეეძლო",** - განაცხადა საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივანმა გელა ბეჟუაშვილმა, რომლის თქმითაც, აღმოჩენილი საგნის წინასწარი დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ იგი საბჭოთა წარმოების "რგდ-5"-ს ტიპის ხელყუმბარაა. იგი არასაბრძოლო მდგომარეობაში იყო.

**"ამ საგნის დაგდების მიზანი ხალხის შეშინება და მედიაში რეზონანსის გამოწვევა იყო, რასაც მიაღწიეს",** - განაცხადა უშიშროების საბჭოს მდივანმა. მისივე ინფორმაციით, ამჟამად მიმდინარეობს იმის დადგენა, თუ რა ვითარებაში იქნა ეს საგანი დაგდებული.

იგივე აზრისაა საქართველოს შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი და აცხადებს, რომ ინციდენტი მასობრივ არეულობაზე იყო გათვლილი. **"პრეზიდენტების უსაფრთხოება მკაცრად იყო დაცული და ეს იყო გათვლილი მასობრივ არეულობასა ან პანიკაზე; და რაც ყველაზე უფრო საგანგაშოა, საერთაშორისო პრესაში იმ მოვლენის დაკნინებაზე, რომელიც საქართველოში მოხდა",** - ასეთია მერაბიშვილის შეფასება. მისი თქმით, თავისუფლების მოედანი და მიმდებარე ტერიტორია მკაცრად კონტროლდებოდა, აღმოჩენილი ხელყუმბარა არ იყო საბრძოლო მდგომარეობაში და მისი აფეთქება იმ მომენტისთვის გამორიცხული იყო.



*ჯორჯ ბუშის გამოსვლაზე დასწრების მსურველთა დიდმა ნაკადმა არეულობა გამოიწვია დაცვა იძულებული გახდა მოეხსნა მეტალის ნივთების აღმომჩენი დეტექტორები. ალბათ სწორედ ამის გამო გახდა შესაძლებელი ხელყუმბარის მოედანზე შეტანა*

თავისუფლების მოედანზე ამერიკის პრეზიდენტის გამოსვლისას მომხდარ ინციდენტს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე პროვოკაციას უწოდებს. იგი ვერ აკონკრეტებს, რისთვის იყო გამიზნული ეს ქმედება - პანიკის თუ სხვა მიზნისთვის.

ნინო ბურჯანაძის აზრით, ეს ინციდენტი არ აისახება ამერიკის პრეზიდენტის ვიზიტის შედეგებზე. **"ყველამ დაინახა, თუ როგორ შეხვდა მოედანზე ქართველი ხალხი მას. ამდენი ხალხი აქ მხოლოდ რევოლუციის პიკის დროს იყო. ასეთი პროვოკაცია ნებისმიერ დროს შეიძლება მოხდეს და ამისგან ჯორჯ ბუში თავად არც ამერიკაშია დაზღვეული. დარწმუნებული ვარ, რომ ეს უსიამოვნო ინციდენტი ვიზიტის შედეგებს ჩრდილს არ მიაყენებს",** - განაცხადა ბურჯანაძემ.

საქართველოს შს მინისტრის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს მოკვლევა და შედეგები საზოგადოებისათვის ცოტა ხნის შემდეგ გახდება ცნობილი. მისივე ინფორმაციით, მომხდარ ინციდენტს ქართველი სამართალდამცველები ამერიკულ მხარესთან ერთად გამოიძიებენ.

ტელეკომპანია NBC-ის ინფორმაციით, აშშ-ს სპეცსამსახურების აგენტები უკვე გამოემგზავრნენ საქართველოში, რათა მონაწილეობა მიიღონ გამოძიებაში.

სააგენტო "მედიანიუსს" საელჩოს პრესსამსახურში განუცხადეს, რომ საქართველოსა და ამერიკის შესაბამისი უწყებები აქტიურად იძიებენ 10 მაისს თავისუფლების მოედანზე ხელყუმბარის აღმოჩენის ფაქტს.

**"საქმის ადგილზე გამოსაძიებლად და შესასწავლად ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ექსპერტთა სპეციალური ჯგუფი ჩამოვა",** - აცხადებენ საელჩოში.

*24 საათი*

# ბაგაფშმა ქართველი პატიმარი შეიწყალა

*ორი წლის წინ აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებამ ოფიციალურად განაცხადა, რომ იქაურმა სამართალდამცველებმა დააკავეს ზუგდიდელი, 83 წლის გრიგოლ ნანავა, რომელსაც საქართველოს ხელისუფლებისგან დავალებული ჰქონდა აფხაზეთის ტერიტორიაზე ტერაქტების მოწყობა. მიუხედავად იმისა, რომ ნანავას ახლობლები დიდხანს ამტკიცებდნენ, - მოხუცი გულრიფშში ახლობლების მოსანახულებლად წავიდაო, - გრიგოლ ნანავა მაინც დრანდის ციხეში აღმოჩნდა, სადაც მას აღიარებითი ჩვენება დააწერინეს და ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ორწლიანი პატიმრობის შემდეგ გრიგოლ ნანავა გუშინ ზუგდიდში საკუთარ სახლში დაბრუნდა.*

თამარ კაციტაძე

ჩვენი ინფორმაციით, აფხაზი სამართალდამცველები ამტკიცებდნენ, რომ ნანავას ე.წ. შეიხის ქამარი აღმოუჩინეს, რითაც მტკიცდებოდა, რომ იგი გულრიფშში ნამდვილად ტერაქტის მოსაწყობად ჩავიდა. რამდენად შეესაბამება ე.წ. შეიხის ქამართან დაკავშირებული ისტორია სიმართლეს და, საერთოდ, რატომ აღმოჩნდა ოთხმოც წელს გადაცილებული ადამიანი აფხაზების ტყვეობაში, დღემდე არავინ იცოდა. ნანავას ახლობლებისთვის ბოლო პერიოდში მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ მისი ჯანმრთელობა უკიდურესად მძიმეა და, შესაძლოა, იგი ციხეში გარდაცვლილიყო.

მართალია, ნანავას დაპატიმრების შემდეგ მისი საკითხი ჟუბურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრებზე რამდენჯერმე დაისვა, მაგრამ ამას არანაირი შედეგი არ გამოუღია. ამის შემდეგ, თითქმის, ორი წლის განმავლობაში საქართველოს ხელისუფლებას მოხუცი მაქალაქე აღარც გახსენებია, ხოლო აფხაზები მისი ახლობლების თხოვნას - გაეთავისუფლებინათ უკვე 85 წლის მოხუცი - კატეგორიული უარით პასუხობდნენ.

გასული წლის ნოემბერში კი გრიგოლ ნანავას ბედით ადვოკატი პავლე ბერია დაინტერესდა, რომელმაც მოხუცის უკანონო პატიმრობის შესახებ წერილი სტრასბურგის სასამართლოს გაუგზავნა და მისი საქმით დაინტერესება სთხოვა. საერთაშორისო სასამართლომ საქმე, "ნანავა საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ", რეგისტრაციაში მაშინვე გაატარა.

**"გაერო-ს მისიას საქართველოში სისტემატურად ვთხოვდით, დაინტერესებულიყო ნანავას ბედით, მაგრამ ისინი არანაირ რეაგირებას არ ახდენდნენ. მას შედეგ, რაც სტრასბურგის სასამართლო ნანავას საქმით დაინტერესდა, ისინი, თავისთავად ცხადია, პატიმარზე ინფორმაციას ითხოვდნენ; გააქტიურდა გაერო-ს მისიაც",** - აღნიშნა პავლე ბერიამ.

ადვოკატის განცხადებით, ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ნანავას გათავისუფლებასთან დაკავშირებით გაერო-ს მისია საქართველოში, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, სისტემატურ მოლაპარაკებას აწარმოებდა აფხაზეთის ხელისუფლებასთან.

**"ამასობაში გრიგოლ ნანავას ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. ამიტომ, იძულებული გავხდი, სტრასბურგის სასამართლოში კიდევ ერთხელ გამეგზავნა წერილი და ნანავას საქმის განხილვის დაჩქარება მოვითხოვე. რამდენიმე დღის წინ ევროსასამართლოდან მართლაც მივიღე პასუხი, სადაც აღნიშნული იყო, რომ გრიგოლ ნანავას საქმეს პრიორიტეტი მიენიჭა და დაჩქარებული წესით განიხილავდნენ",** - ამბობს პავლე ბერია.

თუმცა, ნანავას საქმე ვიდრე საერთაშორისო ასპარეზზე განხილვის საგნად იქცეოდა, აფხაზეთის ე.წ. პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა გაერო-ს მისიის რეკომენდაცია დააკმაყოფილა და ორი დღის წინ ხელი მოაწერა გრიგოლ ნანავას შეწყალებას. გუშინ დრანდის ციხეში დაავადმყოფებული გრიგოლ ნანავა წითელი ჯვრის წარმომადგენლებმა ზუგდიდში, საკუთარ სახლში ჩაიყვანეს.

**"მიუხედავად გრიგოლ ნანავას გათავისუფლებისა, სტრასბურგის სასამართლოში მისი საქმის განხილვა მაინც დაიწყება. თუმცა, მოთხოვნა, ალბათ, შეიცვლება და საქართველოს ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციისგან მორალური ზიანის ანაზღაურებას მოვითხოვთ. რა რაოდენობის თანხა დაეკისრება ორივე სახელმწიფოს, თავად ნანავასთან შეხვედრის შემდეგ გადავწყვეტთ",** - განაცხადა ადვოკატმა პავლე ბერიამ.

# ტერორისტებზე ძებნა გამოცხადდა

რუსეთში ფედერალური ძებნა გამოცხადდა ტერორისტებზე, რომლებიც ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის ტერიტორიაზე, ძლიერმოქმედი შხამების გამოყენებით, ტერაქტს გეგმავდნენ. ამის შესახებ იუწყება "რია ნოვოსტი", რეგიონულ ოპერატიულ შტაბზე დაყრდნობით. როგორც შტაბში დააზუსტეს, იძებნებიან იორდანელი აბუ მუჯაიდი და რუსეთის მოქალაქე ალაშ დაუდოვი.

რუსი ძალოვნების მონაცემებით, დაუდოვი ე.წ. ვაჰაბიტური ჯამაათის "ამანათის" ლიდერია და 2002 წლის ოქტომბერში დუბროვკის თეატრალურ კომპლექსში განხორციელებულ ტერაქტთან აქვს კავშირი; ასევე, მონაწილეობდა ბესლანის ტერაქტის ორგანიზებაში. თუმცა, "ამანათის" რეალური მეთაური და ფინანსისტი უცხოელი დაქირავებული აბუ მუჯაიდი გახლავთ, რომელიც, ამავდროულად, ჩეჩნეთსა და ინგუშეთში საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების - "მუსლიმანი ძმების" და "ალ-ქაიდას" ემისარია. როგორც დღეს გახდა ცნობილი, გროზნოს არასაცხოვრებელ სექტორში, ნანგრევებში ნაპოვნია ვაზ-2107 მარკის ავტომანქანა, რომლითაც, სავარაუდოდ, აბუ მუჯაიდი და ალაშ დაუდოვი მოძრაობდნენ.

ძლიერმოქმედი შხამიანი ნივთიერებების სამალავი სმართალდამცველი ორგანოების თანამშრომლებმა 5 მაისს ჩეჩნეთის და ინგუშეთის საზღვარზე აღმოაჩინეს. სპეციალისტთა თქმით, ერთ-ერთი შხამი ციანიდების ჯგუფს მიეკუთვნებოდა, მეორე შხამის ტიპის დადგენა კი ჯერჯერობით ვერ მოხერხდა.

რუსეთის ოპერატიული შტაბის წარმომადგენლის გენერალ-მაიორ ილია შაბალკინის განცხადებით, ტერაქტის მოწყობის ბრძანება, უშუალოდ, შამილ ბასაევისგან მომდინარეობდა. შაბალკინისვე თქმით, მომწამლავი ნივთიერებები აბუ მუჯაიდმა და ალაშ დაუდოვმა არაბეთის ერთ-ერთი ქვეყნიდან მიიღეს.

ოპერატიული მონაცემებით, აღნიშნული შხამიანი ნივთიერებები ტერორისტებმა ერთ-ერთი არაბული ქვეყნიდან მიიღეს. ექსპერტთა დასკვნით, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ამ შხამების მინიმალური დოზით გამოყენება მრავალრიცხოვან მსხვერპლს გამოიწვევდა.

*24 საათი*


## უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი

ა ნ კ ე ტ ა

სახელი, გვარი..........

ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი..........

საკონტაქტო ტელეფონი..........

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპის" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება).

[illegible]


## ომბუდსმენის აჭარის ოფისი დავით რობაქიძის დაკავების ფაქტის გამოძიებას მოითხოვს

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის ბათუმის რეგიონული სამმართველო შეშფოთებას გამოთქვამს "საქართველოს ლეიბორისტური პარტიის" წარმომადგენლის დავით რობაქიძის დაკავების თაობაზე 6 მაისს ბათუმში სამართალდამცველების მიერ გამოთქმული აზრის გამო და ბათუმის პროკურატურისგან მომხდარის გამოძიებას მოითხოვს.

სახალხო დამცველის ბათუმის რეგიონული სამმართველოს უფროსი ლევან კაჭარავა სამართალდამცველების მიერ დავით რობაქიძის დაკავებას "თავისუფლების უკანონო შეზღუდვად" და "თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად" აფასებს.

როგორც ცნობილია, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ბათუმში ვიზიტის დროს სამართალდამცველებმა "ლეიბორისტური პარტიის" აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარის მთავრობის შენობასთან აზრის გამოხატვის გამო, 5 საათით დააკავეს და სარფის მიმართულებით გაიყვანეს. დაკავებულს არ მიეცა მობილური ტელეფონით სარგებლობის საშუალება.

*ინტერ-პრესი*

## ყაჩაღობა სამტრედიაში

სამტრედიაში "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" რაიონული ფილიალის ხელმძღვანელი ზვიად ნიკურაძე დააყაჩაღეს.

სამი პიროვნება ნიკურაძეს საკუთარ საცხოვრებელ სახლში გამთენიისას დაესხა თავს. თავდამსხმელებმა მას ხელ-ფეხი შეუკრეს, უმოწყალოდ სცემეს და დანით ფეხის არეში ორი ჭრილობა მიაყენეს.

მათ ოჯახიდან 210 ამერიკული დოლარი, ოქროულობა და ვიდეოტექნიკა გაიტაცეს.

ზვიად ნიკურაძე მომხდარს პირად ანგარიშსწორებად აფასებს. ყაჩაღობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

*ინტერ-პრესი*

## ფინანსურმა პოლიციამ დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ტვირთი დააკავა

ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა სოფელ ჯანდარის რკინიგზის მონაკვეთზე დიდი რაოდენობით კონტრაბანდული ტვირთი დააკავეს.

**"მივიღეთ ინფორმაცია, რომ ჯანდარაში მატარებლიდან უსაბუთო საქონელი იტვირთებოდა. მატარებელი ჩვენს მისვლამდე დაიძრა და მისი გაჩერება ვერ მოვახერხეთ. თუმცა, ვაგონებიდან გადმოტვირთული საქონელი, ძირითადად, ტანსაცმელი, ბუჩქებში იქნა აღმოჩენილი. დაკავებული საქონლის ღირებულება, სავარაუდოდ, 30-ათას ლარამდეა",** - აცხადებს ქვემო ქართლის ფინანსური პოლიციის უფროსი დავით ქარსელაძე. მისივე თქმით, მატარებელი, რომლითაც აზერბაიჯანიდან კონტრაბანდული საქონელი გადმოიტანეს ბაქო-თბილისის რეისს ასრულებდა.

*ინტერ-პრესი*

## არასრულწლოვანი პატიმრების უფლებების დაცვის საკითხებს კონფერენცია მიეძღვნა

პენიტენციარულ სისტემაში არასრულწლოვანთა უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" კონფერენცია გაიმართა.

პროექტი "არც ერთი ბავშვი უყურადღებოდ" ევროკავშირის მხარდაჭერით ერთი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა. პროექტის ფარგლებში, არასამთავრობო ორგანიზაციებმა არასრულწლოვანთა უფლებების საკითხებთან დაკავშირებული სახელმძღვანელოები გამოსცეს, რომლებიც თბილისის პოლიციის განყოფილებებს გადაეცათ. ამავე პროექტის მსვლელობისას ბავშვთა კოლონიის ადმინისტრაციის თანამშრომლებს ტრეინინგები ჩაუტარდათ.

გუშინ პროექტის დასკვნითი კონფერენცია გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორები იყვნენ - არასამთავრობო ორგანიზაციათა რეგიონული ქსელი და ასოციაცია "კარიტას-XXI".

*ინტერ-პრესი*

## საქართველოს ომბუდსმენი კოლეგებს შეხვდება

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ჩეხეთში, ქალაქ კარლოვივარში იმყოფება, სადაც ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ომბუდსმენები იკრიბებიან. სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, შეხვედრა გაცნობით ხასიათს ატარებს. ევროპის ყოფილი სოციალისტური სივრცის წარმომადგენელი სახალხო დამცველები საკუთარი საქმიანობის წარმოდგენას და იმ პრობლემებზე საუბარს გეგმავენ, რომლებიც, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით, მათ ქვეყნებში არსებობს. ჩეხეთში გამართული ღონისძიება 15 მაისამდე გაგრძელდება.

*ინტერ-პრესი*

### ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ამხილეს ბათუმში მცხოვრები 14 წლის კარაპეტ მინასიანი, რომელმაც ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ურეხში იპოვა ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი და გადაჰქონდა ჯართის მიმღებ პუნქტში. საქმეს იძიებს ხელვაჩაურის შს განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელოსა და ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს ფოთში მცხოვრები, 33 წლის ირმა იმერლიშვილი და თბილისში მცხოვრები, ნასამართლევი, 17 წლის მარიამ სულაბერიძე, რომლებმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს კაფე-ბარის თანამშრომელს, 55 წლის ნანი ბებიას, რომელიც მოთავსებულია საავადმყოფოში. საქმეს იძიებს ფოთის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა დაბა ხელვაჩაურში დააკავეს ავტომანქანა "უაზი"-452, რომლის მძღოლს, ბათუმში მცხოვრებ, 41 წლის მალხაზ შევარდნაძეს უსაბუთოდ გადაჰქონდა ვინმე ჯამბულ ბოლქვაძის კუთვნილი 3 კუბური მეტრი წაბლის ფიცარი. საქმეს იძიებს ხელვაჩაურის შს განყოფილება. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ყვარელთან დააკავეს ავტომანქანა "ვაზ"-2106, რომლის მძღოლს, თელავში მცხოვრებ, 33 წლის აკაკი ზურაბაშვილს უსაბუთოდ გადაჰქონდა 300 ლარის ღირებულების 310 ლიტრი დიზელის საწვავი. მარნეულის რაიონის სოფელ კიროვკასთან კი დააკავეს ავტომანქანა "ვაზ"-2106, რომლის მძღოლს, თბილისში მცხოვრებ, 45 წლის ალექსანდრე მანუკიანს სადახლოდან თბილისში უსაბუთოდ გადაჰქონდა 1600 ლარის ღირებულების ქალის წინდა. ორივე ავტომანქანა ტვირთიანად ფინანსურ პოლიციას გადაეცა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სისხლის სამართლის საპროცესო ცვლილებებთან დაკავშირებით სამოსამართლო სწავლების ცენტრში 14-15 მაისს სემინარი გაიმართება.

სემინარში მონაწილეობას მიიღებს 40 მოსამართლე, რომლებიც სისხლის სამართლის საქმეებს განიხილავენ. შეხვედრას უზენაესი სასამართლოს მოსამართლე ნინო გვენეტაძე და საოლქო სასამართლოს მოსამართლე ზაზა მეიშვილი წარუძღვებიან. აღნიშნული სემინარი უკვე ჩაუტარდა 150 მოსამართლეს. ღონისძიება მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ხორციელდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ქუთაისის შს სამმართველოს პირველი განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ნასამართლევი, 56 წლის გიორგი ჯაჯანიძე, 46 წლის ლუკა გელაშვილი, ოზურგეთის რაიონის სოფელ მახარაძეში მცხოვრები, 17 წლის ზვიად ჩხარტიშვილი და 16 წლის გიორგი კილაძე, რომლებმაც მოიპარეს რკინიგზის სადგურის "ქუთაისი-2"-ის ბალანსზე რიცხული ლითონის კონსტრუქციები. საქმეს იძიებს ქუთაისის შს სამმართველო. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს სამინისტროს კრიმინალური დეპარტამენტისა და შიდა ქართლის სამხარეო შს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს საგარეჯოს რაიონის სოფელ კაკაბეთში მცხოვრები, 31 წლის დავით სარკიაშვილი და ბაღდათის რაიონის სოფელ დიმში მცხოვრები, 37 წლის ზაზა გვენეტაძე, რომლებმაც მიმალვაში მყოფ რეზო კეკელიძესთან ერთად ბედნის ზეგანზე "საქრუსენერგოს" სარეზერვო ხაზებიდან მოიპარეს 18 ტონა რკინის კუთხოვანა. საქმეს იძიებს თეთრი წყაროს შს განყოფილება. **მედიანიუსი**

**1**

**იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"**

**ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.**

**2**

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. მკითხველი შეკითხვას დასვამს გაზეთში გამოქვეყნებული უფასო ქვითრის საშუალებით, ამოჭრის მას და ჩააგდებს თბილისში განთავსებულ იურიდიული ოფისის "გაპისა" და გაზეთ "24 საათის" ლოგოებიან სპეციალურ ყუთებში. (მიიღება მხოლოდ გაზეთიდან ამოჭრილი ქვითრები. ქსეროასლები არ განიხილება.) უფასო შეკითხვის ქვითრები გამოქვეყნდება ყოველდღიურად, გაზეთის A7 გვერდზე ხოლო ამომწურავ პასუხს მკითხველი მიიღებს ყოველ ხუთშაბათს გაზეთ "24 საათის" მეშვეობით.

მკითხველი, სურვილის მიხედვით, ავსებს უფასო შეკითხვის ქვითრის ქვემოთ გამოქვეყნებულ ანკეტას. აუცილებლად, სასურველია მკითხველმა მიუთითოს საკონტაქტო ტელეფონი, რათა საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს შეკითხვის დაზუსტება.

**3**

ყუთები განთავსებული არიან ქალაქ თბილისში მეტროს ქვემოთჩამოთვლილ სადგურებსა და შემდეგ მისამართზე:

1. მეტროს სადგური „აბმეტელის თეატრი" (გლდანი);
2. მეტროს სადგური „მარჯანიშვილი";
3. მეტროს სადგური „თავისუფლების მოედანი";
4. მეტროს სადგური „წერეთელი";
5. მეტროს სადგური „სამგორი II";
6. მეტროს სადგური „ვარკეთილი";
7. მეტროს სადგური „გოცირიძე II", (ყოფილი მეტროს სადგური „დელისი");
8. მეტროს სადგური „ვაგზლის მოედანი I";
9. მეტროს სადგური „დიდუბე";
10. ვაჟა-ფშაველას 45 "სოფმშენის" I სართული.
11. წერეთლის 77 იურიდიული ოფისი „გაპის" ოფისი;

"24 საათის" მკითხველს, უფასო შეკითხვის ქვითარი, სამართლებრივ საკითხზე დასმული შეკითხვით, შეუძლია გამოაგზავნოს ფოსტით შემდეგ მისამართზე: 0119 თბილისი, წერეთლის გამზ. 77 იურიდიული ოფისი "გაპი".

# უფასო იურიდიული კონსულტაცია

## "24 საათის" მკითხველისთვის

**ელგუჯა კანდელაკი**

2001 წელს გავასესხე 2000 ა.შ.შ. დოლარი 10%-ით 5 თვით ნოტარიული წესით. აგრეთვე დაინტერესებული პირების თანხლებით დავდეთ ხელწერილი ავეჯსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაზე, ფულის არ დაბრუნების შემთხვევაში გაყიდვის უფლებით. პროცენტის სახით სულ მივიღე 750 ა.შ.შ. დოლარი. 3 წლის შემდეგ დამიბრუნა ძირითადი თანხა. ხელწერილით და სიტყვიერი შეთანხმებით, ბინის გაყიდვის შემთხვევაში, დამიბრუნებდა პროცენტის სახით თანხის იმ რაოდენობას, რაც მეკუთვნოდა ხელწერილის დადების დროს. ბინა გაყიდა. ამჟამად, სადაც ცხოვრობს, უარყოფს ბინის პატრონობას. ტელეფონზე რეკვით და დაპირებით დღემდე მაიმედებს. (მეორე ხელწერილი დავდეთ, ძირითადი თანხა რომ დამიბრუნა). გთხოვთ, განმიმარტოთ, მაქვს თუ არა სასამართლოს წესით მოვითხოვო ან დავიბრუნო კუთვნილი თანხა, როგორც მორალურად და ფინანსურად დაზარალებული. სიმართლის შემთხვევაში რომელ ინსტანციას უნდა მივმართო.

ბატონო ელგუჯა,

თქვენ უფლება გაქვთ, რომ მოვალისაგან მოითხოვოთ ის თანხა, რომელიც გეკუთვნით ხელშეკრულებიდან გამომდინარე და სხვა ფულადი თანხა, რომელიც გეკუთვნით ხელშეკრულების შეუსრულებლობით, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 403-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 394. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ვალდებულების დარღვევისას**

**1. მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.**

**მუხლი 403. პროცენტიდან პროცენტის გადახდის დაუშვებლობა**

**1. მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს კანონით განსაზღვრული პროცენტი,თუკი კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია.**

**2. დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა.**

და სარჩელი შეიტანოთ რაიონულ სასამართლოში, კერძოდ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ადგენს:

**მუხლი 15. საერთო განსჯადობა**

**1. სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.**

**2. თუ მოპასუხეს არა აქვს საცხოვრებელი ადგილი, სარჩელი განიხილება სასამართლოში საქართველოს ტერიტორიაზე მისი ადგილსამყოფლის მიხედვით, ხოლო თუ მოპასუხის ადგილსამყოფელი უცნობია, მაშინ სარჩელი შეიძლება აღიძრას მისი უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.**

რაც შეეხება იმ ფაქტს, ეკუთვნის თუ არა ბინა თქვენს მოვალეს, ამის გარკვევა შეგიძლიათ საჯარო რეესტრში, სადაც სამოქალაქო კოდექსის 311-ე მუხლის მიხედვით, რეესტრში არსებული მონაცემების გაცნობის და მიღების უფლება აქვს ყველა პირს:

**მუხლი 311. საჯარო რეესტრის დანიშნულება**

**1. საჯარო რეესტრი ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. რეესტრში შეიტანება უძრავ ნივთებზე საკუთრების და სხვა სანივთო უფლებები.საჯარო რეესტრში შეიძლება ასევე რეგისტრირებული იყოს მოძრავ ნივთებზე სარგებლობის, საგარანტიო და სხვა უფლებები.**

**მადონა თოდაძე**

თბილისის მიწისძვრის შემდეგ ნაგებობა, რომელშიც ჩემი 10 წლიანი იჯარით (1997-2007წ.წ.) გამოსასყიდი სარდაფი მდებარეობს, გაუფასურდა და ექვემდებარება დანგრევას. კანონიერია თუ არა, რომ გადახდილი თანხა (მთელი ღირებულების სამი მეოთხედი) ჩაითვალოს საკმარისად და სარდაფი გადმომეცეს მე მუდმივ მფლობელობაში? იგივე კითხვაზე ქონების მართვის დეპარტამენტმა, რომელსაც მიწისძვრისთანავე მივმართე, ჯერ კიდევ არ მიპასუხა.

ქალბატონო მადონა,

თუ თქვენ დადებული გაქვთ ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ საკუთრების უფლებას შეიძენთ გარკვეულ ქონებაზე, მაშინ, წარმოადგენს რა ხელშეკრულება ზოგადად მხარეთა ნების გამოვლინებას, შეთანხმების გზით შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი სახელშკრულებო პირობები, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის და 492-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას**

**1. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.**

**2. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.**

**3. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.**

**4. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.**

**მუხლი 492. ფასის შემცირების მოთხოვნა**

**თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.**

**გიორგი მიქიაშვილი**

მოგეხსენებათ, თუ რა მოხდა 19 წლის წინ ჩერნობილში. შედარებით ორგანიზებულ და დისციპლინირებულ დროში და სეისმურად უფრო მდგრად გარემოშიც, ვიდრე დღეს, ეს, ერევნის ატომური ელ.სადგურის შემთხვევაშია. იმის იმედიც იყო, რომ ეს, ერევნის აეს-იც დაიხურებოდა (4 წლიანი დროც კი დათქვეს), მაგრამ ამ დრომ გალევა რომ დაიწყო, უცებ რუსები ყიდულობენ აეს-სო (მგონი იყიდეს კიდეც!). ყველამ ვიცით, რომ სომხეთიდან შესყიდული ელ.ენერგია უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე ეს სხვა ქვეყნიდან ხდება. არადა, ლოგიკურად, საერთოდ უფასოდ უნდა გვეძლეოდეს იგი. რატომ? გაანგარიშებებიც ცნობილია: აღნიშნული აეს-ის, თუნდაც მცირე მასშტაბის ავარიის შემთხვევაშიც კი, აღმოსავლეთ საქართველო 8 საათში უნდა დაიცალოს (ცოტა მეტი დრო აქვს დასავლეთს), ქარის შემთხვევაში, პროგნოზირებაც შეუძლებელია. თუ წარმოგიდგენიათ საქართველოს დაცლის სურათი? ალბათ ვერა!.. მოკლედ, კაცმა არ იცის რა გველის, ვის ხელშია ჩვენი ბედი! მაინტერესებს: არსებობს თუ არა რაიმე საერთაშორისო შეთანხმება, კონვენცია, რომლის ძალითაც ერთ სახელმწიფოს უფლება აქვს, აუკრძალოს მეორე, მეზობელ სახელმწიფოს აეს-ის ჩართვა? თუ ასეთი შეთანხმება არის, ვართ თუ არა ჩვენ მისი წევრები? თუ ვართ-მაშინ რატომ დღემდე არ არის ეს აკრძალვა გატარებული ცხოვრებაში? რა გარანტიაა, რომ ჩერნობილის მსგავსი არ მოხდება?

ბატონო გიორგი,

საერთაშორისო ხელშეკრულებები, შეთანხმებები, კონვეციები, რომლებიც რატიფიცირებულია საქრთველოს პარლამენტის მიერ ანდა მიერთებულია ჩვენი ქვეყანა, არ არეგულირებენ აღნიშნულ საკითხს. ამრიგად, რაიმე ხელშკრულება, რომელიც დაარეგულირებდა მითითებულ საკითხს, საქართველოს არ აქვს დადებული ან რაიმე მარეგულირებელ კონვეციას არ არის მიერთერბული.

**ლევან მამულაშვილი**

2002 წლის მაისის თვეში მომხდარი მიწისძვრის შემდეგ ნაგებობა, რომელშიც მდებარეობს ჩემი ათ წლიანი (1997-2007წ.წ.) იჯარით გამოსასყიდი სარდაფი, გაუფასურდა და ექვემდებარება დანგრევას. გადახდილი მაქვს მთელი ღირებულების სამი მეოთხედი. კანონიერია თუ არა, რომ გადახდილი თანხა ჩაითვალოს საკმარისად და სარდაფი გადმომეცეს მე მუდმივ მფლობელობაში?

ბატონო ლევან,

თუ თქვენ დადებული გაქვთ ხელშეკრულება იმის შესახებ, რომ საკუთრების უფლებას შეიძენთ გარკვეულ ქონებაზე, მაშინ, წარმოადგენს რა ხელშეკრულება ზოგადად მხარეთა ნების გამოვლინებას, შეთანხმების გზით შეგიძლიათ განსაზღვროთ თქვენი სახელშკრულებო პირობები, კერძოდ სამოქალაქო კოდექსის 490-ე მუხლის და 492-ე მუხლის თანახმად:

**მუხლი 490. გამყიდველის მოვალეობანი ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას**

**1. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი, ან, თუ საქმე ეხება გვაროვნულ ნივთს, შეცვალოს ნივთი საამისოდ აუცილებელ ვადაში.**

**2. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის, ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულების და მასალის ღირებულების ხარჯები.**

**3. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს.**

**4. თუ გამყიდველი ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცემს უნაკლო ნივთს, მაშინ მას შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.**

**მუხლი 492. ფასის შემცირების მოთხოვნა**

**თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი.**

**მარიამ კევლიშვილი**

1) რომელი კანონით არის განსაზღვრული, ისევე როგორც ნებისმიერი ბუნებრივი რესურსის - რადიო-სიხშირეების გამოყენების ზედამხედველობის კონტროლი? რომელი სახელმწიფო ორგანო (ქვეუწყებები) ახორციელებს კანონის საფუძველზე ბუნებრივი რესურსის - რადიო სიხშირეების კანონით განსაზღვრული პირობების დაცვას?

2) საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრის 2001 წლის ბრძანებით შეიქმნა შ.პ.ს. "ელექტრომაგნიტურ თავსდებადობის და ხელშეშლებაზე დაკვირვების სამსახური", რომელიც დაფუძნებულია დღეისათვის სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტოს" მიერ (პარტნიორი) და "მმართველობაში" გადაეცა "საქრთველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას". რომელი დებულებით უნდა ხორციელდებოდეს შ.პ.ს.-ს ურთიერთობა და უფლებამოსილების განსაზღვრა მის "მმართველ" ორგანიზაციასთან.

ქალბატონო მარიამ,

საქართველოს 1999 წლის კანონი "კავშირგაბმულობისა და ფოსტის შესახებ" არეგულირებს თქვენს მიერ მითითებულ საკითხს, კერძოდ აღნიშნულ საკითხზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია. აგრეთვე 2002 წლის საქართველოს კანონი "დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი ორგანოების შესახებ" არეგულირებს მითითებული კომისიის ფუნქციონირებას. რაც შეეხება შ.პ.ს. "ელექტრომაგნიტურ თავსდებადობის და ხელშეშლებაზე დაკვირვების სამსახურს," წარმოადგენს რა კერძო სამართლის იურიდიულ პირს, მის წესდებას, მსგავსად სხვა კერძო სამართლის იურიდიული პირისა, განსაზღვრავს მისი დამფუძნებელი. ხოლო დამფუძნებელი არის რა სახელმწიფო, შესაბამისად თავისი წარმომადგენელის მეშვეობით ამტკიცებს წესდებას და ნიშნავს შ.პ.ს.-ს ხელმძღვანელს. სხვა რაიმე აქტი კერძო სამართლის იურიდიულ პირს ფუნქციონირებისათვის არ სჭირდება. ხოლო ახასიათებს რა მოცემულ საკითხს ის სპეციფიკურობა, რომ შ.პ.ს. დაფუძნებულია სახელმწიფოს მიერ, შესაბამისად მის შემქმნელ და სამართავად მიმღებ ორგანოს მიღებული ექნება რაიმე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც განსაზღვრული იქნება, თუ როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნულ იურიდიულ პირთან ურთიერთობის რეგულირება სახელმწიფოს მხრიდან.

**ჩუხუა ნაზი**

1) ვცხოვრობ მუხიანის დასახლებაში 9 სართულიანი სახლის პირველ სართულზე. ჩემი საცხოვრებელი სახლის ქვემოთ სათავსოთი (პადვალით) სარგებლობს სხვა, ზედა სართულის მაცხოვრებელი. მაქვს თუ არა უფლება კანონით მოვითხოვო.

2) ჩემი ფანჯრის წინ ერთი მეტრით დაშორებით საბაღე ნაკვეთი აქვს მე-7 სართულზე მცხოვრებს, რომელიც ძალიან მაწუხებს. აგრეთვე მაქვს თუ არა უფლება მოვაშლევინო.

ქალბატონო ნაზი,

სამოქალაქო კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად:

"1. მრავალბინიან სახლებში არსებობს საკუთრების უფლება ბინაზე (ბინის საკუთრება) და შენობის იმ ნაწილზე, რომელიც არ გამოიყენება ბინად (არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება).

2. ბინის საკუთრება და არასაცხოვრებელი ფართის საკუთრება მიიჩნევა ინდივიდუალურ საკუთრებად.

3. მიწის ნაკვეთი, შენობის ნაწილი და ის ნაგებობა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენს ინდივიდუალურ საკუთრებას, ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებაა. საერთო საკუთრებაში წილთა რაოდენობა განისაზღვრება ბინების რაოდენობის შესაბამისად.

4. ინდივიდუალური საკუთრება შეიძლება არსებობდეს მხოლოდ იზოლირებულ ბინებზე ან შენობის სხვა იზოლირებულ ნაწილზე. მანქანის დასაყენებელი ადგილები ითვლება იზოლირებულად, თუკი მათი საზღვრები გამოკვეთილია ხანგრძლივი დროის მანძილზე გამოყენების შედეგად."

ამრიგად, ბინის მესაკუთრის ინდივიდუალურ საკუთრებად ითვლება მისი საცხოვრებელი ბინა და შენობის ის ნაწილი, რომელიც წარმოადგენს არასაცხოვრებელი ფართს. ამ Fფართში იგულისხმება სარდაფი. კანონი არ განსაზღვრავს, თუ სად შეიძლება ჰქონდეს ბინის მესაკუთრეს ასეთი საკუთრება, დამოკიდებულია თუ არა ბინის მესაკუთრის ცხოვრების ადგილი მის უფლებაზე ამა თუ იმ კონკრეტულ ადგილზე ჰქონდეს არასაცხოვრებელი ფართი. ე.ი აქვს რა პირს სარდაფი, იგი ჩაითვლება მის საკუთრებად მიუხედავად მისი საცხოვრებელი ადგილისა მოცემულ მრავალბინიან სახლში. რაც შეეხება მიწის იმ ნაწილს, რომელიც ეკუთვნის მრავალბინიან სახლს, წარმოადგენს ბინის მესაკუთრეთა საერთო საკუთრებას და ამ მიწის ნაკვეთით სარგებლობა ყველას Aშეუძლია, მას ერთობლივად მართავენ ბინის მესაკუთრენი. არც ერთ მესაკუთრეს არ აქვს უფლება შეზღუდოს ამ საერთო საკუთრებით სარგებლობა და მით უმეტეს საკუთრებად აქციოს იგი.

**მიშა ზანდუკელი**

ვთვლი, რომ ხელისუფლებამ ორ სხვადასხვა საკითხზე თავის გადაწყვეტილებით შელახა ადმიანის უფლებები და ღირსებები: 1) პარლამენტის გაწყვეტილებით ღირსების ორდენის ფულადი კომპენსაცია მიეცემათ პირველ რიგში იმათ, ვინც ორდენი მიიღო 2003 წლის 1-ლი იანვრის შემდეგ, ხოლო დანარჩენებს 2006 წლიდან. 2) მთავრობის გადაწყვეტილებით ეროვნული საჯარო რეესტრი გახდა ტექ.აღრიცხვის სამსახურის სამართალმემკვიდრე, მაგრამ თურმე არ აგებს პასუხს იმ დარღვევებზე, რომლებიც ტექ.ბიურომ დაუშვა თავის საქმიანობაში. ცხოვრებისეული ფილოსოფიით და ლოგიკით, ასეთი რამ დაუშვებელია: რიგითობა უნდა დაიცვა და მატერიალური ზიანი თუ ვინმეს მიაყენე უნდა შენი საქმიანობით, ზიანი უნდა აანაზღაურო. მე მაინტერესებს: იურიდიული თვალსაზრისით, რა გარემოებები აიღო საფუძვლად პარლამენტმა და მთვრობამ თავიანთ გადაწყვეტილებებში და შესაბამისობაში მოდის თუ არა ეს გადაწყვეტილებები საქართველოს ძირითად, ორგანულ ან სხვა რომელიმე კანონებთან, რომელიც ადამიანის უფლებების დაცვას ეხება.

ბატონო მიშა,

ესა თუ ის კანონი შეესაბამება თუ არა საქართველოს კონსტიტუციას, ამას პირის სარჩელის საფუძველზე წყვეტს საკონსტიტუციო სასამართლო. მსგავსი საკითხების ასეთ გადაწყვეტა კი გამოწვეულია ქვეყანაში არსებული ფინანსური სახსრების დეფიციტით.

**ნაია კოკიელოვი**

მე, ნაია კოკიელოვა, დაბადებული ქ.თბილისში 1955წელს, ვცხოვრობ თბილისში, ივერიის ქუჩა ნომერ 12-ში. ბინის მესაკუთრე გახლავთ ჩემი დედა, ეთერ გაბრიელის ასული კოკიელოვა. ბინაში ოფიციალურად ვარ ჩაწერილი (რეგისტრაციის მოწმობა - ა 659656). დედა მოხუცდა და ველარ უძლვება იმ პრობლემებს, რომელსაც ჩვენი გვერდითი მეზობელი, ასევე მესაკუთრე ქეთი და მაიზერ ასკურავები უქმნიან. გადავწყვიტე ბინა ჩემზე გადმოვიფორმო. ამჟამად მე შემექმნა პრობლემები ე.წ. სარეესტრო სამსახურში (მარჯანიშვილის მოედანზე რომ მდებარეობს, მე-5 სართულზე). ერთი წელია თითქმის მატარებენ და სულ პრობლემებს მიქმნიან. ახლა მედავებიან, რომ ძველი სახლის გეგმასა და ახალ საკადასტრო რუკას შორის განსხვავებაა. ჩვენი კუთვნილი ფართი 61 კვ.მ.-ით ნაკლებია, ვიდრე ძველ რუკაზეა აღნიშნული. თითქმის 150 ლარზე მეტი გადავიხადე დოკუმენტებსა და საგადასახადო სამსახურში. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე.

ქალბატონო ნაია,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, მითითებული სამსახური წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს. ამიტომ თქვენ უფლება გაქვთ, რომ მოსთხოვოთ მათ ინფორმაცია, თუ რომელი კანონისა თუ ადმონისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ხელმძღვანელობენ და ითხოვენ თქვენ მიერ ამა თუ იმ დოკუმენტის წარდგენას. მითითებული სამსახური ვალდებულია მოგცეთ ინფორმაცია აღნიშნული კოდექსის შესაბამისად.

**ვენერა ცაგურია**

2003 წელს გარდამეცვალა მეუღლე დაბადებული 1922 წელს, რომელიც იყო დიდი სამამულო ომის ინვალიდებთან გათანაბრებული და ეძლეოდა პენსია 45 ლარის ოდენობით. ამასთან ერთად სარგებლობდა ამ კატეგორიისათვის კანონით მინიჭებული შეღავათებით. გთხოვთ, მიპასუხოთ, ეკუთვნის თუ არა რაიმე დახმარება გარდაცვლილის ოჯახს და ვრცელდება თუ არა რაიმე შეღავათი ჩემზე. ამასთან გთხოვთ, განმიმარტოთ რა არის საჭირო შვილების მიერ ქონების მემკვიდრეობით მიღებისათვის და ეკუთვნის თუ არა რაიმე სახის გადასახადი?

ქალბატონო ვენერა,

საქართველოს კანონის "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" მე-16 მუხლი ადგენს"

**მუხლი 16. მეორე მსოფლიო ომის ინვალიდების და მონაწილეების, სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე საბრძოლო მოქმედების და საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისათვის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედების დროს დაღუპულთა /გარდაცვლილთა/, მათ შორის ომისშემდგომ პერიოდში უგზო-უკვლოდ დაკარგულთა,ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირების ოჯახის წევრთა/შემგომში დაღუპულთა,გარდაცვლილთა/ სოციალური დაცვა**

**ამ კანონით დადგენილი სოციალური დაცვის ღონისძიებები ვრცელდება დაღუპული /გარდაცვლილი/ ვეტერანების ოჯახის შემდეგ წევრებზე:**

**ა) შრომიუუნარო მშობლებზე მიუხედავად მათი ასაკისა;**

**ბ) მეუღლეზე, რომელიც მეორედ არ დაქორწინებულა;**

**გ) არასრულწლოვან /18 წლის ასაკამდე/ შვილებზე და ოჯახის სხვა შრომიუუნარო წევრებზე, რომლებიც იმყოფებოდნენ დაღუპული /გარდაცვლილი/ პირის კმაყოფაზე და საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად იღებდნენ მარჩენალის პენსიას.**

**დაღუპულთა /გარდაცვლილთა/ ოჯახის წევრებს სოციალური დაცვის მიზნით უწესდებათ შემდეგი უფლებები და შეღავათები:**

**1) პენსიის მიღების უფლება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;**

**2) ყველა სხვა სახელმწიფო დაბეგვრა 50 პროცენტის ფასდაკლებით;**

**3) სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან, შესაძლებლობის შემთხვევაში, შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური შეღავათიანი პირობებით ერთჯერადი კრედიტის მიღება ბინის, ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლისა და საბაღე სახლის შესაძენად /ასაშენებლად/, საბაღე-საბოსტნე მიწის ნაკვეთის, დამხმარე ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად კრედიტის მესამე წლის დასაწყისიდან ათი წლის განმავლობაში დაფარვის პირობით;**

**4) მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით საკარმიდამო მიწის ნაკვეთის უფასოდ მიღება ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, მებაღეობა-მებოსტნეობის ან ფერმერული მეურნეობის მოსაწყობად;**

**5) ინდივიდუალური სახლის მშენებლობისათვის ადგილობრივი საშენი მასალების პირველ რიგში გამოყოფა და მიღება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ განსაზღვრული პირობებით;**

**6) დაკავებული სასამსახურო საცხოვრებელი სახლებიდან გამოსახლების დაუშვებლობა სამაგიერო ბინის მიუცემლად;**

**7) საცხოვრებელი ფართობის ქირისა და საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების /გათბობა, წყალი, საყოფაცხოვრებო და სხვა ნარჩენების გატანა, გაზი, ელექტრო და თბოენერგია, რადიო, ტელეფონი, გარდა საერთაშორისო და საქალაქთაშორისო საუბრებისა, კოლექტიური ანტენა/ ღირებულების 50 პროცენტის გადახდა, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო.**

**ეს შეღავათები უწესდებათ პირებს, რომლებიც ცხოვრობენ სახელმწიფო და მუნიციპალურ საცხოვრებელ სახლებში, აგრეთვე პრივატიზებულ საცხოვრებელ სახლებში, ხოლო საყოფაცხოვრებო-კომუნალური მომსახურების გადახდისა - პირებს საცხოვრებელი ფონდის სახეობის მიუხედავად, იმისგან დამოუკიდებლად, თუ ვინ არის საცხოვრებელი სახლის დამქირავებელი ან მფლობელი;**

**8) იმ სახლებში მცხოვრები პირებისათვის, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, მოსახლეობისათვის მისაყიდი სათბობის ღირებულებისა და მისი მიტანის ხარჯების 50 პროცენტის ფასდაკლებით გადახდა და ამ კატეგორიის პირების პირველ რიგში უზრუნველყოფა სათბობით, თუ ამ მომსახურებას ახორციელებს სახელმწიფო;**

**9) პენსიაში გასვლის შემდეგ იმ სახელმწიფო პოლიკლინიკების მომსახურებით სარგებლობა, რომლებზეც დაღუპულის /გარდაცვლილის/ ოჯახის წევრები იყვნენ მიმაგარებულნი დაღუპულის /გარდაცვლილის/ სიცოცხლეში სახელმწიფოს ხარჯზე;**

**10) რეცეპტით გასაცემი წამლებით უფასოდ უზრუნველყოფა ერთ - ერთ სახელმწიფო აფთიაქზე მიმაგრებით;**

**11) სამედიცინო დასკვნის საფუძველზე დაღუპულის /გარდაცვლილის/ უკანასკნელი სამუშაო ადგილის მიხედვით წელიწადში ერთხელ სანატორიუმის, დასასვენებელი სახლისა და პროფილაქტორიუმის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა.**

**არამომუშავე ოჯახის წევრებს საგზურით უზრუნველყოფს ორგანიზაცია, სადაც დაღუპული /გარდაცვლილი/ იღებდა პენსიას;**

**12) მეუღლის შვილებთან ერთად სანატორიუმში, დასასვენებელ სახლსა და პროფილაქტორიუმში დასასვენებლად, აგრეთვე ბავშვთა გამაჯანსაღებელ დაწესებულებებში მკურნალობისათვის საგზურით უპირატესი უზრუნველყოფა სამუშაო ადგილის მიხედვით;**

**13) ბინაზე ტელეფონის დადგმის უპირატესი უფლება;**

**14) ამ მ უხლში ჩამოთვლილი პირებისათვის სატრანსპორტო ხარჯების სახელმწიფო უზრუნველყოფა ქალაქში-საქალაქო ტრანსპორტით სარგებლობისათვის, სოფლად-საგარეუბნო და საქალაქთაშორისო ტრანსპორტით სარგებლობისათვის საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესით;**

**15) მოხუცთა და ინვალიდთა სახლ-ინტერნატებში, აგრეთვე პენსიონერთა სოციალური მომსახურების ტერიტორიულ ცენტრში და ბინაზე სოციალური დახმარების განყოფილებაში პირველ რიგში მიღება;**

**16) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებისას გარდაიცვლილი (დაღუპული) ვეტერანების და მათთან გათანაბრებული პირობების ოჯახის წევრებს უწესდებათ შემდეგი დამატებითი უფლებები და შეღავათები;**

**ა) ერთდროული და ყოველთვიური დახმარება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა და ოდენობით;**

**ბ) დაღუპულთა (გარდაცვლილთა) ოჯახის მემკვიდრეების მემკვიდრეობის უფლების მოწმობის წარდგენისას სახელმწიფო დაზღვევის ორგანოების მიერ ერთჯერადი ფულადი დახმაებით უზრუნველყოფა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი წესითა ოდენობით;**

**გ) დაღუპულის (გარდაცვლილის) ოჯახის მემკვიდრეების მემკავიდრეობის უფლების მოწმობის მიღებისას სახელმწიფო ბაჟის გადახდის დროს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი შეღავათებით სარგებლობა.**

რაც შეეხება მემკვიდრეობის მიღებას, მისი მიღება შეიძლება ანდერძით ან მისი არარსებობის შემთხვევაში კანონით. ფიზიკური პირის ქონებაზე სამკვიდრო იხსნება მისი გარდაცვალების შემდეგ და მისი მიღების უფლება აქვთ, თუ ანდერძია, ანდერძით მემკვიდრეებს და თუ არ არის, კანონით მემკვიდრეებს თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის პირველი ნაწილისა:

**მუხლი 1336. კანონით მემკვიდრეები**

**კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლებით მემკვიდრეებად ითვლებიან:**

**I. პირველ რიგში - გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები).**

ამრიგად, მემკვიდრეობის მიღება შეიძლება მხოლოდ მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ და მისი მიღება ხდება სამკვიდრო ქონების ფაქტობრივი დაუფლებით ან მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში სანოტარო ბიუროში განცხადების წარდგენით. მემკვიდრემ კი სამკვიდრო ქონების გადასაფორმებლად სანოტარო ბიუროში უნდა აიღოს სამკვიდრო მოწმობა და გაატაროს საჯარო რეესტრში. რაც შეეხება გადასახადებს, საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის პირველი ნაწილის "ზ" და "ი" ქვეპუნქტების თანახმად საშემოსავლო გადასახადისაგან თავისუფლდებიან:

**მუხლი 168. გადასახადისაგან განთავისუფლება**

**1. საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება ფიზიკურ პირთა შემოსავლების შემდეგი სახეები:**

**ზ) საგადასახადო წლის განმავლობაში I და II რიგის მემკვიდრეების მიერ ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება;**

**ი) საგადასახადო წლის განმავლობაში III და IV რიგის მემკვიდრეების მიერ 150 000 ლარამდე ღირებულების ქონების ჩუქებით ან მემკვიდრეობით მიღება.**

**ივანე შენგელია**

ამა წლის 14 აპრილის გაზეთ "24 საათში" ჩემს შეკითხვაზე გაცემული პასუხისათვის მადლობას მოგახსენებთ 1995 წლის 17 ოქტომბრის კანონის მე-7 მუხლის პუნქტების ჩამონათვალის გამოქვეყნებისათვის. მაგრამ ჩემთვის გაურკვეველია მე-9 პუნქტის თანახმად მივეკუთვნები თუ არა ომის მონაწილეს ან მათთან გათანაბრებულ პირს. გთხოვთ, მიპასუხოთ ჩემს კონკრეტულ შეკითხვაზე.

ბატონო ივანე,

საქართველოს კანონი "ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ" ჩამოთვლის რა მე-7 მუხლში მეორე მსოფლიო ომის და მათთან გათანაბრებული პირების კატეგორიებს, არ ახდენს რაიმე განსხვავებას მათ შორის:

**მუხლი 7. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანები და**

**მათთან გათანაბრებული პირები**

**მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს და მათთან გათანაბრებულ პირებს მიეკუთვნებიან:**

**9. პირები, რომლებიც ომის წლებში მუშაობდნენ საჰაერო თავდაცვის, ადგილობრივი თავდაცვის ობიექტებზე, აგრეთვე თავდაცვითი ნაგებობების მშენებლობებზე, საზღვაო ბაზებში, აეროდრომებსა და სხვა სამხედრო ობიექტებზე მოქმედი ფრონტის ზურგში და რკინგზისა და საავტომობილო გზების ფრონტისპირა უბნებზე.**

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად სოც.უზრუნველყოფის ორგანო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც ვალდებულია, პირის განცხადებას გასცეს წერილობითი პასუხი. აქედან გამომდინარე თქვენ უფლება გაქვთ, მიმართოთ მას განცხადებით და მოითხოვოთ ინფორმაცია თუ რომელი კანონისა თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხდება აღნიშნულ პირებს შორის დიფერენცირება.

ჟანრის პროცესი



B3

"საბა" - 2005



B5

მართლმადიდებლობა და მედიცინა ანუ ვისთან იმალება "სატანა"?



B6

# ლუკაშენკომ შეიძლება ისროლოს

სოფო ბუკია

*"ლუკაშენკო ყველაფერზე, აბსოლუტურად ყველაფერზე წამსვლელია. არავითარი გარანტიები არ არსებობა იმისა, რომ ბელარუსში მოვლენები განვითარდება ისე, როგორც უკრაინასა და საქართველოში... ლუკაშენკომ შეიძლება ისროლოს," - აცხადებს ბელარუსული ოპოზიციის ლიდერი ანატოლი ლებედკო. ანატოლი ლებედკო - ბელარუსში ერთ-ერთი წამყვანი ოპოზიციური ძალის "გაერთიანებული სამოქალაქო პარტიის" ლიდერი. ბელარუსის პარლამენტის ორი მოწვევის (1990, 1995 წწ) დეპუტატი.*

**- პოლიტიკური ექსპერტების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ რევოლუციური აჩრდილი ნელა, მაგრამ მაინც უახლოვდება მინსკს. თქვენი აზრით, ბელარუსში, ლუკაშენკოს რეჟიმის პირობებში, რამდენად შესაძლებელია ქართული და უკრაინული სცენარების განმეორება?**

- თუ ბელარუსის მთავრობის მოქმედებებს დავაკვირდებით, დანამდვილებით შეიძლება განვაცხადოთ, რომ რევოლუციის აჩრდილი ნამდვილად ხეტიალობს წითელი სახლის დერეფნებში.

პარადოქსული სიტუაციაა: მართალია, დიდი მკრეხელობაა ბელარუსულ არჩევნებს არჩევნები უწოდო, მაგრამ პირობითად ვიტყვი, რომ გასულ წელს ჩვენთან საარჩევნო კამპანია გაიმართა, რომლის პარალელურადაც ჩატარდა რეფერენდუმი. რეფერენდუმის კითხვა ასეთი იყო - უნდათ თუ არა ბელარუსის მოქალაქეებს, რომ ლუკაშენკომ გაიხანგრძლივოს თავისი საპრეზიდენტო ვადა. ცესკო-ს მიერ გამოქვეყნებული შედეგების მიხედვით, ლუკაშენკოს პრეზიდენტად დარჩენას მოსახლეობის 79 პროცენტი მიესალმება. პარადოქსი სწორედ აქ იმალება - თუ შენ მოსახლეობის ასეთი მხარდაჭერა გაქვს, მაშინ სიხარულისგან უბრალოდ ღრუბლებში უნდა დაფრინავდე და არ უნდა გეცალოს ოპოზიციის განცხადებებზე პასუხის გასაცემად. ასე არ არის? შენ უნდა ექცეოდე ოპოზიციას ისე, როგორც პატარა ბავშვებს, რომლებიც ქვიშაში უწყინარად თამაშობენ. მაგრამ ბატონი ლუკაშენკო სხვაგვარად ფიქრობს. ჩვენ მომსწრე ვართ იმისა, რომ ხელისუფლება ყოველდღიურად უფრო დაუნდობელი ხდება ოპონენტების მიმართ. ეს მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს - ლუკაშენკომ კარგად იცის თავის მხარდამჭერთა რეალური ციფრი. მან მშვენივრად იცის, რომ არ სარგებლობს მოსახლეობის მხარდაჭერით, რომ ქვეყანაში სიტუაციას მხოლოდ სუკ-ის და სხვა ძალოვანი სტრუქტურების დახმარებით აკონტროლებს, რომ მოსახლეობის 80 პროცენტი მასზე მხოლოდ ფინანსურ-ეკონომიკური კუთხითაა დამოკიდებული. ბელარუსში ხალხს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნეს, რომ ისინი ხელფასს პირადად ლუკაშენკოსაგან იღებენ, მასზე არიან დამოკიდებულნი... და ეს მართლაც ასეა.

ბელარუსული ოპოზიცია ორ ნაწილად შეიძლება გავყოთ: პესიმისტები და ოპტიმისტები. მე ოპტიმისტებს განვეკუთვნები, მაგრამ, ვთვლი, რომ სიტუაციას უფრო რეალურად სწორედ პესიმისტები აფასებენ. როდესაც ათობით საზოგადოებრივი ორგანიზაცია იხურება, არსებობას წყვეტს პოლიტიკური პარტიები, ინფორმაციული მასალების გავრცელებისთვის დაწესებული ოფიციალური ჯარიმა 2-3 ათას ამერიკულ დოლარს შეადგენს - ძნელია ამ ყველაფრის შემდეგ ოპტიმისტი იყო. ეს ყველაფერი სინამდვილეში ხდება, მაგრამ ამ რეპრესიებში მე ოპტიმისტურ საწყისს ვხედავ, რადგან ასე მხოლოდ განწირული რეჟიმები მოქმედებენ.

**- როგორი იყო ლუკაშენკოს მოქმედებები მაშინ, როდესაც საქართველოსა და უკრაინაში რევოლუციები მიმდინარეობდა? რაიმე დამატებითი სანქციები ხომ არ შემოიღო?**

- ცხადია, ბელარუსის ლიდერი ძალიან ნერვიულობს. უკრაინული რევოლუციის დროს ლუკაშენკომ ცვლილებები შეიტანა კანონმდებლობაში, რამაც მას ნება დართო, საკუთარი სურვილის შემთხვევაში იარაღის გამოყენების ბრძანება გასცეს.

ბელარუსის კანონმდებლობით, იარაღის გამოყენება მკაცრად რეგლამენტირებული იყო. სანამ იარაღის გამოყენების ბრძანებას გასცემდი, მთელი რიგი პროცედურები უნდა გაგევლო. ქართული და უკრაინული მოვლენების შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა ლუკაშენკომ გააცნობიერა, რომ შესაძლოა, მის გარემოცვაში არ აღმოჩნდეს არც ერთი გენერალი, რომელიც იარაღის გამოყენების ბრძანებას გასცემს. ამდენად, მან შეცვალა კანონი, სადაც ჩამოთვლილი იყო, როდის შეიძლება იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენება. უკვე არსებულ მკაცრად რეგლამენტირებულ ჩამონათვალს დაემატა შემდეგი ფრაზა - "და ასევე პრეზიდენტის მიერ გათვალისწინებული სხვა შემთხვევებისა". ლუკაშენკომ ამით ხელ-ფეხი გაიხსნა. არავითარი რეგლამენტაცია, როცა უნდა და როგორც უნდა, ისე იმოქმედებს. მაგალითად, გამოვა ქუჩაში ათი კაცი, ლუკაშენკო ჩათვლის, რომ აუცილებელია და ამ ხალხს ესვრიან.

**- ქართული რევოლუციის დროს ძალიან დადებითი როლი შეასრულა იმან, რომ ოპოზიციამ გარკვეულ ეტაპზე ერთ ძალად გაერთიანება მოახერხა. ბელარუსში რამდენად შესაძლებელია ოპოზიციის ერთ ფრონტად გამოსვლა?**

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი ქვეყანა, სადაც დემოკრატიული ძალების ასპროცენტიანი გაერთიანება მოხდა. ეს არ ხდება, რადგან ჩვენ ყველას დემოკრატიის აშენება გვინდა, რომელიც თავისთავად აზრთა და შეხედულებათა პლურალიზმს გულისხმობს. ბელარუსშიც არ მოხდება ასპროცენტიანი გაერთიანება, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ოპოზიციის გაერთიანების ტენდენციებზე, რაც აშკარად შეიმჩნევა. ტენდენცია პოზიტიურია. სამი წლის წინ ჩვენი პარტია კოალიციის შექმნის ინიციატივით გამოვიდა. კოალიციამ შემდგომ მიიღო სახელწოდება "ხუთი პლუსი". ეს არის ხუთი ოპოზიციური პოლიტიკური ძალა, ხოლო პლუსი გულისხმობს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ახალგაზრდულ მოძრაობებს, პროფკავშირებს, რომლებიც ჩვენს იდეებს თანაუგრძნობენ. ყველას ეგონა, რომ ეს კოალიცია ძალიან მალე გარდაიცვლებოდა, მაგრამ გავიდა უკვე სამი წელი და ჩვენ კვლავ ერთად ვართ. უფრო მეტიც, კოალიცია უფრო მსხვილი გაერთიანების ბირთვი გახდა - გასულ წელს კოალიციის სუბიექტთა რიცხვი ათამდე გაიზარდა. ამ გაერთიანების მიღმა მხოლოდ ერთი ოპოზიციური სტრუქტურა დარჩა. სხვები ერთად ვართ.

**- რაც შეეხება "პლუსს"... ანუ როგორია დღეს ბელარუსის სამოქალაქო საზოგადოება? არის თუ არა იგი მზად ცვლილებებისთვის, რევოლუციისთვის, როგორც ეს საქართველოსა და უკრაინაში იყო?**

- "პლუსი" კოალიციის ძალიან მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იგი ორასზე მეტ საზოგადოებრივ ორგანიზაციას, პროფკავშირებს, ახალგაზრდული მოძრაობებს აერთიანებს.

დღეს ჩვენ საკმაოდ ამბიციური ამოცანა დავისახეთ; არ ვიცი, მიიღებს თუ არა ეს პოლიტიკურ წონას. ჩვენ შევეცდებით, შევქმნათ ყველა არსებული ორგანიზებული სტრუქტურის ერთიანი მოძრაობა და გავაერთიანოთ ყველა ის ადამიანი, ვინც ბელარუსში ცვლილებების მომხრეა. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, მოსახლეობის ნახევარზე მეტი ცვლილებების მომხრეა. დღეს ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოების ამ დიდი ნაწილის გაერთიანება. ეს იქნება დაახლოებით სამნახევარი, ოთხი მილიონი ადამიანი.





*ანატოლი ლებედკომ საქართველოში ლუკაშენკოს მიერ აკრძალული ბელარუსის ეროვნული დროშა ჩამოიტანა*

**- გამოდის, ხალხი მზად არის ქუჩაში გამოსასვლელად?**

- ბელარუსში "ცარიელი ქვაბების" რევოლუცია არ იქნება. სავარაუდოდ, აქ მოვლენების უკრაინული სცენარი განვითარდება, სადაც ხალხი ქუჩაში ერთადერთი ბრენდით გამოვიდა - "

ხ ჰ ". ეს ბრენდია მოსალოდნელი ბელარუსშიც. საზოგადოების სტრუქტურა ბელარუსში ძალიან ჰგავს უკრაინულს. ხალხის უმრავლესობა აცხადებს, რომ მათ ცვლილებები უნდათ. კითხვაზე: დღეს რომ იყოს არჩევნები, ვის მისცემდით ხმას, ლუკაშენკოს თუ ახალ ლიდერს - ბელარუსები პასუხობენ: ახალ ლიდერს. მათ არ იციან, ვინ არის ეს ახალი ლიდერი, მაგრამ მაინც არ ასახელებენ ლუკაშენკოს. ისინი დარწმუნებულები არიან, რომ ლუკაშენკოზე უარესი ბუნებაში არაფერი არსებობს.

ეს მომენტი ძალიან განასხვავებს საქართველოსა და უკრაინას ბელარუსისგან, სადაც არ არის პრეზიდენტობის გამოკვეთილი ალტერნატიული კანდიდატურა.

ბელარუს ხალხს ოპოზიციამ სამი რამ უნდა შევთავაზოთ. პირველი - იდეა, ბელარუსის მომავლის კონტურები, სადაც ყველა ადამიანი იპოვის თავის ადგილს; მეორე - ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ერთიანი მოძრაობა, რომელიც ქვეყანაში ცვლილებების მომხრეებს გააერთიანებს; და მესამე - ასევე ჩვენ უნდა შევთავაზოთ ხალხს პრეზიდენტობის ერთიანი კანდიდატი.

**- თქვენ ხომ არ იქნებით ეს ერთიანი კანდიდატი? ბელარუსში ერთ-ერთ გავლენიან ოპოზიციონერად ითვლებით...**

- ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. ამჟამად მიმდინარეობს ერთიანი კანდიდატის შერჩევის პროცედურა. ოპოზიციამ ძალიან კარგად უნდა გათვალოს ყველაფერი. მეც განვიხილები ერთ-ერთ კანდიდატად.

**- საქართველოში რა მიზნით ჩამოხვედით? "ვარდების რევოლუციის" შემდეგ თბილისში ხშირად ჩამოდიოდნენ ვიქტორ იუშენკოს პარტიის წევრები. ისინი ღიად აცხადებდნენ, რომ საქართველოში რევოლუციის კეთებას სწავლობენ... თქვენც სამეცადინოდ ხომ არ ჩამოხვედით?**

- სწავლა არასოდეს არ არის გვიან, მე მთელი ცხოვრება რაღაცას ვსწავლობ... არ მოვყვები ქართული რევოლუციის მნიშვნელობაზე საუბარს, ეს ისედაც ცხადია. რამდენიმე წლის წინ არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ჩვენ - ბელარუსის ოპოზიციონერები, შევძლებდით დსთ-ს ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურების კარის შეღებას. ჩვენი მომხრეები, ჩვენი მეგობრები ადრე მხოლოდ ევროპაში იყვნენ. პოსტსაბჭოთა სივრცე ჩვენთვის დაკეტილი იყო. დსთ იყო ავტორიტარულ მმართველთა კონსოლიდაცია, ეს იყო ბეტონის კონსტრუქცია, რომლის ყველა კარი ყრუდ იყო ჩაკეტილი.

ჩვენ პირველად შევაღეთ კარი საქართველოს სამთავრობო სტრუქტურებში, უკრაინის სამთავრობო კაბინეტებში. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ბელარუსში სულ სხვა შესაძლებლობების პოტენციალი გვეხსნება. ჩვენთვის იღება ახალი სივრცე, სადაც შეგვიძლია ვიმუშაოთ, სადაც გვყავს მეგობრები, მოკავშირეები.

მე შევხვდი პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის ხელმძღვანელს კოტე გაბაშვილსა და პარლამენტართა ჯგუფს. ბევრ რამეზე შევთანხმდით. ქართველი პარლამენტარები მზად არიან საქართველოს პარლამენტში შექმნან სპეციალური ჯგუფი, რომელიც ბელარუსში დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად იმუშავებს . ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

ჩვენი დიდი სურვილია, რომ ქართველმა პარლამენტარებმა ბელარუსის სამოქალაქო საზოგადოებასთან იმუშაონ. ეს ნიშა ბელარუსში დღეს ცარიელია, რადგან რეალურად პარლამენტი არ არსებობს. მსგავსი გამოცდილება უკვე გვაქვს - ლიტვაში შექმნილია ჯგუფი, რომელსაც "დემოკრატიული ბელარუსისთვის" ჰქვია, ჩვენ მათთან აქტიურად ვმუშაობთ.

შეხვედრა მქონდა ახალგაზრდული ორგანიზაცია "კმარას" წარმომადგენლებთან. ბელარუსშიც არის რამდენიმე ახალგაზრდული ორგანიზაცია, ისინი აუცილებლად გააკეთებენ იმ საქმეს, რაც მათმა თანატოლებმა საქართველოში და უკრაინაში მოახერხეს.

შევხვდი განათლების მინისტრს გოკა გაბაშვილს. დიდი პროექტები ამ კუთხით ჯერჯერობით არ გვაქვს, მაგრამ მომავალში აუცილებლად ვითანამშრომლებთ. მაგალითად, ჩვენთან აკრძალულია ზოგიერთი აზალგაზრდული ჯგუფის მოღვაწეობა იმ მოტივით, რომ ისინი ბელარუსულ ენაზე მღერიან და დემოკრატიის მომხრეები არიან. გვინდა, რომ ისინი ჩამოვიდნენ თბილისში. დაგეგმილია ასევე სხვა მაღალი დონის შეხვედრები...

**- სუუამ-ის სამიტზე პრეზიდენტმა სააკაშვილმაც და სხვა ლიდერებმა ბევრი ისაუბრეს ბელარუსზე. რამდენად გრძნობთ დსთ-ს ახალი ტალღის ლიდერთა მხარდაჭერას? როგორ აღიქმება ეს მხარდაჭერა თქვენს სამშობლოში?**

- საერთაშორისო მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია, მით უმეტეს დსთ-ს წევრი ქვეყნების ლიდერთა მხარდაჭერა. ლუკაშენკოს ზურგი აღარ ჰყავს. თუ ორი წლის წინ ის თავს საკმაოდ უსაფრთხოდ და თავდაჯერებულად გრძნობდა, დღეს სიტუაცია შეიცვალა. ორი წლის წინ მან ზუსტად იცოდა, სად გადის ფრონტის ხაზი. ლუკაშენკომ სახელმწიფო საზღვრის პერიმეტრზე ჩრდილოეთით, სამხრეთით, დასავლეთით ერთგვარი ბერლინის კედელი ააშენა და თავი დაიცვა ევროპისგან. უკან კი მას ჰყავდა საიმედო, მძლავრი ზურგი და არამარტო რუსეთის, არამედ მთლიანად პოსტსაბჭოთა სივრცის სახით. დღეს ეს ზურგი ძალიან სუსტი და ადვილად მსხვრევადია. ამას ლუკაშენკო ავადმყოფურად განიცდის. იგი ხომ ბელარუსს უყურებდა, როგორც რაღაც დროებითს მის პოლიტიკურ კარიერაში. ის თავის თავს პოსტსაბჭოთა სივრცის გამაერთიანებლად და ამ სივრცის ლიდერად ხედავდა. იდეოლოგიის თვალსაზრისით, მართალი იქნება თუ ვიტყვით, რომ ლუკაშენკო სტალინის შვილიშვილია. ის იგივე კატეგორიებით ფიქრობს. მას დიდ სატანჯველში აგდებს იმასთან შეგუება, რომ ბელარუსი ევროპული საზომებით საშუალო სიდიდის სახელმწიფოა, რომ ბელარუსს არა აქვს ბირთვული იარაღი, რომ მას, ლუკაშენკოს არ შეუძლია გაერო-ს ტრიბუნაზე ფეხსაცმელი აბრახუნოს. წარმომიდგენია, რომ როდესაც ის ელცინთან ერთად კრემლში დასეირნობდა, სუნთქვაშეკრული უყურებდა იმ ბებრუხანას, რომელსაც ასეთი კოლოსალური შესაძლებლობები აქვს და მაინც ვერ ახერხებს მთელი მსოფლიოს დაჩოქებას. ის კი - ლუკაშენკო ასეთი ახალგაზრდა, ჯანმრთელი, ამბიციური, ლამაზი კაცია და მას ასეთი ძალაუფლება არა აქვს. ლუკაშენკო თვლის, რომ მოცემულ მომენტში ის პოსტსაბჭოთა სივრცის რევაშისტული ძალების ლიდერია. ადრე საბჭოთა კავშირში იყვნენ ლიდერები, რომლებიც ნოსტალგიით იყვნენ დაავადებულნი და ლუკაშენკო სარგებლობდა მათი განწყობით. ისინი ბევრს პატიობდნენ მას და აძლევდნენ უფლებას, მოქცეულიყო ისე, როგორც იქცეოდა. დღეს ლუკაშენკოს ოცნება ინგრევა.

**- პოსტსაბჭოთა სივრცის რევოლუციები და რევოლუციონერი ლიდერები დასავლეთის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ. თქვენ რას გეუბნებათ ამერიკა? რისი იმედი აქვს ლუკაშენკოს ოპოზიციას?**

- ასი პროცენტით ვარ დარწმუნებული ვარ, რომ ბელარუსის პრობლემის გასაღები არ არის არც ვაშინგტონში, არც ბრუსელში, არც მოსკოვში - იგი მხოლოდ მინსკშია.

**- კი, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გასაღები დაკარგულია... ვინ უნდა მოგეხმაროთ მის მოძიებაში?**

- რა თქმა უნდა, ვაღიარებთ, რომ საგარეო ფაქტორს, საერთაშორისო ფაქტორს ბელარუსში დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არ არის გადამწყვეტი ფაქტორი, მაგრამ მნიშვნელოვანია.

ჩვენთან არ არის ბევრი ის გარემოება, რასაც საქართველოსა და უკრაინაში ჰქონდა ადგილი. მაგალითად, უკრაინასთან შედარებით ჩვენ არ გვყავს ოპოზიცია, რომელიც რაიმე დოზით მაინც ინტეგრირებულია სამთავრობო სტრუქტურებში. ლუკაშენკო ოპოზიციას არ უშვებს ხელისუფლებაში. მეორე, ჩვენ არ გვყავს მდიდარი უკრაინელები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი თავისუფლების ინვესტირება. ბელარუსული ბიზნესი ეს არის ლუკაშენკო. იგია ბელარუსის ერთადერთი ოლიგარქი. და მესამე ფაქტორი - ბელარუსში არ არის არც რუსთავი 2 და არც უკრაინის მეხუთე არხი.

**- ოპოზიციური მასმედია საერთოდ არ არის?**

- მასმედია ბელარუსის ნომერ პირველი პრობლემა და სატკივარია. ელექტრონული მასმედია მთლიანად "პრიხვატიზებული" აქვს ლუკაშენკოს. მას აქვს გაზეთები, რომლებიც მილიონიანი ტირაჟით გამოიცემა. ერთადერთ ოპოზიციურ გაზეთს ძალიან მცირე ტირაჟი აქვს - 29 ათასი. გაზეთებში მხოლოდ ლუკაშენკოს ფოტოებია, იგივეა ტელევიზიაშიც - იგივე სახე, იგივე ულვაშები. ოპოზიციისთვის ყველა კარი დახურულია. ვერ ვიტყვი, რომ ტელევიზორში არ მაჩვენებენ... როგორ არა, საკმაოდ ხშირად, მაგრამ ხმა კადრს მიღმა ამ დროს საოცარ რამეებს ჰყვება. მაგალითად იმას, რომ მამაჩემი ომის დროს ფაშისტების შპიონი იყო, მაშინ როცა მამაჩემი 1938 წელსაა დაბადებული და ომის დროს მხოლოდ 4 წლის იყო. ამის სასამართლოში გასაჩივრებას აზრი არა აქვს, რადგან უკლებლივ ყველა მოსამართლე ლუკაშენკოს მიერ ინიშნება.

**- პოსტსაბჭოთა სივრცის რევოლუციების მიზეზი გაყალბებული არჩევნებია. ამ ტრადიციას ბელარუსიც არ დაარღვევს? რა მიზეზით გამოვა ბელარუსი ხალხი ქუჩაში?**

- არჩევნები. არჩევნები გახდება მიზეზი. დარწმუნებული ვარ, რომ ბელარუსში, ქვეყანაში, სადაც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში არჩევნები კლასიკური გაგებით არ ჩატარებულა, ეს არ მოხდება არც 2006 წელს.

გაფიქრებაც კი არ მინდა, რა მოხდება 2006 წელს, როგორ წარიმართება საარჩევნო კამპანია...

2001 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე ჩვენ პრეზიდენტობის სამი კანდიდატი დავკარგეთ. ბანალური ისტორიაა ბელარუსისთვის, ისინი გაიტაცეს და მოკლეს. ლუკაშენკო ამჯერადაც ბოლომდე იბრძოლებს. შესაძლოა, კვლავ აიღოს სტარტი მკვლელობათა მარათონმა.

**- რუსეთის ფაქტორი? ნუთუ ბელარუსი მზადაა, რევოლუციით გული დასწყვიტოს უფროს ძმას?**

- რუსეთის ფაქტორი, ცხადია, არის - პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც. დღეს საკითხი ასეთ სიბრტყეში დგას: პუტინს არ უყვარს ლუკაშენკო, მაგრამ პუტინს კიდევ უფრო მეტად არ უყვარს რევოლუციები. ლუკაშენკო იყენებს ამ ფაქტორს. ის ცდილობს, საკუთარი თავი კრემლს მიჰყიდოს. ის ცდილობს, გამოჩნდეს ერთადერთ ძალად, რომელსაც შეუძლია რუსეთის დასავლეთი ყოველგვარი რევოლუციებისგან დაიცვას.

კრემლი ძალიან რთულ მდგომარეობაში იმყოფება. ერთის მხრივ, ლუკაშენკოსთან მეგობრობა პუტინის დისკრედიტაციას ახდენს მსოფლიო საზოგადოების წინაშე. პუტინს სურს, დასავლეთის წინაშე დემოკრატიულ მოდაზე შეკერილი პიჯაკით წარსდგეს, მაგრამ ლუკაშენკოს რეჟიმი მის პიჯაკზე შავ ლაქას წარმოადგენს და ეფექტს აფუჭებს. ეს დისკომფორტს უქმნის პუტინს. კრემლს ურჩევნია, ბელარუსში პრორუსული ორიენტაციის, უფრო პროგნოზირებადი პოლიტიკოსი ეგულებოდეს. ეს ერთი მხარეა, მაგრამ ჩვენ ვხედავთ მეორე მხარესაც - იმ კრედიტს, რომელსაც რუსეთი ლუკაშენკოს რეჟიმისთვის არ იშურებს. მაგალითად, ბელარუსი რუსეთიდან ღებულობს ელექტროენერგიას ორჯერ უფრო ნაკლებ ფასად, ვიდრე, ვთქვათ, ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. ჩვენ ვხედავთ, რომ ოფიციალურად რუსეთი საერთაშორისო სტრუქტურებში ჯერ კიდევ ასრულებს ლუკაშენკოს ადვოკატის როლს. წავა თუ არა რუსეთი იმაზე, რომ ბელარუსში ჰყავდეს თავისი იანუკოვიჩი, ჯერჯერობით გაურკვეველია. ლუკაშენკო ყველანაირად ეცდება, კვლავ რუსეთის ფავორიტად დარჩეს, მაგრამ მოვლენების დინამიურად განვითარების შემთხვევაში რუსეთი მიხვდება, რომ ლუკაშენკო წარმავალი პოლიტიკოსია. კრემლი ინვესტიციებს ბელარუს იანუკოვიჩში ჩადებს. ეს ლუკაშენკოსთვის ძალიან ცუდი იქნება. მას ორ ფრონტზე ბრძოლა მოუწევს - ბელარუსი იანუკოვიჩის განეიტრალება და ბელარუსი იუშენკოს დამარცხება. ის ამ ბრძოლას ვერ გაუძლებს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ბელარუსში პოლიტიკური მოვლენების დინამიკურად განვითარება მოხდა.

ლუკაშენკო ბოლომდე წავა, მას ხელები დაულურჯდება, მაგრამ ის ბოლომდე ჩაებღაუჭება ხელისუფლებას. ის ყველაფერზე, აბსოლუტურად ყველაფერზე წამსვლელია. არავითარი გარანტიები არ არსებობა იმისა, რომ ბელარუსში მოვლენები განვითარდება ისე, როგორც უკრაინასა და საქართველოში, სადაც ყველაზე დიდი მიღწევა ის იყო, რომ არ დაკარგულა არც ერთი ადამიანის სიცოცხლე.



# აფიშა

## კონცერტები

**კონსერვატორიის დიდი დარბაზი**

მე-8 მუსიკალური სკოლის საჩვენებელი კონცერტი
დას. 14.00

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
ნინო ბასილია
"თაგვი"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
ნანა ჯანელიძე
"საჩუქარი დიდებს, როცა პატარები იყვნენ"
რეჟისორი: ნანა ჯანელიძე
დასაწყისი: 19 საათზე

**მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი**
პრემიერა
ოგიუსტ ეჟენ სკრიბი
"ჭიქა წყალი"
(ინტრიგების ორმოქმედებიანი კომედია)
დამდგმელი რეჟისორი: კოტე მირიანაშვილი
დას: 19:00 სთ.

**თავისუფალი თეატრი**
"ტელემისტერია"
რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი
დას: 19:00 სთ.

**სამეფო უბნის თეატრი**
ეჟენ იონესკო
"გაკვეთილი"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**ამირანი**
"მძევალი"
დას: 12:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

**რუსთაველი**
"დაიკიდე"
დას: 14:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 11:00; 16:00; 19:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი
"შუა საუკუნეების ქრისტიანული ხელოვნება"
II სართული

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

**ქარვასლა**
"ბავშვები მშვიდობისთვის"

**თაგის არტი**
ირაკლი ბოჭორიშვილის ფეხსაცმლის კოლექცია BiN4

**ჰობი**
ედმუნდ კალანდაძის ნამუშევრების გამოფენა
"რჩეული ნამუშევრები"

**ბავშვთა ნახატების გალერეა**
ნორჩ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა
"ევროპა-საქართველო"

**ეროვნული გალერეა**
"წინა საუკუნის ქართველები"
(ნინო ფურცხვანიძე - ფოტო;
სოფო ტაბატაძე - ინსტალაცია).
გახსნა: 15:00 სთ.

## კლუბები

**Jam**
The Future Sound of Tbilisi წარმოადგენს:
დი-ჯეები: ლილუ და დარკი
კლუბის გახსნა: 21:00 სთ.

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge*


საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი

**აცხადებს კონკურსს**

**კინოხელოვნების პოპულარიზაციისთვის**

კონკურსში გამარჯვებული პროექტ(ებ)ი ნაწილობრივ (მაქსიმუმ 50%-ით) დაფინანსდება ეროვნული კინოცენტრის მიერ.

ეროვნული კინოცენტრისგან მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 10 ათას ლარს.

კონკურსის საერთო ბიუჯეტია 20 ათასი ლარი

პროექტი უნდა განხორციელდეს 2005 წლის დასრულებამდე.

პროექტის წარდგენის ბოლო ვადაა 2005 წლის 31 მაისი, 17:00 სთ.

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

0105 თბილისი, მარჯვენა სანაპიროს 4,
ტელ/ფაქსი: 98 42 01 E-mail: kinocentre@myoffice.ge


# მივიწყებული პოპულარულები და დერეფნის ორივე მხარე

### ფოტო და ინსტალაცია ეროვნულ გალერეაში

ვერა ნეფარიძე

*პოსტსაბჭოურ საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა; ეს ცვლილებები კიდევ უფრო თვალშისაცემია მათთვის, ვინც უკანასკნელი წლები ქვეყნის ფარგლებს გარეთ გაატარა. როგორ აღიქვამს ამ ყველაფერს მხატვრების სხვადასხვა თაობის - უცხოეთსა და საბჭოთა საქართველოში განათლებამიღებული, ახალგაზრდა და საშუალო თაობის მხატვართა ორი წარმომადგენელი, ამაზეა აგებული გამოფენა "წინა საუკუნის ქართველები", რომელიც დღეს ეროვნულ გალერეაში გაიხსნება.*

გამოფენაზე სხვადასხვა თაობის მხატვართა გამოხატვის ხერხიც ერთმანეთისგან განსხვავებულია. უფროსი თაობის წარმომადგენელი ნინო ფურცხვანიძე გასული საუკუნის ყველაზე პოპულარულ ადამიანებს ფოტოებით შეგვახსენებს; ფოტოექსპოზიცია ავტორის ნოსტალგიურ განწყობილებაზე მიგვანიშნებს; სოფო ტაბატაძე კი ხის ინსტალაციებით კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რომ შეღებილი და ლამაზი ფასადის მიღმა სიბინძურეა, ხოლო ორივე მათგანი - ჩვენი, ადამიანური (თუ ქართული?) ბუნების განუყოფელი ნაწილი. ასეთია ხელოვანების სათქმელი, რომლის გამოსახატავად ფორმაც სავსებით მისაღებია, რადგან ისინი ერთი იდეის გარშემოა შექმნილი და ფორმის თვალსაზრისით კონტრასტი და გაუგებრობა (რაც ხშირია მსგავსი ტიპის გამოფენებზე) არ იგრძნობა. ნინო ფურცხვანიძის პლასტიკატზე გადატანილი ფოტოები წარმოდგენილია სოფო ტაბატაძის ინსტალაციაზე, რომელიც, თავის მხრივ, დერეფანს გვაგონებს. ექსპოზიციას ეროვნული გალერეის მთელი საგამოფენო სივრცე უჭირავს.

"ყველაფერი დაიწყო ამ ფოტოებით", - მიამბობს ფოტოების ავტორი. თუმცა, ირკვევა, რომ ყველაფერი, მათ შორის, ფოტოების გადაღების იდეა ორი წლის წინათ ჩაისახა, როდესაც "ერთ-ერთი სატელევიზიო, პოლიტიკური დებატების ყურებისას მივხვდი, რომ ელდარ შენგელაია ახალ თაობას ჰგონია პოლიტიკოსი; ჩვენ კი ვიცით, რომ დავკარგეთ ელდარ შენგელაია, როგორც დიდი რეჟისორი. სწორედ ამის თქმა მინდა ბატონი ელდარის პორტრეტის ჩვენებით, რომ იგი დიდი რეჟისორია; მერე ვიფიქრე, იქნებ ამ თაობას ნონა გაფრინდაშვილიც პოლიტიკოსი ჰგონია-მეთქი და დავიწყე პორტრეტების გადაღება". პროფესიით არქიტექტორმა ნინო ფურცხვანიძემ ფოტოგრაფია ნიდერლანდებში ცხოვრებისას აირჩია. ამ გამოფენისთვის ავტორმა ორმოცზე მეტი ადამიანის პორტრეტი გადაიღო. "ეს ადამიანები ერთ დროს ისეთი პოპულარულები იყვნენ, რომ სახელებით მოვიხსენიებდით", - ამბობს თავად. თუმცა, ფოტოექსპოზიციის



იური ლობოდინის ფოტო

გმირების დიდი ნაწილი დღესაც ცნობადია ფართო საზოგადოებისთვის და, ალბათ, კიდევ დიდხანს დარჩება მეხსიერებაში, რადგან მათ შორის ვხვდებით მსოფლიო მასშტაბით აღიარებულ ისეთ ხელოვანებს, როგორებიც არიან ოთარ იოსელიანი თუ რამაზ ჩხიკვაძე, გია ყანჩელი თუ ოთარ ჭილაძე. მაგრამ, როგორც ჩანს, ავტორის ნოსტალგია უფრო მეტად ეხება იმ ადამიანებს, რომელთაც გასული ათწლეულების თბილისის ცხოვრებაში გარკვეული კვალი დატოვეს; მაგალითად, პირველი აფთიაქარი თბილისში - "ჩაშკა", ან "წოპე", ადამიანი, რომელმაც პირველმა დაამკვიდრა ჩვენში პლასტიკური ოპერაციების პრაქტიკა.

ფოტოექსპოზიციისგან განსხვავებით, ნოსტალგიას მოკლებულია გამოფენის მეორე შემადგენელი ნაწილი - სოფო ტაბატაძის ინსტალაცია. ხის დერეფანი, რომელშიც მოქცეულია ფოტონამუშევრები, ავტორის აზრით: "ასახავს დღევანდელი საქართველოს მდგომარეობას. ეს ინსტალაცია დერეფანივითაა - ცალი მხარე გაწკრიალებულია, მეორე - დანაგვიანებული. ამ ნამუშევრით დერეფნის ცუდზე და კარგზე კი არ მინდა ვილაპარაკო, არამედ იმაზე, რომ მიჩქმალულიცა და გარეთ გამოტანილიც, სუფთაც და ბინძურიც, ფასადების გაპრიალება და შიდა მხარის დანაგვიანება, ორივე ჩვენი ხასიათის ნაწილია. მინდა ეს პრობლემა რაღაცნაირად გამოვხატო ჩემი ხელოვნებით". ვფიქრობ, ორივე ავტორს გამოფენაზე არაერთი თანამოაზრე გამოუჩნდება; მათ შორის ისეთებიც იქნებიან, ვისაც სათქმელის არჩეული ფორმაც მოეწონებათ.

# უმნიშვნელო მიზეზთა მნიშვნელოვანი შედეგები

ნათია ვადაჭკორია

"უმნიშვნელო მიზეზთა მნიშვნელოვანი შედეგები!.." - ეს გახლავთ ფრანგი დრამატურგის ეჟენ ოგიუსტ სკრიბის პიესის ("ჭიქა წყალი") ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის - ლორდ ბოლინბროკის ფრაზა, რომელიც შეიძლება თავად ამ ორმოქმედებიანი ინტრიგების კომედიის ძირითად არსად ჩავთვალოთ.

მე-19 საუკუნის დასაწყისის დრამატურგის პიესა "ჭიქა წყალი" მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში რეჟისორმა კოტე მირიანაშვილმა დადგა. მასვე ეკუთვნის პიესის სცენური რედაქციაც.

ეჟენ ოგიუსტ სკრიბი მაშინდელ საფრანგეთში ვოდევილების სიყვარულით დრამატურგი გახდა და მშობლების სასურველი ადვოკატის პროფესიას გვერდი აუარა. ვერ გეტყვით, რა დაკარგა ამით ფრანგულმა ადვოკატურამ, თუმცა, თავისი პიესების წყალობით და თეატრებში უსაზღვრო პოპულარობით 1836 წელს მათი ავტორი საფრანგეთის აკადემიის წევრი გახდა. 350 პიესის ავტორი თანამშრომლობდა Theatre Francais-თან, "კომედი ფრანუზთან" და პარიზის სხვა ცნობილ თეატრებთან. წერდა აგრეთვე ლიბრეტოებს Comique-ისა და Grand Opera-სთვის. ალბათ ამის შედეგია, რომ თბილისური პრემიერის მუსიკალურ გაფორმებად (ია საკანდელიძე) როსინის მუსიკაა გამოყენებული ოპერისთვის "გრაფ ორი", რომლის ლიბრეტო სკრიბს ეკუთვნის.

თავად პიესა "ჭიქა წყალი", რომელიც 1840 წელსაა დაწერილი, საფრანგეთსა და ინგლისს შორის დადებულ ასწლიან ზავს ეხება. სხვათა შორის, იგივე პიესა 40-იან წლებში გრიბოედოვის სახელობის თეატრში რეჟისორმა გიორგი ტოვსტონოგოვმა დადგა, ხოლო 80-იან წლებში "მოსფილმმა" შექმნა ამავე სახელწოდების ფილმი, რომელშიც მთავარ როლებს ასრულებდნენ ალა დემიდოვა და კირილ ლავროვი.

ინტრიგების კომედია, რომელსაც შესანიშნავად ასრულებენ კინომსახიობთა თეატრის სცენაზე თამარ გეგეჭკორი (დედოფალი ანა), რუსუდან ბოლქვაძე (ლედი მალბორო), გია ბურჯანაძე (ლორდი ბოლინბროკი), ნატა ბერეჟიანი (ებიგაელ ჩერჩილი), ნიკა წერედიანი (მარკიზ დე ტორზი), გუგა კახიანი (ტომსონი) და ანა ჯავახიშვილი (ლედი ამბერლი), ინგლისის სამეფო კარზე ხდება 1713 წელს. შესაბამისად, ინტრიგებიც პოლიტიკურ და სასიყვარულო თემაზეა აგებული. თავად პერსონაჟები ისტორიული პირები არიან. დრამატურგის მიერ ნაჩვენებია, როგორ ეწირება სახელმწიფო ბიუჯეტი და ინტერესები მავანის პირად ამბიციებსა თუ სასიყვარულო მიზნებს. სამეფო კარის პოლიტიკური ინტრიგები კი ზოგს წარმატებულ კარიერას უქადის, ზოგს კი - მონაპოვრის დაკარგვას. ასე ხდება სრულიად უწყინარი ჭიქა წყალი - სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების შედეგად - ანუ უმნიშვნელო მიზეზს მნიშვნელოვან შედეგებამდე მივყავართ.

გაუგებრობების ჯაჭვზე აგებული კომიკური ინტრიგები ნათლად და ლოგიკურად ვითარდება სცენაზე. სამთა კავშირი - ლორდ ბოლინბროკის, არტურ მეშენისა და ებიგაელ ჩერჩილის შემადგენლობით, შანტაჟის, სასიყვარულო ინტრიგებისა და სხვადასხვა ხრიკის წყალობით, სასურველ მიზანს აღწევენ კარიერაშიც და პირად ცხოვრებაშიც. თურმე არც მაშინ ყოფილა გასაკვირი, როცა პირადი ინტერესი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვისა და ქვეყნის ინტერესების მანტიით იყო შებურვილი, რასაც მშვენივრად ასრულებს მსახიობი თამარ გეგეჭკორი. საერთოდ, სპექტაკლში მონაწილე მსახიობები იმდენად კარგად ასრულებენ თავიანთ როლებს (არ შემიძლია, არ გამოვყო ნატა ბერეჟიანი), რომ ხალისიანი და მსუბუქი კომედია მაყურებელს დღევანდელობასაც აგონებს. ორი საუკუნის შემდეგაც ინტრიგა პოლიტიკაში და ანეკდოტური ისტორია კვლავაც აქტუალურია. სწორედ ეს გახლავთ პიესისა და სპექტაკლის ხიბლი და ესთეტიკა.

მე-19 საუკუნისთვის - საკმაოდ ძვირად ღირებული ეპოქისთვის დამახასიათებელი კოსტიუმები და დეკორაცია მხატვარ ანა ნინუას ეკუთვნის, ხოლო ქორეოგრაფი ნინო ყუფუნია გახლავთ.

თეატრში პრემიერაზე მისულ მაყურებელს, ბრწყინვალე სპექტაკლის გარდა, ფოიეში ელის რუსუდან ბოლქვაძის შესანიშნავი ფოტოგამოფენა, რომელიც ავსტრალიისა და ბევრი სხვა ქვეყნის ხედებს ასახავს.

რეჟისორ კოტე მირიანაშვილის მიერ კინომსახიობთა თეატრის სცენაზე განხორციელებული სპექტაკლი, რომელიც თავისი არსებობის მანძილზე პირველად პარიზის "კომედი ფრანსეზის" სცენაზე დაიდგა, ქართული თეატრისთვის კიდევ ერთი წარმატებული სპექტაკლი, ხოლო მაყურებლისთვის სასიამოვნო სანახაობა გახლავთ.



ვახო ბესელიას ფოტო

# ცარიელ სივრცეში განზოგადებული ომის მხატვრული სახე

### მიხო ბორაშვილის ფილმი მესამედ დააფასეს

*90-იანი წლების საქართველო; უფრო სწორად, ერთი თბილისური ოჯახის მაგალითზე გადმოცემული ცხოვრება აფხაზეთის ომის შემდეგდროინდელ საქართველოში, რამდენიმე დღის წინათ ისრაელში ომის განზოგადებულ საუკეთესო მხატვრულ სახედ აღიარეს. აშდოთის პირველ საერთაშორისო კინოფესტივალზე მიხო ბორაშვილის ნამუშევარი "ცარიელ სივრცეში" სამი პრიზით დააჯილდოეს.*

მიხო ბორაშვილის ფილმისთვის ეს არ ყოფილა პირველი აღიარება. ნამუშევარი, რომელსაც კომპანია "ქართული ტელეფილმი" ოთხი წლის განმავლობაში იღებდა (1998-2001 წლებში), დამთავრებისთანავე ფესტივალ "კინოშოკზე" მოიწონეს; ხათუნა იოსელიანს (ფილმში იგი ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებს) ამ ფესტივალზე ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის მთავარი პრიზი გადასცეს; მორიგი აღიარება ფილმმა მოიპოვა 2002 წელს ფესტივალზე "ოქროს რაინდი". ახლახან კი კინოსურათი ისრაელშიც აღიარეს.

კინოფესტივალი აშდოთში წლეულს პირველად გაიმართა. ორგანიზატორები ფესტივალზე იწვევენ კინემატოგრაფისტებს იმ ქვეყნებიდან, სადაც ებრაელები კომპაქტურად ცხოვრობენ. სწორედ ამ ნიშნით მოხვდა ქართველი რეჟისორის ნამუშევარი ინგლისური, არგენტინული, რუსული, თურქული, ბელგიური და ფრანგული ფილმების გვერდით. ფესტივალის ფარგლებში კონკურსი სრულმეტრაჟიანი მხატვრული და ანიმაციური ფილმებისთვის იმართება. კონკურსში სულ 14 ფილმი მონაწილეობდა; ჟიურის კი ჰოლივუდში მოღვაწე ებრაელი მსახიობი მიკი ბერკოვიჩი ხელმძღვანელობდა.

მიხო ბორაშვილის ფილმმა (რომლის ხანგრძლივობაც საათნახევარზე მეტია) კონკურსზე სამი პრიზი აიღო: "შემოქმედებითი მიღწევისთვის" (კონკურსის ჟიურისგან), "ომის განზოგადებული მხატვრული სახის შექმნისთვის" (კინოკრიტიკოსებისგან) და პრიზი ქალაქის მუნიციპალიტეტისგან.

ფილმში მოქმედება აფხაზეთის ომის შემდეგდროინდელ საქართველოში ვითარდება. "ერთი თბილისური ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია სოციალური ყოფა, ოჯახის რღვევა; ის, რაც სინამდვილეში ხდებოდა საქართველოში", - ამბობს ფილმის რეჟისორი. ფილმში შეულამაზებლად არის ნაჩვენები აფხაზეთის ომის "მონაწილის" საქმიანობა აფხაზეთში - ფილმის გმირი აფხაზეთში მაროდიორობის შემდეგ რუსეთში წავა საცხოვრებლად, ხოლო სამშობლოში დაბრუნების მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ნარკობიზნესს უკავშირდება. ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ ხათუნა იოსელიანი და შოთა ქრისტესაშვილი.

ახლა მიხო ბორაშვილი ორ იდეაზე მუშაობს. დასასრულს უახლოვდება მისი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ჯორჯ ბალანჩინზე; რამდენიმე დღეში დამთავრდება მუშაობა დოკუმენტური ფილმის სცენარზე. ეს იქნება ერთ-ერთი იმ 36 ფილმთაგანი, რომელთაც საქართველო უნდა წარმოაჩინონ. ამ ფილმის გადაღებები, სავარაუდოდ, ივლის-აგვისტოში დაიწყება.

# "საბა" - 2005

## ყოველწლიური ლიტერატურული პრემიის ნომინანტები




21 მაისს ლიტერატურული პრემია "საბას" რიგით მესამე დაჯილდოება გაიმართება, რომელზეც გამოვლინდება გასული წლის საუკეთესო ნაწარმოებები და ავტორები.

ყოველწლიური ლიტერატურული პრემია "საბა", რომლის მიზანია წლის საუკეთესო ავტორებისა და ნაწარმოებების შეფასება 8 ნომინაციის მიხედვით, 2003 წელს დააფუძნა თიბისი ბანკმა, "ქართულმა პენ-კლუბმა" და გაზეთმა "24 საათი".

ტრადიციულად, პრემია "საბა" გაიცემა შემდეგ ნომინაციებში:

1. წლის საუკეთესო რომანი
2. წლის საუკეთესო პოეტური კრებული
3. წლის საუკეთესო პიესა
4. წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები
5. წლის საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი
6. წლის საუკეთესო თარგმანი
7. წლის საუკეთესო დებიუტი
8. პრემია ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის

სპეციალურად შერჩეული 7-კაციანი ჟიურის მიერ პრემიაზე განიხილება საქართველოში გასულ წელს წიგნად გამოცემული ყველა ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები (რომანი, პროზაული კრებული, პოეტური კრებული), უცხოური ნაწარმოების ქართული თარგმანი, ასევე პერიოდიკაში (პრესაში) გამოქვეყნებული ან წიგნად გამოსული ლიტერატურული კრიტიკის ნიმუშები და პიესები. პრემია "ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის" გადაეცემა ავტორს, რომელსაც გამორჩეული წვლილი მიუძღვის ქართული ლიტერატურის წინაშე.

ჟიურის შემადგენლობა მუდმივი არ არის. ის, ძირითადად, კრიტიკოსებისა და ლიტერატორებისაგან შედგება. ჟიურიში შედიან ის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება.

გამარჯვებულ ავტორებს, სპეციალურ პრიზთან ერთად, გადაეცემათ ფულადი პრემია - 2-2- ათასი ლარის ოდენობით ზემოჩამოთვლილ პირველ 7 ნომინაციაში და 5 ათასი ლარის ოდენობით - ნომინაციაში "ქართული ლიტერატურის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის".

წლევანდელი ჟიური მუშაობას თებერვლიდან შეუდგა. 150-მდე ავტორიდან შეირჩა "საბას" ფინალური ეტაპის ნომინანტები.

### საუკეთესო პროზაული კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | არჩილ ქიქოძე | "სოფელ ქვეყანა`, | "საარი" |
| 2 | ნუგზარ შატაიძე | "ნოემბრის წვიმა" | |
| 3 | ირმა მალაციძე | "ფატია" | "სიესტა" |

### საუკეთესო რომანი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა ბურჭულაძე | "სახარება ვირისა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ირაკლი სამსონაძე | "ყურთბალიში" | "არეტე" |
| 3 | აკა მორჩილაძე | "სანტა ესპერანსა" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 4 | ლაშა ბუღაძე | "ბოლო ზარი" | "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" |
| 5 | ბესო ხვედელიძე | "გაფრინდი ნელა" | "დიოგენე" |

### საუკეთესო პოეტური კრებული

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | რუსუდან კაიშაური | "ცოცხების გადაფრენა" | "კავკასიური სახლი" |
| 2 | ლელა სამნიაშვილი | "გველის წელიწადი" | "კავკასიური სახლი" |
| 3 | შოთა იათაშვილი | "ფანქარი ცაში" | "კავკასიური სახლი" |
| 4 | გიორგი ლობჟანიძე | "ბაბუაწვერების თაიგული" | "კავკასიური სახლი" |
| 5 | დათო მაღრაძე | SALVE | საარი |
| 6 | ანდრო ბუაჩიძე | "ელნათურები" | "მერანი" |

### საუკეთესო დებიუტი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ნესტან კვინიკაძე | "ისპაჰანის ბულბულები" | "არეტე" |
| 2 | გელა ჩქვანავა | "კოლორიტები" | "დიოგენე" |
| 3 | მარიანა ნანობაშვილი | "არიადნას გორგალი" | "მერანი" |

### საუკეთესო თარგმანი

| | ავტორი | სახელწოდება | მთარგმნელი | გამომცემლობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | არისტოფანე | "კომედიები" | ლ. ბერძენიშვილი | "ლოგოს პრესი" |
| 2 | მარკ ტვენი | "ტომ სოიერის თავგადასავალი" | ა. ლეკიაშვილი | "არეტე" |
| 3 | ბორის აკუნინი | "აზაზელი" | მ. მოსულიშვილი | "არეტე" |
| 4 | დ.ჰ. ლორენსი | "ესეები თანამედროვე ამერიკული ლიტერატურის შესახებ" | თ. კოტრიკაძე | "კავკასიური სახლი" |
| 5 | ჯორჯ ორუელი | "1984" | დავით აკრიანი | "სიესტა" |
| 6 | გოლი თარაყი | "სახლი ზეცაში" | მზია ბურჯანაძე | "დიოგენე" |
| 7 | რუბენ გალიეგო | "თეთრით შავზე" | ნინო ბექიშვილი | "დიოგენე" |
| 8 | რჩეული თარგმანები | "ვარსკვლავთა ჩრდილში მაღალთა თანა" | ჯ. აჯიაშვილი | |

### საუკეთესო პიესა

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ირაკლი სამსონაძე | "ზებო მარიამი" | ალმანახი "დრამატურგია" |
| 2 | მანანა დოიაშვილი | "აქ, ამ სავანეში" | ალმანახი "დრამატურგია" |

### საუკეთესო ლიტერატურული კრიტიკოსი

| | ავტორი | სახელწოდება | გამომცემლობა |
|---|---|---|---|
| 1 | ზაზა შათირიშვილი | "გალაკტიონის პოეტიკა და რიტორიკა" | "ლოგოს პრესი" |
| 2 | ნუგზარ მუზაშვილი | "ჩვენ და ისინი" | "მერანი" |
| 3 | გაგა ლომიძე | "წიგნები", | "კრიტერიუმი" |
| 4 | ეკა ცხადაძე | "წიგნები" | |

პაულო კოელიოს სვეტი

## ქმნის პროცესი



გნებავთ, ლიტერატურაში, ინჟინერიაში, საინფორმაციო ტექნოლოგიებში, და, გნებავთ, სიყვარულში შემოქმედებითი პროცესი ერთ თარგზეა აჭრილი: ამ თარგს ბუნება ქმნის და მას ასე შეიძლება ვუწოდოთ - ბუნების ციკლი. ახლა შევეცდები, ამ პროცესის რამდენიმე სხვადასხვა ეტაპი განვიხილო.

**ხვნა:** მიწის ბელტის ერთი ამოტრიალება და ჟანგბადი წამში აღწევს ისეთ ადგილებში, მანამდე რომ ვერაფრით შეაღწევდა. მინდორი, თითქოს, სამოსს იცვლის, ის, რაც ზედაპირზე იყო, ახლა ქვევით ექცევა, რაც - ქვევით, ზევით ამოდის და ზედაპირად გარდაიქმნება. ეს შინაგანი რევოლუცია, შინაგანი ფერისცვალება გადამწყვეტი ეტაპია, რადგან საკუთარ თავში მოიაზრებს უმნიშვნელოვანეს ცვლილებას: როგორც მიწიდან ახლად ამოყვანილ ბელტს დახედავს პირველად მზე და პირველად გაანათებს, გააოცებს და გაათბობს მას თავისი კაშკაშით, ისე წაადგება ეს გადახალისება ჩვენს ფასეულობებსაც. ამ ცვლილების პროცესში, ამ შინაგანი გარდაქმნის დროს, ჩვენ მოგვეცემა სასწაული შანსი - უბიწო, შეურყვნელი ბავშვის თვალით აღვიქვათ ცხოვრება და მთელი არსებით შევემზადოთ მეორე სასწაულის - შთაგონების მიღებისთვის. როგორც მხვნელი ატრიალებს მიწის ბელტებს ღონივრად და მარდად, ისე უნდა ატრიალოს და ცვალოს თავისი ფასეულობები და აზრები კარგმა მწერალმაც. ის არასდროს არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რასაც ფიქრობს, ესმის და განიცდის.

**თესვა:** თითოეული ნაწარმოები, თითოეული ქმნილება ცხოვრებასთან კავშირის ნაყოფია. შემოქმედებითი პროცესის დროს გამორიცხულია, ვინმე ყოველდღიურობას დაემალოს და სპილოს ძვლისგან ნაგებ კოშკში შეიკეტოს. მას, უბრალოდ, სჭირდება მეორე ადამიანთან ურთიერთობა, რათა თავისი ბუნებრივი ფუნქცია შეასრულოს - თავისი ადამიანური მდგომარეობა გაუზიაროს სხვას.

შეუძლებელია, წინასწარვე იცოდეს ხელოვანმა ადამიანმა, თუ რა იქნება მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი სამომავლოდ. აქედან გამომდინარე, რაც უფრო ინტენსიურად, სისხლსავსედ იცხოვრებს ის, მით უფრო იოლად იპოვის საკუთარ, ინდივიდუალურ ხმას. კორბიუზემ ერთხელ თქვა: "სანამ ადამიანი ცდილობდა ჩიტისთვის მიებაძა ფრენაში, ვერსადაც ვერ გაფრინდა". იგივე ხდება შემოქმედი ადამიანის ცხოვრებაშიც: მიუხედავად იმისა, რომ ის განცდების, ემოციების ინტერპრეტატორია, ის სრულყოფილად მაინც ვერ ფლობს ენას, რომელსაც თარგმნისთვის იყენებს, ენას რომლითაც საუბრობს. და თუ ის შეეცდება, შთაგონების მომტანი იდეა, ემოცია გააკონტროლოს და ამ დროს რაღაცეების იმიტირებასაც ეცადოს, მიზანს ვერასდროს მიაღწევს. მან ნება უნდა მისცეს ცხოვრებას, რათა ამ უკანასკნელმა ყოველდღიური ცხოვრებისეული სიტუაციები და განცდები ადამიანის ქვეცნობიერის ნოყიერ მიწაზე თესოს.

**სიმწიფე:** დგება დრო, როცა ნაწარმოები თვითონ, თავისით იქმნება, თავისუფლად, ლაღად, მწერლის სულიერების მიმალულ კუთხე-კუნჭულებში. ეს თავისთავადი ქმნის პროცესი მანამ მიმდინარეობს, სანამ მწერალი რეალურად გაბედავდეს საკუთარი ნაშრომის გამომზეურებას.

მაგალითად, მხატვრული ლიტერატურის შემთხვევაში, წიგნსაც აქვს გავლენა მწერალზე და პირიქითაც. ეს ის მომენტია, რომელსაც კარლოს დრიუმონ დე ანდრადე გულისხმობდა, როცა ამბობდა, რომ ამაოა, ვეცადოთ, დაკარგული ლექსების აღდგენასა და გადარჩენას; ამაოა, რადგან ისინი გაქრნენ იმიტომ, რომ დღის შუქზე არსებობას არ იმსახურებდნენ.

ვიცნობ ადამიანებს, რომლებიც სიმწიფის პერიოდის დადგომისას, ინიშნავენ ხოლმე ყველა იმ აზრსა და განცდას, რაც თავში მოუვათ და ამ დროს იგნორირებას უკეთებენ იმას, რაც მათ ქვეცნობიერში იწერება. შედეგად კი რჩება ასეთი სურათი: ჩანაწერები, იგივე მეხსიერების ნაყოფი, ჩაგრავს შთაგონების ნაყოფს.

არადა, ასე არ უნდა ხდებოდეს. შემოქმედი ადამიანი საოცარი სიფრთხილით უნდა იქცეოდეს "ფეხმძიმობის" პერიოდში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება, მშვენივრად უწყოდეს: მიწის მუშაკის მსგავსად, მასაც მხოლოდ ნაწილობრივ შეუძლია, ხვნათესვისა და მოსავლის მომკის პროცესის გაკონტროლება, რადგან ვერაფერს გააწყობს იგივე წყალდიდობის, ანდა გვალვის წინაშე. მაგრამ თუ ის ისწავლის, როგორ დაელოდოს, მის მიერ დარგული ყველაზე ძლიერი თესლი გაუძლებს ყველანაირ სტიქიას და იხარებს.

**მოსავალი:** ეს ის პერიოდია, როცა შემოქმედი ადამიანი ცნობიერის დონეზე გადმოიტანს ყველაფერ იმას, რისი დათესვაც და დამწიფებაც ქვეცნობიერში მოისურვა. ოღონდ, ესეც ძალიან სათუთი დროა. მან კარგად უნდა გათვალოს მოსავლის აღების მომენტი. თუ ადრე მოუვა, ჯერ კიდევ მწვანე ნაყოფს ვერავინ გაეკარება, და თუ დააგვიანებს, მაშინ ნაყოფს, ვინ იცის, ლპობაც შეეპაროს. ყველა ხელოვანი ადამიანი გრძნობს ამ მომენტს; მან იცის, რომ უნდა იშრომოს დღე და ღამ, მუხლჩაუხრელად, დისციპლინირებულად, სანამ ბოლომდე არ გავა.

დაბოლოს, დგება ასეთი საკითხი: როგორ უნდა მოექცეს ადამიანი მოსავალს? პასუხი მარტივია. ისევ დედა-ბუნებას უნდა მივაპყროთ მზერა: ის ყველაფერს ყველას უზიარებს. ის ადამიანი კი, რომელიც თავის ქმნილებას, თავის ნაწარმოებს თავისთვის იტოვებს, უსამართლოდ ექცევა, პირველ რიგში, ცხოვრებას, აწმყოს, რომლითაც ისაზრდოვა და უსამართლოდ ექცევა წარსულსაც - წინაპრებს, ვისგანაც მრავალი ფასეულობა მემკვიდრეობით გადმოეცა. როცა მოსავლის აღების დრო დგება, დგება საკუთარი სულის სხვებთან გაზიარების დროც - ეს პროცესი უხერხულობის, შიშისა და სირცხვილის გრძნობის გარეშე უნდა გავიაროთ.

ეს პროცესი, მართალია, მტკივნეულიც და დიდებულიც ერთდროულად, ქმნის პროცესის ნაწილია და მისი გავლა ხელოვანის მისიაა.

*ქართულად გამოცემულია პაულო კოელიოს საერთაშორისო ბესტსელერები: "თერთმეტი წუთი", "ალქიმიკოსი", "რიო-პედრას ნაპირას ჩამოვჯექი და ავტირდი" და "ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა". იკითხეთ წიგნის მაღაზიებში.*

# საარჩევნო მარათონში რევაზ არველაძეც ჩაება

მიხეილ აბაიშვილი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის მსურველთა სია დღითი დღე იზრდება. გუშინ უკვე გაუწყეთ, რომ გიორგი ნემსაძეს, ზურაბ პეტრიაშვილსა და ვლადიმერ გუცაევს, რომლებმაც უკვე ოფიციალურად განაცხადეს, რომ საკუთარ კანდიდატურებს წამოაყენებდნენ, საპრეზიდენტო სავარძლის კიდევ რამდენიმე მაძიებელი შეემატებოდა. "24 საათმა" შემოგთავაზათ ვერსია, რომ არჩევნებში ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე და თბილისის "დინამოს" ყოფილი აღმასრულებელი დირექტორი გია ფირცხალავაც მიიღებდა მონაწილეობას. ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ კომენტარში ფირცხალავამ არც უარყო და არც დაადასტურა ეს ინფორმაცია, თუმცა, არ დაუმალავს, რომ ვითარების უკეთ გაცნობის შემდეგ საარჩევნო მარათონში ჩაბმას არ გამორიცხავდა.

ასევე ვწერდით, რომ კიდევ ორი სავარაუდო კანდიდატი, გერმანიაში მცხოვრები ნოდარ ახალკაცი (რომელიც ახლა იურიდიული პრაქტიკით არის დაკავებული) და სფფ-ს ვიცე-პრეზიდენტი რევაზ არველაძე ასევე აპირებენ, კენჭი იყარონ პრეზიდენტის პოსტზე. ახალკაცის საკითხი, როგორც ჩანს, მოგვიანებით, 19-20 მაისისთვის გაირკვევა. რაც შეეხება არველაძეს, მან გუშინ ოფიციალურად დაადასტურა, რომ იგი აუცილებლად წამოაყენებს საკუთარ კანდიდატურას.

"საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა რევაზ არველაძემ დაასრულა მუშაობა საკუთარ სამოქმედო პროგრამაზე და სტრატეგიაზე. მან უკვე მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომ კენჭი იყაროს სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებში, რომელიც 11 ივნისს გაიმართება. რევაზ არველაძე უახლოეს დღეებში მოაწყობს პრეზენტაციას და საფეხბურთო საზოგადოებას საკუთარ პროგრამას წარმოუდგენს", - განუცხადა "24 საათს" ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშემ ლევან სალუქვაძემ.

# ლუკა ბუჩი: "სიმულანტი არ ვარ"

უეფას თასის განმეორებით ნახევარფინალურ მატჩში მოსკოვის ცსკა-სა და იტალიის "პარმას" შორის იტალიელთა მეკარე ლუკა ბუჩის ტრიბუნიდან ნასროლი პეტარდა აუფეთქდა და დაშავდა. ამ ფაქტის გამო მატჩის შემდეგ იტალიელებმა უეფაში პროტესტი შეიტანეს. ბუჩი კი პარმაში დაბრუნების შემდეგ ქალაქის "ოსპედალე მაჯორეს" კლინიკის ოტოლარინგოლოგიის განყოფილებაში დააწვინეს. სწორედ აქ შეხვდნენ მას იტალიური ტელეარხის "რაი-სპორტისა" და რუსული "სოვეტსკი სპორტის" ჟურნალისტები.

**- ლუკა, თავს როგორ გრძნობთ?**

- ახლა შედარებით უკეთ, თუმცა, საავადმყოფოში კიდევ რადენიმე დღით მომიწევს ყურყუტი. კიდევ ერთი კვირა დამჭირდება იმისთვის, რომ ვარჯიში დავიწყო.

**- დიაგნოზი დაგისვეს?**

- მომეჩვენა, რომ პეტარდის აფეთქების შედეგად ყურის აპკი გამისკდა... თუმცა, როგორც ჩანს, საუბარია ძლიერ კონტუზიაზე, რომელიც ყურის ლაბირინთს შეეხო. სწორედ ამის გამო დავკარგე წონასწორობა. სიმართლე კი ის არის, რომ თამაშის გაგრძელება აღარ შემეძლო. უკვე 36 წლის ვარ და ეს ჩემი ბოლო ნახევარფინალი იყო. ამიტომ ვცდილობდი, რაც შეიძლება დიდხანს გავჩერებულიყავი მინდორზე! მაგრამ როცა მოედნიდან გავდიოდი, სტადიონი თვალებთან აქეთ-იქით ქანაობდა! წონასწორობას ვერ ვინარჩუნებდი და ველარაფერს ვგრძნობდი.

**- ახლა ზუსტად შეგიძლიათ გაიხსენოთ, მოსკოვში რა მოგივიდათ?**

- ყველაფერი ზუსტად არ მახსოვს. ჩემს გვერდით თვითნაკეთი პეტარდა აფეთქდა. მინდორზე გაჩერება აღარ შემეძლო. ცალი ყურით დავყრუვდი. ვფიქრობდი, რომ 36 წლის ასაკში ევროპული ტურნირების ნახევარფინალში თამაში ძალიან კარგი საქმეა. რადაც არ უნდა დამჯდომოდა, მინდორზე უნდა დავრჩენილიყავი, მაგრამ თამაშის გაგრძელება ფიზიკურად აღარ შემეძლო.

**- როგორი რეაქცია გქონდათ რუსი პოლიტიკოსების განცხადებაზე, რომლებმაც თქვენს საქციელს სიმულაცია უწოდეს? უეფას სადისციპლინო კომიტეტის გადაწყვეტილება იცით?**

- უეფას გადაწყვეტილებაც ვიცი და რამდენიმე სხვა განცხადებაც... მაგალითად, რუსეთის საანგარიშო პალატის ხელმძღვანელის, მოსკოვის ცსკა-ს განცხადებები. მათ ყველას ვეუბნები: მე არ მაინტერესებს, ისინი რას ფიქრობენ. სიმართლე ის არის, რომ მე მინდორზე ყოფნა და თამაშის გაგრძელება არ შემეძლო.

**- როგორც ჩანს, თქვენ აღშფოთებული ხართ იმის გამო, რომ სპექტაკლის გათამაშებაში გდებენ ბრალს?**

- დიახ. მე რომ მაშინვე მიწაზე დავცემულიყავი და საკაცით გავეყვანე, შეიძლება ეფექტი სულ სხვა და უფრო დიდი ყოფილიყო. ალბათ, უეფას გადაწყვეტილებაც სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ცსკა-მ მინდორზე თავისი თამაშით ფინალის საგზური დაიმსახურა. კარგია, რომ ის ფინალში ითამაშებს. ამიტომ კიდევ ვიმეორებ, საერთოდ არ მაღელვებს ისინი ჩემზე რას ფიქრობენ. ის, რომ მათ ასეთი ეჭვები აქვთ, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ისინი თვითონ არიან ეჭვებისთვის განწყობილნი.

**- ბოლომდე როდის განიკურნებით?**

- ამისთვის დრო დამჭირდება. პირველ რიგში საუბარია წონასწორობის გრძნობაზე. ამას იმის გათვალისწინებით ვამბობ, რომ დაშავებული მაქვს ყურის ლაბირინთი.

**- შეგეშინდათ?**

- ძალიან შემეშინდა. ვიცი, რომ ცსკა-ს ხელმძღვანელობა დიდ ზეწოლას ახდენდა იმ საავადმყოფოს ექიმებზე, რომელშიც მომათავსეს.

**- პეტარდით ჯერ "მილანის" მეკარე დიდა დაშავდა, შემდეგ - თქვენ. გამოდის, რომ კარში დგომა უაღრესად სარისკოა, მით უფრო, თუ ტრიბუნებთან ახლოს ხართ...**

- ვფიქრობ, უეფა ვალდებულია, უფრო მკაცრი სანქციები გაატაროს. თუ ცსკა-ს სანქციებს დაუწესებენ, მგონია, რომ მას რომან აბრამოვიჩი აფინანსებს და ეკონომიკური სარგებელი ფინალში გასვლიდან კლუბისთვის უფრო დიდი იქნება, ვიდრე ის ფულადი ჯარიმა, რომელსაც უეფა აწესებს. ამიტომ, თუ უფრო მკაცრ სანქციებს დააწესებენ, მაშინ, დარწმუნებული ვარ, თვითონ კლუბების ხელმძღვანელობა იზრუნებს თავისი გულშემატკივრის აღზრდაზე. ამ შემთხვევაში ცსკა-ს ყველა გულშემატკივარზე არ ვსაუბრობ, არამედ მხოლოდ იდიოტთა ჯგუფზე, ვინც ეს ჩაიდინა.



ფეხბურთი

# ალადაშვილი "დინამოს" უბრუნდება

მიხეილ აბაიშვილი



თბილისის "დინამოს" ნიჭიერ გარემარბს კახა ალადაშვილს დაუმთავრდა ფიფას მიერ მიცემული ექვსთვიანი დისკვალიფიკაციის ვადა და იგი მწვანე მინდორს მინდორს უბრუნდება. შეგახსენებთ, რომ ალადაშვილმა ეს სასჯელი უკრაინისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები გუნდების მატჩისას, მსაჯის მიმართ უცენზურო საქციელის გამო მიიღო. ალადაშვილმა წითელი ბარათი დაიმსახურა, მატჩი 0:6 წავაგეთ, ხოლო ფიფას სადისციპლინო კომიტეტმა მკაცრად დასაჯა 21 წლის ქართველი ნახევარმცველი: მას ყველა დონეზე (ეროვნულ ნაკრებში, კლუბსა და ეროვნულ ჩემპიონატში) აეკრძალა თამაში ნახევარი წლით. თბილისის "დინამოს" ხელმძღვანელობის მიერ ფიფას სააპელაციო კომიტეტში შეტანილმა საჩივარმა შედეგი ვერ გამოიღო. ასე რომ, ფეხბურთელს პრაქტიკულად მთელი სეზონი გაუცდა, რითაც ყველაზე მეტად "დინამომ" იზარალა. დისკვალიფიკაციას 10 მაისს გაუვიდა ვადა. ამის თაობაზე თბილისის "დინამომ" ფიფას შესაბამის კომიტეტს აცნობა. პასუხიც მოვიდა. როგორც "დინამოს" პრესსამსახურის ხელმძღვანელმა ლევან სალუქვაძემ გვამცნო, ფეხბურთის საერთაშორისო ასოციაციის სადისციპლინო კომიტეტიდან მოსული ოფიციალური შეტყობინების თანახმად, ფიფა ადასტურებს, რომ ალადაშვილმა სასჯელი მოიხადა და მას შეუძლია განაახლოს აქტიური საფეხბურთო კარიერა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ალადაშვილი გუნდთან ერთად ვარჯიშობდა, ნახევარწლიანმა იძულებითმა უთამაშებლობამ მის სპორტულ ფორმას სერიოზული დაღი დაასვა. ამიტომ პირდაპირ პირველ გუნდში მის დაბრუნებაზე საუბარი ნაადრევია.

"სათამაშო პრაქტიკის მისაღებად და სპორტული ფორმის აღსადგენად, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა კახაბერ ცხადაძემ ალადაშვილი "დინამო 2"-ში გაამწესა, რომელიც პირველი ლიგაში ასპარეზობს. ხვალ "დინამო 2" მორიგ კალენდარულ მატჩს გამართავს თელავში, ადგილობრივ "კახეთთან" და ალადაშვილი ამ თამაშში მიიღებს მონაწილეობას", - განუცხადა "24 საათს" ლევან სალუქვაძემ.

# მაიკლ ოუენი: "ჩემპიონობის მცირე შანსი კიდევ დაგვრჩა"

ის არ კარგავს იმედს, რომ "ბარსელონას" დაეწევა, თუმცა, მშვენივრად იცის ამ ამოცანის მთელი სირთულე. მაიკლ ოუენი კმაყოფილია მადრიდის "რეალში" თავისი სადებიუტო სეზონით და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალ წელს კლუბთან ერთად რაიმე ტიტულს მოიგებს. ოუენი იმასაც ამბობს, რომ რონალდოს ესპანეთის ჩემპიონატის ბომბარდირად გახდომაში დაეხმარება.

**- "მესტალიაზე" "ბარსელონას" გამარჯვების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ ჩემპიონატი წაგებულია?**

- ჯერ არა. მათ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ გარკვეული შანსი ჩვენ კიდევ გვაქვს. "ბარსელონა" კარგად თამაშობს. ჩვენ კი იმედი გვქონდა, რომ "რეალის" ზედიზედ შვიდი გამარჯვების შემდეგ "ბარსა" შეცდომას დაუშვებდა. ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა ჩვენი მატჩების მოგება. სწორედ ამაზე ვართ კონცენტრირებული. ბრძოლას ვაგრძელებთ, იმიტომ, რომ მინიმალური შანსი კიდევ არსებობს.

**- მართალია, სეზონი ჯერ არ დასრულებულა, მაგრამ როგორ შეაფასებ პირველ წელს მადრიდის "რეალში"?**

- ძალიან კარგი დასაწყისია. ბევრი ადამიანი გავიცანი. საკმაო რაოდენობის გოლიც გავიტანე. ერთადერთი ტიტული დამრჩა მოსაგები. დანარჩენი ყველაფერი კარგად არის. იმედი მაქვს, მომავალ სეზონში რომელიმე ტიტულს მოვიგებ.

**- ვრცელდება ჭორი, რომ კლუბმა შეიძლება კიდევ ერთი ფორვარდი შეიძინოს. ძირითადში ადგილის დასამკვიდრებლად კონკურენციის ზრდა გაღელვებს?**

- ძირითად შემადგენლობაში დასამკვიდრებლად ყოველ კლუბში ბრძოლა მიმდინარეობს. თანაც, დიდი კლუბები გაძლიერების შანსს ყოველთვის ეძებენ. მესმის, რომ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად უნდა ვიშრომო და კარგად ვითამაშო. პატარა გუნდებში ასეთი კონკურენცია არ არსებობს. მე არ მაშინებს კიდევ ერთი ფორვარდის დამატება. მე ვარსკვლავები მომწონს. ისინი მაიძულებენ, სულ უფრო კარგად ვითამაშო.

**- კლუბი გეუბნება, კმაყოფილია თუ არა შენი შრომისუნარიანობით?**

- საკი ჩვენს ვარჯიშებზე ყოველდღე დადის. ჩვენ მას კორიდორებში, გასახდელში ვხვდებით და ის არაფორმალურ სიტუაციაში გეგმების შესახებ გვესაუბრება. ოფიციალურად კი მაგიდასთან არავისთან დავმსხდარვართ და არ გვისაუბრია.

**- მარადონა ნახეთ?**

- მე გავიგე, რომ ის უკვე მადრიდშია. საინტერესო იქნებოდა მისი ხილვა. ძალიან მინდა, გავიცნო ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მათ შორის, რომელიც ოდესმე მინახავს.

**- როგორ აღიქვამ სეზონის ბოლო მონაკვეთს შენი გუნდის შესრულებით? საწყენი იქნება, თუ ბოლო ათი ტურის შეხვედრებს მოიგებთ, ტიტული კი სხვას დარჩება?**

- ჩვენ ამ სამი მატჩის მოგება შეგვიძლია, რადგან სამი გამარჯვებაღა დაგვრჩა. ვფიქრობდით, რომ ეს გამარჯვებათა სერია "ბარსელონასთან" ცოტათი მაინც დაგვაახლოებდა, მაგრამ რაკი ასე არ მოხდა, ეს ნიშნავს, რომ ისინიც ძალიან კარგად თამაშობენ. კარგი იქნება, თუ დარჩენილ სამ მატჩსაც მოვიგებთ, რადგან ამ შემთხვევაში მცირე შანსი კიდევ გვექნება, მაგრამ საჭიროა, "ბარსელონამაც" დაკარგოს ქულები.

**- "ვალენსიასთან" მატჩის შემდეგ სამუელ ეტო`ომ კვლავ არ გაუშვა შანსი, ისარი ესროლა მადრიდისკენ...**

- მე არ ვიცი, რა თქვა მან, მაგრამ მას პასს ნამდვილად არ მივცემ. ამ სეზონში ის შესანიშნავად თამაშობს. ამ თემაზე ამის მეტს ვერაფერს გეტყვით.

**- მაგრამ რონალდო პიჩიჩისთვის ბრძოლაში ეპაექრება. გჯერა, რომ მას კამერუნელის დაწევა შეუძლია?**

- მას შესანიშნავი შანსი აქვს. ბოლო მატჩებში ბევრი გოლი გაიტანა. სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ითქვა, რომ რონალდოს ბომბარდირობის შანსი არა აქვსო. ახლა რონალდოს შანსი აქვს. ის ეტო`ოს მხოლოდ სამი გოლით ჩამორჩება და, მიუხედავად იმისა, რომ კამერუნელის დაწევა ძნელი იქნება, მე დავეხმარები მას, რადგან რონალდო ჩემი მეგობარია და მას საგოლე გადაცემებით მოვამარაგებ. მინდა, რომ პიჩიჩი სწორედ მან მოიგოს.



ინფოთეკა

### ადამსს ჩემპიონთა ლიგის რეორგანიზაცია უნდა

ლონდონის "არსენალის" ყოფილი მცველი ტონი ადამსი დარწმუნებულია, რომ ჩემპიონთა ლიგაში უნდა ითამაშონ მხოლოდ იმ გუნდებმა, რომლებიც ეროვნული ჩემპიონატის მოგებას შეძლებენ.

"ეს ტურნირი მართლაც ჩემპიონთა ლიგას უნდა დაემსგავსოს. მასში მონაწილეობა უნდა მიიღონ იმ გუნდებმა, რომლებიც თავიანთ ქვეყანაში ჩემპიონის ტიტულს ატარებენ. ფულის დევნა კი, მოგეხსენებათ, კარგს არაფერს მოგვიტანს. იმედი მაქვს, უეფა ამას მალე მიხვდება და გაითვალისწინებს კიდეც", - განაცხადა ადამსმა Sky Sports News-თან საუბრისას.

### "კორინთიანსის" მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია

ბრაზილიური კლუბის "კორინთიანსის" ხელმძღვანელობამ თანამდებობიდან გაათავისუფლა გუნდის მთავარი მწვრთნელი დანიელ პასარელა. სამხრეთ ამერიკის უმდიდრესი გუნდის მწვრთნელის მოვალეობას მარსიუ ბიტენკორტი შეასრულებს.

Sky Sports-ის ცნობით, არგენტინელმა სპეციალისტმა ბრაზილიურ კლუბში მხოლოდ ორი თვე იმუშავა.

"ჩვენ უკვე შევატყობინეთ პასარელას, რომ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ვეღარ დარჩება. ამის მიზეზი გუნდის ცუდი ასპარეზობაა ეროვნულ ჩემპიონატში. თუმცა, მას შეუძლია კლუბიდან არ წავიდეს. ჩვენ მზად ვართ, პასარელას სხვა თანამდებობა შევთავაზოთ", - განაცხადა "კორინთიანსის" ვიცე-პრეზიდენტმა. მისივე თქმით, კლუბი პასარელას ვადამდელი გათავისუფლების გამო კომპენსაციის სახით 1,2 მილიონ დოლარს გადაუხდის.

### "ლიონს" ტრეზეგეს საფრანგეთში დაბრუნება უნდა

ფრანგული კლუბი "ლიონი" მიმდინარე სეზონზე "იუვენტუსის" თავდამსხმელის დავიდ ტრეზეგეს შეძენას აპირებს. იტალიური გამოცემა Tuttosport-ის ცნობით, "ლიონი" მზადაა, ფეხბურთელში 16 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. "იუვენტუსის" გენერალური დირექტორის განცხადებით, კლუბი ტრეზეგეს გაყიდვას არ აპირებს. მეტიც, უახლოეს პერიოდში მასთან ახალ კონტრაქტსაც გააფორმებს. თუმცა, სხვადასხვა წყარო აცხადებს, რომ "იუვე" ფეხბურთელის გაყიდვაზე მაშინ დათანხმდება, თუ დაინტერესებული კლუბი 20 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის.

### "ჩელსი" დელ ორნოს შეძენას გეგმავს

ლონდონის "ჩელსის" ინტერესების სფეროში ესპანური კლუბის "ატლეტიკოს" მცველი ასიერ დელ ორნო მოექცა. ინგლისური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ინგლისის ახლად გამომცხვარი ჩემპიონი მზადაა, ფეხბურთელში 12 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს. ჯერჯერობით უცნობია ესპანური კლუბის ხელმძღვანელობის რეაქცია "არისტოკრატების" განზრახვასთან დაკავშირებით. თუმცა, იმასაც იტყობინებიან, რომ "ჩელსი" დელ ორნოს მიმართ უკვე იანვრიდან ამჟღავნებს ინტერესს. ასე რომ, ესპანურ კლუბს გადაწყვეტილება მიღებული უნდა ჰქონდეს: გაუშვებს თუ დაიტოვებს თავის ფეხბურთელს.

### "მილანი" და "ლივერპული" მაისურების ფერზე შეთანხმდნენ

უეფას ოფიციალური საიტის ცნობით, ჩემპიონთა ლიგის ფინალში "ლივერპულის" ფეხბურთელები წითელ მაისურებში, "მილანისა" კი - თეთრ მაისურებში გამოვლენ სათამაშო მოედანზე. თავიდან იტალიელებს ტრადიციულად შავ-წითელი ფერი უნდოდათ, თუმცა, მეტოქის სურვილს ვეღარ გაუწიეს წინააღმდეგობა. ლივერპულელები სტამბულში ნომინალური სტუმრები იქნებიან.

მოკლედ, "მილანმა" აირჩია თეთრი ფორმა, რომელმაც წარმატება მოუტანა 2003 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში ტურინის "იუვენტუსთან" თამაშის დროს.

სხვათა შორის, რამდენიმე ხნის წინათ კარლო ანჩელოტის გუნდი თეთრ მაისურებში თამაშობდა ჰოლანდიის "პსვ"-ს წინააღმდეგ. მარცხის მიუხედავად (1:3), მასიმო ამბროზინის გოლის წყალობით ფინალში მოხვდა.

თავის მხრივ, ინგლისელებისთვის წითელი ფერი გამარჯვების სიმბოლოა. სწორედ თავის ტრადიციულ ფორმაში მიაღწია წარმატებას "ლივერპულმა" ევროპის თასზე 1977, 1978, 1981 და 1984 წლებში.

შეგახსენებთ: ჩემპიონთა ლიგის ფინალი 25 მაისს სტამბულში გაიმართება.

### ინფოთეკა

## კილბეინი "ევერტონთან" კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს

სავარაუდოდ, უახლოეს დღეებში ინგლისური კლუბის "ევერტონის" ნახევარმცველი კევინ კილბეინი კლუბთან კონტრაქტის ვადას გააგრძელებს. ირლანდიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელის მიმდინარე შეთანხმებას კიდევ ერთი წელი აქვს ძალა. თუმცა, კილბეინი, როგორც ჩანს, დიდხანს აპირებს დარჩეს კლუბში, რომელსაც შეუძლია მომავალ სეზონზე ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზოს.

## რობერტო კარლოსს მომავალი სეზონის იმედი აქვს

მადრიდის "რეალის" მცველის რობერტო კარლოსის აზრით, ვანდერლეი ლუშემბურგო გუნდის სათავეში სეზონის დასაწყისიდანვე რომ ყოფილიყო, მაშინ "სამეფო კლუბი" აუცილებლად მოიპოვებდა ჩემპიონის ტიტულს.

"ის ძალიან კარგი მწვრთნელია. მას შემდეგ, რაც ის ჩვენი გუნდის თავკაცი გახდა, მადრიდის "რეალი" სულ სხვა გუნდად გადაიქცა. მან ჩვენი თამაში უფრო მეტად დახვეწა და ჩვენ, ფეხბურთელები, კონკურენტუნარიანები გაგვხადა. ის რომ თავიდანვე ჩვენი ხელმძღვანელი ყოფილიყო, ჩვენს ჩემპიონობას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ყველამ დაინახა, ასე მოკლე დროში რამდენის გაკეთება შეძლო ამ ადამიანმა. "ბარსელონას" რომ დავეწიოთ, დრო არ გვყოფნის. ჩემპიონატი რომ კიდევ ორი კვირით გაგრძელებულიყო, შეუძლებელს შევძლებდით. მომავალ სეზონში აუცილებლად მივაღწევთ მიზანს", - განაცხადა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა.

აქვე ერთი ინფორმაცია "რეალის" შესახებ.

სამშაბათს კლუბის პრესსამსახურმა გამოუშვა პრესრელიზი, რომელშიც იტყობინებიან, რომ მადრიდის კლუბისადმი მიძღვნილი პირველი მხატვრული ფილმის გადაღება თითქმის დასრულებულია. სურათის ჩვენება რამდენიმე ქვეყანაში იგეგმება. ეს მოხდება იმ სართაშორისო ტურნეს დროს, რომელსაც კლუბი ზაფხულში განახორციელებს.

"ფილმის გადაღებები მიმდინარეობდა ნიუ-იორკში, ტოკიოში, კარაკასში, სენეგალსა და მადრიდში. სურათი შედგება ხუთი მინიფილმისგან, რომელიც მოგვითხრობს "სამეფო გუნდის" რეალურ მოვლენებზე", - ვკითხულობთ პრესრელიზში.

ფილმი მაყურებელს გუნდის ცხოვრების ხილვის უნიკალურ საშუალებას აძლევს. მათ შეუძლიათ ნახონ კადრს მიღმა დარჩენილი ძვირფასი მომენტები.

სურათი Real Madrid TV-სა და Huckleberry Films-ის ერთობლივი ნამუშევარია.

## აბრამოვიჩი შევჩენკოსთვის ბრძოლას აგრძელებს

ლონდონის "ჩელსის" მფლობელი კვლავაც აგრძელებს ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის ანდრეი შევჩენკოსთვის ბრძოლას. რომან აბრამოვიჩი მზადაა, "მილანს" 46 მილიონი დოლარი გადაუხადოს და ამასთან ერთად დაუთმოს ფორვარდი ერნან კრესპო, რომელიც ამჟამად იტალიაში იჯარის წესით თამაშობს.

"ჩელსისთან" დაახლოებულმა წყარომ განაცხადა: "ანდრეი შევჩენკო რომან აბრამოვიჩის საყვარელი ფეხბურთელია. ის ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ უკრაინელი ფორვარდი თავის გუნდში იხილოს. აღსანიშნავია, რომ მისი შეძენის შანსი ძალიან მცირეა, თუმცა, ამის მიუხედავად, აბრამოვიჩი ფარ-ხმლის დაყრას არ აპირებს.

შეგახსენებთ, რუსი ბიზნესმენის ადრინდელი მცდელობა კრახით დამთავრდა. ჯერჯერობით უცნობია, ამჯერადაც იგივე გამეორდება თუ არა.

ამას გარდა, ინგლისური მასობრივი წყაროები იტყობინებიან, რომ ლონდონის "ჩელსიმ" "პარმას" თავდამსხმელის ალბერტო ჯილარდინოსთვის 40 მილიონი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

"ვფიქრობ, რომ იმ თანხას, რომელიც "პარმამ" ჩემს გასაყიდად მოითხოვა (50 მილიონი გირვანქა სტერლინგი), შეეძლო მყიდველები დაეფრთხო, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ნაკლებადაც დამთმობენ. ამ თანხამ კლუბი კრიზისიდან უნდა გამოიყვანოს. ყოველთვის ვამბობდი, რომ დიდ გუნდში თამაში მინდა. იმედი მაქვს, ოცნება ამისრულდება. თანაც ისე, რომ ორივე მხარე კმაყოფილი დარჩება", - განაცხადა ჯილარდინომ.



# ფეხბურთელს აუდიტორია ჰაერივით სჭირდება

რუბრიკას უძღვება
ნინო სვანიძე

*დღევანდელი სტუმრების - დევი დობორჯგინიძის და თემურ ლაღანიძის საუბარი ეროვნული ჩემპიონატის პრობლემებს შეეხო; ჩვენმა რესპონდენტებმა საფეხბურთო განათლების თაობაზეც გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები.*

**დევი დობორჯგინიძე:** "ჩემი აზრით, საქართველოს პირველობაა ყველაფრის საფუძველი. ახლა ძალიან პოპულარულია ის თვალსაზრისი, რომ ქართული ფეხბურთის პრობლემები ეკონომიკაზეა დამოკიდებული; რა თქმა უნდა, დამოკიდებულია, მაგრამ არც იმდენად, რამდენადაც თავიანთი უსუსურობის ამით გამართლებას ცდილობენ ქართული ფეხბურთის მესვეურები. არადა, უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როდესაც უაღრესად გაჭირვებული ქვეყნების გუნდებს ფეხბურთში თვალსაჩინო წარმატებები უჩვენებიათ. ჩემი აზრით, საქართველოს უფრო ძნელი პერიოდებიც უნახავს - საბჭოეთის ეპოქაზე ცუდი რაღა უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყველაზე კარგი "დინამო" მაშინ გვყავდა. ახლა კი, მე ცხადაძე ძალიან მეცოდება, რადგან, ოდიკაძეს თუ არ ჩავთვლით, ვერ დავასახელებ ვერც ერთ ფეხბურთელს, ვისი იმედიც შეიძლება მომავალში გვქონდეს. ეს მხოლოდ ეკონომიკის ბრალი ნამდვილად არ არის. ცხადაძის წინა ხელმძღვანელობამ გუნდიდან ისეთი ფეხბურთელები გაყიდა, ვისაც ნამდვილად შეიძლებოდა გუნდი დაყრდნობოდა: კვირკველია, სალუქვაძე, შაშიაშვილი, კანკავა, ბურდული, დარასელია; იაშვილი გუნდიდან, ფაქტობრივად, გააგდეს. ბობოხიძე თავიანთ ამბიციებს შესწირეს; ახალაიაც გაყიდეს. მოკლედ, არ შეიძლება თავიანთ პირად დაინტერესებას ანაცვალონ ამდენი ნიჭიერი ფეხბურთელი...

**თემურ ლაღანიძე:** "ეს მხოლოდ "დინამოს პრობლემა არაა"...

**დევი დობორჯგინიძე:** "რასაკვირველია - იგივე და უარესი ხდება სხვა გუნდებში; მაგალითად, ცნობილია, რომ ქუთაისის "ტორპედოს" ვილაც შავი სამყაროს წარმომადგენლები განაგებენ და ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ისინი იღებენ. რა ხდება ფოთში, თუნდაც - აჭარაში"...

რა ვიცი, ჩვენმა პრეზიდენტმა რომ თქვა, - გულშემატკივარი ვარ და ფეხბურთი ჩემი პრიორიტეტი იქნებაო, - გამიხარდა; არადა, რაც ახალი ხელისუფლება დაინიშნა ფოთში, თუნდაც ბათუმში, ფეხბურთი ამ ქალაქებში უარესად ჩაკვდა; სამეგრელოში, საერთოდაც, გაქრობის პირასაა"...




**თემურ ლაღანიძე:** "დევი, რა თქმა უნდა, ძალიან კრიტიკულია, მაგრამ ამ თვალსაზრისით, მეც ვეთანხმები - ალბათ, დიდი შეცდომაა, რომ ფოთის "კოლხეთს" ფოთის პორტმა დაფინანსება შეუწყვიტა. იგივე ხდება ბათუმშიც. არადა, პორტებს ძალიან დიდი შემოსავალი აქვთ და, წესით, არ უნდა გასჭირვებოდათ ფეხბურთის გუნდების თანადგომა. სირცხვილია, რომ ამ ქალაქებში ფეხბურთელებს ხელფასებს ვერ აძლევდნენ; თანაც აქ რაიმე კოლოსალურ ანაზღაურებაზე არ არის ლაპარაკი - ელემენტარული ხელფასი იგულისხმება.

ისე კი, თუ დღევანდელ ფეხბურთში რაიმე სამაგალითო და მისაბაძი კეთდება, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თბილისის "ლოკომოტივის" მუშაობა, რაც რეზულტატსაც შეეტყო - ამ გუნდს, მეორე წრეა, თამაში არ წაუგია; თანაც ამ გუნდებში პერსპექტიული ახალგაზრდები მუდმივად ჩნდებიან. უკვე დადგა, ალბათ, დრო, რომ დავასახელოთ ალავერდიშვილი და კახელიშვილი - ეს ის მოთამაშეები არიან, რომლებმაც გულშემატკივრებს დიდი იმედი ჩაგვისახეს; მით უმეტეს, რომ "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა ძალიან სწორი, ერთ მუშტად შეკრული სისტემით მუშაობს - გუნდის ხელმძღვანელი ლევან ყიფიანიდან დაწყებული, ყველა სხვა მწვრთნელის ჩათვლით; და, ვფიქრობ, ისინი ახალგაზრდა ფეხბურთელების მონაცემებს ნამდვილად სწორ მიმართულებას მისცემენ, რაც უდავოდ აისახება მათ მომავალზე".

**დევი დობორჯგინიძე:** "სხვათა შორის, ქართველი გულშემატკივარიც ბევრს სცოდავს"...

**თემურ ლაღანიძე:** "ჰო, ეს ჩვენი ფეხბურთის აქილევსის ქუსლია. მესმის, რომ ახლა ქართული ფეხბურთი საუკეთესო სანახაობას არ წარმოადგენს, მაგრამ, ჩემი აზრით, გულშემატკივრის მხარდაჭერა ფეხბურთელებს აუცილებლად ესაჭიროებათ. ეს ხომ ორმხრივი ურთიერთობაა. შეუძლებელია იყოს კარგი თამაში გულშემატკივართა გარეშე, ისევე როგორც თეატრში არანაირ სპექტაკლს აზრი არ აქვს, თუ მას მაყურებელი არ აფასებს. დღევანდელი გულშემატკივარი კი ტოტალიზატორში უფრო დიდი სიამოვნებით დადის, ვიდრე - სტადიონზე. ამიტომ, ძნელია გაამტყუნო ის ფეხბურთელები, რომლებიც, თითქმის, იდენტური ანაზღაურების საფასურად, სხვა ქვეყნის, თუნდაც მეორე ლიგის გუნდში თამაშს ამჯობინებს - ფეხბურთელს აუდიტორია ჰაერივით სჭირდება".

**დევი დობორჯგინიძე:** "რა თქმა უნდა, საცოდაობა არ არის, მაგალითად, გოგუა რომ "ხიმკიში" თამაშობდეს?! ისიც სხვებივით აიძულეს რომ წასულიყო"...

**თემურ ლაღანიძე:** "ფეხბურთელების შენარჩუნებაც მხოლოდ მწვრთნელებზე არ არის დამოკიდებული - ალბათ, აქაც გარკვეული სახელმწიფო მიდგომა უნდა არსებობდეს. კიდევ ვიმეორებ, საქართველოს პირველობა სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს, მხოლოდ ბიზნესი ამას ვერ გაწვდება - სად არის ჩვენში ჯერ ასეთი მძლავრი ბიზნესი. არ მესმის, რატომ უნდა იყოს ფოთის გუნდი გავარდნის კანდიდატი, ან - ბათუმის გუნდი. დღევანდელ ფეხბურთს, თუნდაც ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატს, ისეთი მოთხოვნები აქვს, რომ შეუძლებელია 90 წუთის განმავლობაში რომელიმე მოთამაშეს დასვენების საშუალება მიეცეს. ყველა მოთამაშეს უწევს, ბოლომდე დაიხარჯოს. ამიტომ, თუ მათ ნორმალური პირობები არ შევუქმენით, წარმოუდგენელია, კარგად თამაში შეძლონ. ჩემი აზრით, სახელმწიფომ აუცილებლად უნდა იზრუნოს ეროვნული ჩემპიონატის გადარჩენაზე"...

**დევი დობორჯგინიძე:** "ფეხბურთის კერძო ბიზნესის ამარა დატოვება მე, პირადად, უვიცობად მიმაჩნია. დღეს ბიზნესმენი მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარება ფეხბურთს, თუ ის ძალიან დიდი მოყვარულია, ასეთი კი ძალიან ცოტაა სამწუხაროდ, და ამის იმედად ვერ იქნები.

ვთქვათ, ააშენა სახელმწიფომ 200 სტადიონი - მხოლოდ სტადიონები ვერაფერს უშველის, თუ მასწავლებლები არ იარსებებენ. აი, ეს კი სერიოზული დეფიციტია საქართველოში. მე დიდ პედაგოგიურ შეცდომად მიმაჩნია, როდესაც მწვრთნელები იაშვილის გუნდიდან გაშვებას ასე ხსნიან, - ცუდი ხასიათი აქვსო. ამ ლოგიკით, მესხი მოედანზე არ უნდა გაეჭაჭანებინათ, სიჭინავა კი, სულაც, მთვარეზე გაესახლებინათ. ბუნებრივია, რომ ნიჭიერი ადამიანები არაორდინარულები არიან და თავისებურ მიდგომას საჭიროებენ. ამ ელემენტარულ უნარებს მწვრთნელები აუცილებლად უნდა ფლობდნენ, რომ აღარაფერი ვთქვათ ფუნდამენტურ, პროფესიონალურ განათლებაზე, რაც ჩვენს ქვეყანაში, ასევე, დიდი დეფიციტია.

პირველი რიგის ამოცანა სწორედ პედაგოგების გაზრდაა. მე და ჩემს მეგობრებს დიდი ხანია, გვაქვს ერთი კარგი იდეა - უნდა შეიქმნას სამთავრობო კომისია, რომელიც, ფიფა-სა და უეფასთან თანამშრომლობით, საქართველოში არსებული სამი უმაღლესი დაწესებულების ბაზაზე (სახელმწიფო უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური უნივერსიტეტი და სამედიცინო ინსტიტუტი) ითავებს საგანგებო ფაკულტეტის ჩამოყალიბებას, სადაც სწავლა ძალიან პრესტიჟული იქნება და შემდეგი სპეციალობის ადამიანებს მოამზადებს - კვალიფიციური მწვრთნელი, სპორტსმენი, სპორტული ექიმი და სპორტული ჟურნალისტი. ამ სამივე უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს ერთი ძლიერი გუნდი, საბაზო საშუალო სკოლა, გვერდით საცხოვრებელი კორპუსით, სადაც რეგიონებიდან ჩამოსული ნიჭიერი მოსწავლეები იცხოვრებენ; ასევე - ამ ყოველივეს უნდა ჰქონდეს საკუთარი, ოცი სათამაშო მოედანი; ბუნებრივია, რაიონებში ფილიალებიც უნდა იყოს. და ვიდრე ამ მექანიზმის ამოქმედებისა და სასწავლო პროგრამის შემუშავების პოტენციალი ჯერ კიდევ არსებობს, მიმაჩნია, რომ ეს იდეა უდავოდ განსახორციელებელია".

### სპორტი და მეცნიერება

# სპორტს მეცნიერების სამსახური სჭირდება?

*ერთხელაც, როდესაც ფეხბურთის საცქერად ტელევიზორს ჩართავთ, პირველი, რასაც ცისფერ ეკრანზე დაინახავთ, ვამპირის წითელი თვალის გამჭოლი მზერა იქნება, მაგრამ არ შეგეშინდეთ! ეს მხოლოდ და მხოლოდ უეინ რუნის მზერა იქნება, რომელიც კომპანია ნაიკის ახალი ეკიპირების რეკლამას გვთავაზობს.*

*ის, რომ მისი თვალები წითლად ელვარებს, მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ რუნი საგანგებო კონტაქტურ ლინზებს ატარებს. ლინზები კი თურმე იმისთვის ყოფილა საჭირო, რომ მისი მეშვეობით ფეხბურთელი მოედანზე ბურთს უკეთ დაინახავს.*

ასე რომ, წითელთვალება რუნისგან ნუ ელით იმას, რომ იგი "არსენალის", გნებავთ, სხვა რომელიმე გუნდის მეკარის საძილე არტერიას ეძგერება. ერთადერთი, რასაც ის გააკეთებს, მოედანზე უკეთ ორიენტირება იქნება.

ვინაიდან ნაიკი "მანჩესტერ იუნაიტედის" ახალგაზრდა ვარსკვლავების ტიერი ანრის, რობი კინის და რონალდუს სპონსორია, ამიტომ არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ინგლისურ პრემიერლიგაში პირველები სწორედ ეს მოთამაშეები გამოცდიან ახალ ლინზებს.

### ამერიკა, როგორც ყოველთვის, პირველია

კონტაქტური ლინზები, სახელად MaxSight, ნაიკისა და Bausch & Lomb-ის ერთობლივი თანამშრომლობის ნაყოფია. ამასთან, ჩრდილო ამერიკაში ერთგვარ გამოცდას გადის ბეისბოლში, კალათბურთსა და გოლფში. სიახლის არსი კი ის არის, რომ ლინზები ფილტრავენ ამა თუ იმ ფერს იმის მიხედვით, თუ სპორტის რომელ სახეობას მისდევთ.

მაგალითად, სტატიკური გოლფისთვის დამზადებული ლინზები მომწვანორუხი ტონებისგან ფილტრავს ხედვის არეალს, რაც მოთამაშეებს საშუალებას აძლევს, მკვეთრად დაინახონ ფოსოების გასწვრივ ჩასობილი ალმები.

ბევრად უფრო მოძრავი სახეობებისთვის, განსაკუთრებით ისეთებისთვის, რომლებსაც ღია ცის ქვეშ თამაშობენ, კაშკაშა მზისგულზე სათამაშოდ საჭიროა წითელი და ნარინჯისფერი ლინზები, რომლების, თავის მხრივ, ფილტრავენ ეგრეთ წოდებულ "ვიზუალურ ხმაურს" (სპეციალისტები სწორედ ასე აღნიშნავენ ზოგიერთ ტონალობას, რომლებიც სპორტსმენებს საგნების მკვეთრად აღქმაში უშლიან ხელს).

ჩოგბურთისთვის, სადაც ბურთები, როგორც წესი, ყვითელი ფერისაა, შექმნილია ლინზები, რომლებიც ყვითელი ფერისგანვე ფილტრავენ და ა.შ.

ლინზები არა მარტო უკეთ დანახვაში ეხმარება, არამედ სპორტსმენის თვალს მავნე ულტრაიისფერის, პირდაპირი მზის სხივებისგან იცავს.

"მიუხედავად იმისა, რომ ლინზებით მრისხანედ გამოიყურებით, - შთაბეჭდილებებს გვიზიარებს "ბალტიმორ ორიოლზის" ბეისბოლისტი ბრაიან რობერტსი, - ახალი ლინზებით თამაში უფრო კომფორტულია - ბურთს უკეთ ხედავთ".

და მაინც, ისმის კითხვა: კერძოდ, სიახლესა და სტეროიდებს (დოპინგი) შორის რა პრინციპული განსხვავებაა. ისიც ხომ შედეგების გასაუმჯობესებლადაა?

შესაძლოა, ასეთი შედარება არცთუ კორექტულია. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სტეროიდები სპორტსმენის ორგანიზმს ავნებს. გარდა ამისა, მის მეტოქეებს, რომლებიც კეთილსინდისიერად ასპარეზობენ, არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს მოწინააღმდეგესთან. მაგრამ, მოდი, წარმოვიდგინოთ, რომ მეცნიერებმა გამოიგონეს ორგანიზმისთვის სრულად არამავნე სტეროიდი. ამ შემთხვევაში ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ მათ უმალ აუნთებენ მწვანე შუქს?

თუ მოვლენები მართლაც ასეთი თანმიმდევრობით განვითარდება, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ სტარტზე გამოვლენ სუპერათლეტები, შედეგებიც გაუმჯობესდება, საფეხბურთო, საკალათბურთო მატჩები კი ერთხელ და სამუდამოდ შოუდ გარდაიქმნება.

ისე კი, ახალი ლინზები შეიძლება მხოლოდ პირველი ნაბიჯი იყო, რომელსაც მოყვება ისეთი მოწყობილობები, რომელთა "სპორტული ეკიპირებისთვის" მიკუთვნება ერთობ ძნელი იქნება.

### ფანტასტიკა?

საბედნიეროდ, კიბორგებზე საუბარი ჯერ არაა, მაგრამ მეცნიერება, მათ შორის, სპორტული, დიდი ნაბიჯებით მიიწევს წინ. აბა წარმოვიდგინოთ...

უეინ რუნი "არსენალთან" მატჩში პირველი ტაიმის ბოლოს შეცვალეს მხოლოდ იმიტომ, რომ ნაიკისგან გამართული მისი სუპერფეხის მოწყობილობა მწყობრიდან გამოვიდა და დაიწყო ბურთის მეტოქისთვის გადაცემა...

მიხაელ შუმახერი "დიდი პრიზის" რბოლიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს მისივე ბოლიდის ერთ ნაწილთან ერთად - ტექნიკოსებმა და ექიმებმა ვერაფრით ვერ შეძლეს ერთმანეთისგან დაეშორებინათ ხერხემლის ტვინთან წარუმატებლად შესისხლხორცებული გადაცემათა კოლოფი...

ზედიზედ მეორე წელიწადია, მარია შარაპოვა ჩოგბურთელთა მსოფლიოს რეიტინგ-ნუსხას ლიდერობს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ძირითადი მეტოქეები იშუშებენ ტრავმებს, რომლებიც მიიღეს საგანგებოდ რუსი ჩოგბურთელისთვის დამზადებული ჩოგნიდან ასხლეტილი ბურთით, რომლის ძალაც 200-ჯერ გაიზრდა...

საშინელი სურათია, მაგრამ ასეთია ჩვენი მომავალიო, ამბობს BBC-ის რუსული სამსახურის ჟურნალისტი ანდრეი ლოგუტკოვი.

### არსებობს უფრო საშიში იარაღიც

ვინ თქვა, რომ თანამედროვე სპორტში არ არსებობს არატრადიციული მეთოდით მაღალი შედეგების მიღწევის სრულიად ლეგალური საშუალებები?

ავიღოთ "ენფილდის" საფეხბურთო მოედანი, რომელზეც "ლივერპული" თამაშობს. სპეციალისტები სრული სერიოზულობით ამტკიცებენ, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში "ჩელსიზე" "ლივერპულის" გამარჯვებაში 50-პროცენტიანი წვლილი გულშემატკივრებს მიუძღვით.

ის, თუ რა ხდება "ენფილდზე", ამის აღსაწერად შედარება მოვიყვანოთ. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ საშინელი, ფეთქებადი ხმაური, რომელიც ტრიბუნებიდან მაშინ მოდის, როდესაც მასპინძელთა გუნდს მეტოქის კარში ბურთი გააქვს. ყველაფერი სწორედ აქედან იწყება. შინაურ კედლებში მოთამაშე გუნდისთვის გულშემატკივართა მხარდაჭერა ნებისმიერ დოპინგზე სუფთად მოქმედებს. მოწინააღმდეგეებს ეწყებათ ფეხის კანკალი და ა.შ. შეგვიძლია მივმართოთ მსაჯებსაც, რომელთა მეშვეობით შეიძლება სასურველი შედეგის მიღწევა, ამასთან, ყოველგვარი სტეროიდებისა და მექანიკური ფეხების გარეშე.

"ლივერპულმა" "ჩელსი" დაამარცხა ისეთი გოლის წყალობით, რომლის რეალობასაც ვერასდროს შევამოწმებთ. მომენტის ანუ გოლის გატანის რამდენიმე კომპიუტერულმა სიმულაციამ, მათ შორის, ფრთოსანი რაკეტების ალმომჩენი სისტემების დახმარებამ გვიჩვენა, რომ ბურთს არ გადაუკვეთავს კარის ხაზი.

შემდგომ მატჩში "ჩარლტონთან" გამოყენებულმა საშინელმა იარაღმა ამჯერად უკვე "ჩელსის" სასარგებლოდ იმოქმედა.

### სამართლიანობისთვის

სწორედ აქ ხდება საჭირო მეცნიერების ბოლო სიტყვა. რა თქმა უნდა, რიგი პრობლემებისა თუ სადავო საკითხების ალმოსაფხვრელად, მაგრამ არა სპორტსმენებისთვის, არამედ მსაჯებისთვის, რომელთა გადაწყვეტილებაზეცაა დამოკიდებული მატჩის ბედი - სამართლიანი.

### ინფოთეკა

## "ლივერპულს" მინტალი აინტერესებს

გერმანიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი მარეკ მინტალი შეიძლება "ნიურნბერგიდან" "ლივერპულში" გადავიდეს. 27 წლის ნახევარმცველის მიმართ ინგლისელების ინტერესი გერმანული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა გაამხილა.

"მარეკ მინტალის 23 გოლმა გულგრილი ვერ დატოვა მრავალი კლუბი, მათ შორის, ვერც "ლივერპული". ჩემპიონთა ლიგის ფინალისტი ჩვენი ბომბარდირის შეძენითაა დაინტერესებული, თუმცა, ჯერჯერობით კონკრეტულ წინადადებამდე საქმე არ მისულა. მინტალის "ნიურნბერგთან" კონტრაქტს 2008 წელს გასდის ვადა, ამიტომ თუ ვინმეს ამ ფეხბურთელის შეძენა უნდა, სოლიდური საკონპენსაციო თანხაც უნდა გადაიხადოს. მინტალის "ნიურნბერგში" დარჩენა ძალიან გამახარებს. თუ კლუბი მას გაყიდის, ამ საქმეს მომგებიან ბიზნესს ვუწოდებ," - განაცხადა ვოლფგანგ ვოლფმა.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**

### TV-სპორტი

**ხუთშაბათი. 12 მაისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - საფრანგეთის ჩემპიონატი. "ლიონი" - "აიაჩო"
14:00 ფუტზალი. რუსეთის ჩემპიონატი. გადამწყვეტი მატჩები
15:30 თავისუფალი დარტყმა
15:45 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - იტალიის ჩემპიონატი. "ბრეშია" - "ინტერი"
17:30 ესპანეთის ჩემპიონატი. "ვალენსია" - "ბარსელონა"
19:15 თავისუფალი დარტყმა
19:30 სახვალიო ტელეპროგრამა
19:40 საუიკენდო მატჩების ანონსი
19:55 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი - ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "ლივერპული"
21:50 "საფეხბურთო კლუბი". პირველი დივიზიონი
22:20 ინგლისის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
23:15 "ფეხბურთი ჭრილში"
23:45 უკრაინის ჩემპიონატი. "ზაკარპატიე" - "შახტარი"

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 21:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
13:35 "სპორტისიმო"
14:20 სტილური კარატე. რუსეთის ჩემპიონატი
15:05 "არქივის რჩეული". ამერიკული ფეხბურთი. Super Bowl XXXIV. 2000 წელი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
19:15 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
19:45 "მოტოვებული კვირა"
20:30 კალათბურთი. NBA-ს ჩემპიონატი
21:20 სახვალიო ტელეპროგრამა
21:30 პროგრამა. "მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში. ექო"
22:00 ATP-ს საჩოგბურთო მიმოხილვა
22:30 ჭადრაკი. სუპერტურნირი სოფიაში
23:00 როდეო. "Bull Riders"
23:45 "ჩქაროსნული სამყარო". ტელეჟურნალი
00:15 ახალი ამბები
00:30 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში
02:00 02:00-დან 04:10-მდე შესვენება
04:10 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. "პალმეირასი" (ბრაზილია) - "სერო პორტენო" (პარაგვაი). პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ცხენოსნობა. სუპერლიგა საფრანგეთში
11:30 ბადმინტონი. საერთაშორისო ასპარეზობა ჩინეთში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
15:00 ჩოგბურთი. "Masters Series" ჰამბურგში. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 ველორბოლა - იტალიის ტური
17:00 ველორბოლა - იტალიის ტური. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში
22:00 რალი. მსოფლიო ჩემპიონატი კვიპროსში
22:30 ჩოგბურთი. WTA ტურნირი იტალიაში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
01:30 ახალი ამბები
01:45 მებრძოლთა კლუბი

# მართლმადიდებლობა და მედიცინა ანუ ვისთან იმალება "სატანა"?

**მეცნიერება რელიგიის გარეშე ყრუა, ხოლო რელიგია მეცნიერების გარეშე ბრმა.**
*ალბერტ ეინშტეინი*

გაიოზ ერაძე

### სტატიის მიზანი

გამოკვლევა ეძღვნება ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის "სასიცოცხლო ენერგიით" სამკურნალო პრაქტიკისადმი დამოკიდებულების პრობლემას. მიუხედავად იმისა, რომ ეს თემა მხოლოდ მცირედი ნაწილია რელიგიისა და მეცნიერების მუდმივი ზოგადსაკაცობრიო დაპირისპირების ისტორიიდან, შეძლებისდაგვარად შევეცდები დავრჩე პრობლემის "ეროვნულ-რელიგიურ ჩარჩოებში", თუმცა, ხანდახან, აუცილებლობა მაიძულებს მისი საზღვრების მნიშვნელოვნად დარღვევას.

### საკითხის დასმა

გუშინდელი ისტორია

გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან, ყოფილ საბჭოთა სივრცეში, საქართველოში პირველად გახმაურდა ესოდენ უცხო და მატერიალისტურ აზროვნებასთან სრულიად შეუთავსებელი მკურნალობის ხერხი, ადამიანის ენერგიით ("ბიოტოკებს" უწოდებდნენ მაშინ). მას ფართო მასშტაბური და შედეგიანი პრაქტიკული მოღვაწეობის საფუძველი დაუმკვიდრა ბატონმა გოგი კენჭაძემ. ასე გაუჩნდა თბილისში წამლობითი მედიცინის მონოპოლიას უხილავი, მაგრამ რეალური კონკურენტი. გასაკვირი არ უნდა იყოს, როცა ქართულმა სამედიცინო ელიტამ ამ ფენომენისადმი მეცნიერული ინტერესის გამოჩენის ნაცვლად, როგორც კომერციულ კონკურენტს, სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა. აქვე გასახსენებელია ის ფაქტიც, რომ ტრადიციული მედიცინა სახელმწიფოებრივ დონეზე მუდმივ დაპირისპირებაში იმყოფებოდა "არამეცნიერულ" გომეოპატიასა და ფიტოთერაპიასთან. ამიტომ მკურნალობის ეს მიმდინარეობანი ათწლეულების მანძილზე არალეგალური პრაქტიკით იყვნენ დაკავებულნი.

მიუხედავად წინააღმდეგობისა, საქართველოს მოსახლეობაში ბიოენერგიით მკურნალობის მიმართულებამ საკმაო პოპულარობა დაიმსახურა. დამკვიდრდნენ სხვა სახეებიც: კრივოროტოვი, შუბითიძე, ერისთავი, ჯინჭარაძე, გორდელაძე და ბოლოს ჯუნა დავითაშვილი, რომელმაც ამ რთულ ვითარებაში ერთადერთი რეალური გზა გამონახა: მოსკოვის ფიზიკოსებიდან (პუშკინი) ოფიციალური წერილი ჩამოიტანა ბიოენერგიის ფლობის შესახებ, რომელიც, აგრეთვე, შეიცავდა მიმართვას, ხელი არ შეეშალათ სამკურნალო პრაქტიკაში გამოსაყენებლად! ასე დაიწყო თბილისში "ბიოდენური ციებ-ცხელება". მიუხედავად ამისა, ქართველმა მედიკოსებმა მაინც მიაღწიეს დავითაშვილის საქართველოდან გადახვეწას. ჯუნამ ეს ომი საქმისათვის უფრო ხელშემწყობ პირობებში, რუსეთის ტერიტორიაზე, უშუალოდ კრემლის დერეფნებში გადაიტანა, რაც, ფაქტობრივად, მედიკოსებზე ერთპიროვნულად გამარჯვებას ნიშნავდა. ყველაფერი თითქოს თავისთავად უნდა განვითარებულიყო, რომ არა ერთი შემთხვევა...

თბილისის 1989 წლის 9 აპრილის მოვლენების შემდეგ, მოწამლული მანიფესტანტების სამკურნალოდ თბილისს სახელის მოხვეჭაში ბედის მრავალი მაძიებელი ეწვია. მათ შორის იყო ფსიქიკური ენერგიის გამოყენებით, საკავშირო ტელეეკრანიდან ერთობლივი დისტანციური სამკურნალო სეანსების ჩამტარებელი ანატოლი კაშპიროვსკი.

საქართველოს სამღვდელოება თავიდანვე აგრესიულად განეწყო კაშპიროვსკის პიროვნებისა და მისი მისიის მიმართ - დახმარებოდა მოწამლულებს, შერაცხა რა იგი სატანის მოციქულად. მოწამლულებთან პირველივე შეხვედრისას, როგორც მოსალოდნელი იყო, აღსრულდა კაშპიროვსკის ობსტრუქცია და განდევნა. ამ შემთხვევის შემდეგ მალე კაშპიროვსკი საკავშირო ეკრანს ჩამოაშორეს, ვფიქრობ, სამართლიანად, ვინაიდან წარმოუდგენელი უვიცობა იყო "ერთდროულად ყველას ყველაფრიდან განკურნება". ერთ შემთხვევაში ეფექტი (კანის ძველ შრამებზე, კბილის ამოღების გაუტკივარებაზე), სხვა შემთხვევაში (არტერიული წნევა, გულის დაავადებანი) მკვეთრად უარყოფით შედეგებს ავითარებდა. სხვათა შორის, ეს ის კაშპიროვსკი გახლავთ, ვინც ადამიანის ე.წ. "ბიოველის" არსებობას საერთოდ უარყოფდა!





1 - ელექტროდები;
2 - დიელექტრიკული ფირფიტები;
3 - განსხეტვაგი შრე;
4 - ოპიექტი;
5 - მაღალსიხშირიანი გენერატორი;







*ფიგ. 1*




*ფიგ. 2*

### ეკლესია და "ბიოველი"

თბილისში "ბიოველით" მკურნალობის დამკვიდრებიდან ათი წლის შემდეგ, მედიკოსების გარდა მას კიდევ ახალი მტერი გამოუჩნდა საქართველოში - მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო მოღვაწენი, რომელთაც კაშპიროვსკიზე გამარჯვების ინერციით ახლა შეტევა "ბიოველით მკურნალობაზე" (უკვე ასეთად იწოდება იგი) მიიტანეს, სატანისტურ მოღვაწეობის სიაში შეიტანეს და მრევლში მისდამი პანიკური შიშის დამკვიდრების პროპაგანდას მიჰყვეს ხელი. ასეა დღემდე. საპატრიარქოს ოფიციალური აზრი კი დუმს, ისევე, როგორც მრავალ სხვა შემთხვევაში, ეკლესიის ცალკეულ მსახურთა მხრიდან საერო საქმიანობაში უარყოფითი აქტივობის საკითხებთან მიმართებაში. მოქმედება კი სადღაც კულუარებიდან იღებს სათავეს.

სამღვდელოებასთან კერძო საუბრებითა თუ კამათებით დიდხანს ვცდილობდი გამერკვია მათი უარყოფითი დამოკიდებულების ის ძირები, რომელნიც ბოლო ათწლეულებში აღმოცენდნენ ე.წ. "ბიოველით" მკურნალობის საწინააღმდეგოდ. თემასთან დაკავშირებით საუბრები არაერთ სამღვდელო პიროვნებასთან მქონდა. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი მათგანი პირად დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდა, მაინც იგრძნობოდა შეუცნობადის მიმართ გაურკვეველი შიში, რომლის ბოლომდე გამხელას ღვთისმსახურნი თითქოს ერიდებოდნენ. ასეა თუ ისე, მათგან გარკვეული პასუხი ვერ გამოვიტანე, თითქოს საკითხის ღიად დატოვებას ცდილობდა ყველა! მათთან ამ თემაზე საუბრებიდან "ბიოველით" მკურნალობის საწინააღმდეგო ლოგიკა ზოგადად ასე წარმომიდგა: როცა საეკლესიო პირი მისთვის "სასწაულად" აღქმულ განკურნების მოწმე ხდება, მეყსეულად შიშები და, შესაბამისად, ეჭვები იპყრობს, ღვთის ძალით აღსრულება ეს თუ კაცისგან? შემდგომ კი მათი ლოგიკა შემდეგნაირად ყალიბდება: ვინაიდან სასწაულების აღსრულება მხოლოდ მაცხოვარს და სხვა სულიწმინდით გასხივოსნებულთ ხელეწიფებოდა, უბრალო მოკვდავის ხელით ანალოგიურ ქმედებას ანუ, მათი აზრით "სასწაულის" მოხდენას უცილობლად სატანური ძალების ხელის შეწყობა უნდა ედოს საფუძვლად! სიკეთეს, რომელიც ასეთი მეთოდით განკურნებას ხშირად თან სდევს, "სატანური ძალების" გამოვლინების, სიცრუის ანუ "ხიბლის" იარლიყი აქვს მიკრული! ასე მოძღვრავს ჩვენი ეკლესიის მრავალი მსახური საკუთარ მრევლს.

ყოველივე მოსმენილმა საბოლოოდ მხოლოდ ერთ დასკვნამდე მიმიყვანა: როგორც ეტყობა, ჩვენი ეკლესიის ღვთისმსახურნი ვარაუდობენ, რომ მაცხოვარი სასწაულებრივ განკურნებებს უძლიერესი "ბიოველის" გამოყენებით აღასრულებდა(!?). აქედან გამომდინარე, "ბიოველით" მკურნალობის წინააღმდეგ გააფთრებული ბრძოლა მათ ქრისტეს სახელის გადასარჩენ კეთილშობილ მისიად უნდა მიაჩნდეთ(?). თავიდანვე უნდა განვაცხადო, რომ არამცთუ ქადაგება, ამის გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი მკრეხელობაა, გაუბრალოება მაცხოვრის არსისა. ამიტომ გთხოვთ ნუ იუცხოვებთ ჩემი გამოკვლევის ზედმეტად შეუფერებელ ტონს.

მაქვს თუ არა საკმაო საფუძველი ეს თემა საქართველოს სინამდვილეში საზოგადოებრივი განსჯის საგნად ვაქციო? მოგიყვანთ მტკიცებულებებს, დასტამბულ ოფიციალურ გამონათქვამებს, აღებულს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ცნობილ რელიგიურ მოღვაწეთა წიგნებიდან. მათში განვითარებული შეხედულებანი, როგორც ჩემთვის ცნობილია, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრავალრიცხოვანი მრევლის მიერ გაიგივებულია ეკლესიის ზოგად ოფიციალურ საერთო დოგმებთან.

1. "Уже открываются церкви сатаны, обряды этой церкви и есть оккультно-магические ритуалы. Уже теперь все чаще и чаще появляются экстрасенсы, которые из них даже берутся из любого человека делать путем определенных упражнений и тренировки подобного себя экстрасенса (?! გ.ე.), так сказать предвидится массовое производство экстрасенсов (Архимапндрит Рафаил. Из проповедей "Об окультизме").

სხვათა შორის, არქიმანდრიტი რაფაელი თანამედროვე თეოლოგიაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა.

**2. "ეშმაკის მსახური "მკურნალები", სულ ერთია, სოფლის მკითხავები იქნებიან, ინდოელი იოგები თუ "ძლიერი ბიოველის მქონე" თანამედროვე ექსტრასენსები, "ორმოცდაათიანელები", ანდა სხვა სექტანტები (გაუგებარია, რა საერთო აქვთ სექტანტებს და "ბიოველით" მკურნალთ? გ.ე.), რომლებიც ქრისტიანული სახელწოდებით ინილბებიან, საერთო ერთი აქვთ: მათ არც ნათელი, შეგნებული სარწმუნოება სჭირდებათ და არც სარწმუნოების მიხედვით ცხოვრება" (არქიმანდრიტი ლაზარე. "აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის", 1994).**

ზოგიერთმა მღვდელმთავარმა კი "ექსტრასენსების მომსახურებით სარგებლობა" ათი მცნების ნუსხას მიუმატა:

**3. "ექსტრასენსების დაჯერება" ("ლოცვანი" 2002, მიტროპოლიტი ათანასე ჩახვაშვილი. გვ. 127).**

"ცოდვილთა" ნუსხის სფეროში საეკლესიო თვითშემოქმედების სხვა მაგალითები გნებავთ? ინებეთ:

**4. "კინოფილმებისადმი და თეატრალური სანახაობისადმი სიყვარული და ლტოლვა", "მსახიობობა", "ოცნება" ("ლოცვანი" 2002, მიტროპოლიტ ათანასეს კურთხევით). "მუსიკანობით (საკრავთა მკვრელობით)", "როკვით (ცეკვით)", "გამართობელ თამაშობებით (უკეთუ კარტით, ნარდით და სხვა მრავალით, რომლით თუ გითამაშნია?)" ("ლოცვანი", გამომცემლობა "ჯვარი", გაურკვეველი კურთხევისა და გამოცემის თარიღისა)** და ა.შ.

ვფიქრობ, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა გახდეს, როგორ სულიერ დეპრესიაში შეიძლება აღმოჩნდეს ყოველივე ამის წამკითხველი თუ ყურმოკრული ახალმორწმუნე, რომელიც ამ, გასართობი ხასიათის "ცოდვებისათვის", მოძღვრის მხრიდან მიტევებას ელოდება. ეს ისე, ეკლესიის მოძღვართა სასულიერო თვითშემოქმედებაზე ზოგადი წარმოდგენისათვის, ჩვენ კი ისევ ბიოველს დავუბრუნდეთ.

ყველაზე უცნაური ამ საქმეში ის არის, რომ ახლა არამატერიალისტური ცხოვრების მესაიდუმლე რელიგია და მატერიალისტური მედიცინა ერთად გამოდიან ე.წ. "ბიოველით" მკურნალობის დამკვიდრების წინააღმდეგ! აქედან პირველი ნაცადი ხერხით - "სატანის იარლიყის" მიკვრით, ხოლო მეორე, მატერიალისტური მეცნიერება - ბიოველის, როგორც ასეთის, არსებობის უგულებელყოფით (?!). ამ დროს თავად სულიერი მწყემსთაგანნი, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვისას, უზენაესისადმი ლოცვა-ვედრების აღვლენის ნაცვლად სწორედ მატერიალისტური წამლობითი მედიცინის მომსახურებით სარგებლობენ და ევროპული ფარმაკოლოგიის ჩაკეტილ წრეში იმყოფებიან, მეორე მხრივ კი ჯანმრთელობის აღდგენის არამატერიალურ მიმართულებებს ებრძვიან! მეტიც, სარგებლობენ რა სასულიერო სფეროს იერარქიულ საფეხურებზე ჩინობრივი ავტორიტეტით, ზოგიერთი თავშვებული მოძღვარი დასტამბულ წიგნებსა თუ ქადაგებებში თავზე იღებს ცოდვას, მეცნიერულ აღმოჩენებზე ორთოდოქსალური ხედვიდან იმსჯელოს და საკუთარი პირადი შეხედულებანი თავს მოახვიოს მრევლს, ღვთისაგან არის, კაცისგან თუ სატანისგან ("შენ რა იცი?"). საკუთარი შეხედულებებით შეთხზულ "უწყებრივ დებულებებს" ღვთის მიერ ზეგარდმო ბოძებულად წარმოუდგენენ თავსაფარწაკრულ მრევლს! ასეთი ქადაგებებით რელიგიურ ფანატიზმში ახვევენ საზოგადოების ერთ ნაწილს, ხოლო მეორეს ეკლესიის მსახურთა გულწრფელობის მიმართ აეჭვებენ. ვფიქრობ, მათი მერკანტილური მიზანი მარტივია: გაურკვეველი შიშის დათესვით დათრგუნონ უმაღლესი თავისუფლების შეგრძნების ბედნიერება, რომელიც ბუნებრივად თან სდევს რწმენას და ღვთის მონობის ნაცვლად საკუთარ მონობაში მოაქციონ მრევლი! პეტრე მოციქული როდიდან გვაფრთხილებდა, რომ ვიყოთ "თავისუფალნი და არა თავისუფლების საფარველით ბოროტების შემფარავნი", არამედ მონანი ღმრთისა" (პეტრე I). ჟრუანტელის მომგვრელი განჭვრეტა დევს ამ გაფრთხილებაში მათ მიმართ, ვინც ქრისტიანულ საფარველში პირად მიზნებს ესწრაფვის.

### ცოტაზე მეტი რამ სასწაულზე

თავიდანვე პირობითად შევთანხმდეთ ტერმინ "სასწაულის" აზრობრივ მნიშვნელობაზე. ვფიქრობ, მოგეწონებათ ჩემეული პრიმიტიული განმარტება: "სასწაულს" ვარქმევთ უხილავი სამყაროს (ტრანსცენდენტის) არსებობის დამამტკიცებელ ყოველ აუხსნელ გამოვლინებას ხილულ სამყაროში.

ასევე ითვლება, რომ როცა ე.წ. "სასწაული" ცდას არ ექვემდებარება, მატერიალისტური მეცნიერების მსახურთა (მოაზროვნე ფიზიკოსი იქნება ეს თუ მიკრობიოლოგი) განხილვის საგანს არ შეიძლება შეადგენდეს! მეცნიერების პრიმიტიული ხედვა ბუნების შესწავლის გზაზე მარტივია: რასაც ვერ ვხსნით, ის არ არსებობს!

ამ დროს დედაბუდიანად არავის გვაქვს გააზრებული ის ფაქტი, რომ დაბადებიდან სიკვდილამდე იმ პერმანენტულ, ემპირიულ სასწაულში ("მიჩვეულ სასწაულში") გვიწევს არსებობა, რასაც უსასრულოდ შეუსწავლადი სიცოცხლე ეწოდება! შეიძლება კიდევ რამე "ახალმა" განგვაცვიფროს და დაგვაეჭვოს? ყოველივე ეს შემოქმედის სუფევას ადასტურებს დედამიწაზე და ასეთის გონით მიუღწევლობა, ამპარტავნებით გადაჯერებულ მეცნიერული შეზღუდულობისა თუ რელიგიის "მედავითნე" მსახურთა თანაბარ პრიმიტივიზმზე მეტყველებს მხოლოდ. დიახ, შინაგანი უღმრთოებაა მიზეზი იმისა, რომ საყოველდღიურო, მაგრამ აუხსნელი ფენომენნი ("შეჩვეული სასწაულები") ჩვენ ველარ აღგვაფრთოვანებენ. მაგალითისთვის ავიღოთ აზრის ფორმირებისა და უხილავ და ხილულ სამყაროთა შორის ინფორმაციის გაცვლის მუდმივმოქმედი მექანიზმები. უხილავი სამყაროს მიმართულებით აზრის გადაცემის ეზოთერულ რიტუალს წარმოადგენს ლოცვა, რომელიც უზენაესში რწმენაა თავისთავად. ლოცვის სიწრფელე კი უხილავ სამყაროში შეღწევისა და შესმენადობის ერთადერთი საწინდარი! როგორც წმინდა იოანე ოქროპირი მარტივად გვიხსნის, "სულიწმინდის მადლმა ჩვენ თავად გადაგვაქცია ღვთის ტაძრად"! უკუმიმართულებით ანუ უხილავი სამყაროდან შემოსული აზრობრივი, ხატოვანი თუ საგნობრივი ინფორმაცია შეიძლება იყოს როგორც ჭეშმარიტი, ასევე ყალბი. ყალბი ინფორმაციის მოწოდების სუბიექტში ხილულ სამყაროს ყველა რელიგიაში სატანა მოიაზრება. ხოლო ზეგარდმო ინფორმაციის ჭეშმარიტება მხოლოდ აღსრულებული წინასწარმეტყველებით დასტურდება.

მეცნიერნო და უხილავ სამყაროს მესაიდუმლე ღვთისმსახურნო, ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, ქიმიური ელემენტების (ბიბლიური "თიხა") გარდა რა კომპონენტებს შეიძლება შეიცავდეს სიცოცხლე? ამის კითხვის შემდეგ ელემენტარული პრაქტიკული ფილოსოფიით გთავაზობთ, ლოგიკურად გავერკვეთ, ბიოველი "ახალი" სასწაულია თუ სიცოცხლის წარმოშობის ღვთიური საიდუმლოს, სამყაროს შექმნიდან არსებული სიცოცხლის ფენომენის შემადგენელი ერთ-ერთი კომპონენტის გამოვლინება?

მეცნიერულ-ფილოსოფიურ ენაზე სიცოცხლე განიმარტება, როგორც მატერიის მოწესრიგებული მოძრაობა. რა ესაჭიროება მატერიას მოძრაობისთვის? რასაკვირველია ენერგია! რა უნდა ესაჭიროებოდეს მატერიის მოძრაობის მოწესრიგებას? რასაკვირველია, ერთიანი სამყაროს გონი! არც ერთის შესახებ მატერიალისტურმა მეცნიერებამ თეორიულად ახლაც არა იცის რა! "პირველი იყო სიტყვა", ვიმეორებთ ბიბლიურ ჭეშმარიტებას და მის მიღმა აღარც ვფიქრობთ, რომ სიტყვა გონიდან მომდინარეობს, უზენაესი გონიდან. და საერთოდ, ნუთუ ასე რთული წარმოსადგენი უნდა იყოს, რომ ადამიანის გონებისთვის ამოუხსნელი, სიცოცხლის შემცველი ყოველი "მიჩვეული სასწაული", ელემენტარული ბიოლოგიური უჯრედის მუშაობა იქნება ეს თუ ვაკუუმში ელექტრომაგნიტური ტალღის გავრცელების ბუნება, უზენაესი გონით არის მოწესრიგებული. გონსა და სიტყვას შორის კიდევ ერთი შუალედური რგოლია, აზრი! გონი უზენაესი სუბსტანციაა, აზრი მისი პროდუქტი, ხილული და უხილავი სამყაროს გაერთიანებული აღმასრულებადი ფორმა, რასაც ერთიანი სამყაროს ყოველი მიუჩვეველი თუ მიჩვეული "სასწაული" მორჩილებს, მათ შორის, რასაკვირველია, ცოცხალი სამყაროს სასიცოცხლო ენერგიაც. "სასიცოცხლო ენერგიის" გარეშე სიცოცხლედ შერქმეული მიწიერი ყოფიერების ფორმა არ არსებობს!

### იცოდნენ თუ არა ადრე "სასიცოცხლო ენერგიის" არსებობის შესახებ?

არამცთუ იცოდნენ, პრაქტიკულად იყენებდნენ კიდეც უხსოვარი დროიდან. აღმოსავლური მედიცინის კლასიკური სისტემა, სადაც თეორია და პრაქტიკა ერთ საოცარ მეცნიერულ სისტემაშია მოქცეული, ადამიანის ორგანიზმს განიხილავს ერთობლიობაში (რასაც ვერ ვიტყვით მკურნალობის დასავლურ ჰიპოკრატულ მიდგომაზე, სადაც შინაგანი თუ გარეგანი ორგანოები ერთმანეთისაგან სრულიად მოწყვეტილად განიხილება). ერთიანი სამყაროს (უხილავი და ხილული) კანონზომიერებათა დონეზე კაცობრიობას არ გაუკეთებია უფრო მასშტაბური აღმოჩენა, ვიდრე ეს არის უძველესი ჩინური ეზოთერული მედიცინის თეორიული საფუძველი! იგი ეყრდნობა "სასიცოცხლო ენერგიის" (დადებითი და უარყოფითის ერთობლიობა) ორგანიზმში მუდმივ დღეღამურ ცირკულირებას. ამ ენერგიას სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი აქვს: "პრანა", "ჩი", "კი". როგორც ცნობილია, ადამიანის სხეულზე აღმოჩენილია ფიზიოლოგიურად აუხსნადი, არაფიზიკური ხასიათის აქტიური წერტილები, რომელთა შორის არიან ისეთნი, რომლებშიც "სასიცოცხლო ენერგია" დღეღამური ციკლური კანონის შესაბამისად, ერთი ორგანოს არხიდან გადაიდინდება შემდეგში. ამ კანონს ადამიანის სასიცოცხლო ორგანოები ერთ სისტემაში მოჰყავს! მკურნალობა კი ხორციელდება აქტიური წერტილების კომპლექსზე (დაავადებისაგან დამოკიდებულებით) დადებითი თუ უარყოფითი ნიშნის მატარებელი სხვადასხვა საშუალების ზემოქმედებით.

"სასიცოცხლო ენერგიის" სამკურნალო მიზნებით გამოყენება ანუ ავადმყოფის აქტიურ წერტილებზე მკურნალის ენერგიით ზემოქმედება ყველაზე ეფექტური საშუალებაა ადამიანის სასიცოცხლო ორგანოებში ენერგიის დღეღამურ ცირკულირებაში წარმოქმნილი დარღვევების დასაბალანსებლად, გაცილებით ეფექტური, ვიდრე თავად ჩინური ნემსოთერაპია, ან ელექტრული ("აკუპუნქტურა"), ლაზერული, თერმული თუ სხვა მექანიკური ზემოქმედებანი. ფაქტია, რომ ე.წ. "მანუალური თერაპია" თუ "წერტილოვანი მასაჟი" ბუნებრივად შეიცავს სასიცოცხლო ენერგიით ზემოქმედების ეფექტს, რა სახელიც არ უნდა დავარქვათ მას. მაგალითად, ასე უაზროდ გამაღიზიანებელი ტერმინი "ექსტრასენსი". მშობელი, რომელიც ბავშვის მტკივნეული ადგილის გაყუჩებას ცდილობს ხელით ან სულს უბერავს, შეუცნობლად სასიცოცხლო ენერგიით ზემოქმედებს! ძაღლი, რომელიც ღია იარებს ლოკვით იშუშებს, ინსტიქტითა და საკუთარი ენერგიით მკურნალობს თავს და ა.შ.

შეიძლება თუ არა სასიცოცხლო ენერგიით მკურნალობას მოჰყვეს უარყოფითი შედეგი? რასაკვირველია! სასიცოცხლო ენერგია ხომ ისეთივე იარაღია, როგორც დანა დიპლომირებული ქირურგის ხელში ან ქიმიური მედიკამენტი ექიმის ფარმაკოლოგიურ არქივში. მაგალითად, აღუწერელია მედიცინის როლი ინფექციურ დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ თუ დაავადება იღებს ქრონიკულ ხასიათს, მაშინ მედიკამენტური მედიცინა ხშირად სხვა დაავადებათა გენერატორად გვევლინება. ასეთ შემთხვევაში, თუ მკურნალი თავის დონეზეა, "სასიცოცხლო ენერგიის" გამოყენებით, უარყოფითი გვერდითი მოვლენების გარეშე, მრავალ ქრონიკულ "მოურჩენელ დაავადებებს" მოევლება! ასე რომ, ყველა შემთხვევაში სამკურნალო მეთოდის გამოყენებას თან უნდა სდევდეს კეთილი აზრი, ცოდნა, ხელოვნება, ინტუიცია. წინააღმდეგ შემთხვევაში უარყოფითი შედეგი გარანტირებულია. ავიღოთ თუნდაც სიტყვა, რომლის კეთილი მიზნებით ხმარებას სამკურნალო ეფექტი თან სდევს, რომ აღარაფერი ვთქვათ ლოცვაზე, მაგრამ არ არსებობს სიტყვაზე მომაკვდინებელი მაგიური იარაღი, როცა იგი ბოროტი გონის პროდუქტს წარმოადგენს!

ასე და ამგვარად, სამკურნალო იარაღი ვერ წარსდგება სიკეთისა თუ ბოროტების განმსაზღვრელ კრიტერიუმად. მაგრამ, მეორე მხრივ, არც ისაა მართალი, თითქოს სასიცოცხლო ენერგიის ფლობა მხოლოდ "ღვთით რჩეულთა" მადლმოსილება გახლდეთ, როგორც ცდილობს ქედმაღლურად ამის წარმოდგენას ზოგიერთი "ბიოველით" მკურნალი. საერთოდ კი, ისევე როგორც ყველა დარგს სჩვევია, ამ ბუნდოვანებით მოსილ სფეროს კომერციული ბედის მაძიებელნიც ბუნებრივად გამოუჩნდებიან, მაგრამ ეს ვერ გახდება თავად ფენომენის შერისხვის საფუძველი.

იყო თბილისში ე.წ. "ექსტრასენსორიკის თეორეტიკოსი რევაზ ხომერიკი, რომელმაც ახალი თეორია შეიმუშავა: ბიოენერგიის სიჭარბე ადამიანში დაავადებას იწვევსო (?!). ამასვე უდასტურებდა მკურნალი თამაზ ჭეიშვილი, რომელიც კაცობრიობას ბიოენერგეტიკულ კატასტროფას უწინასწარმეტყველებდა (1991 წ. "საქართველოს რესპუბლიკა", "რას უქადის კაცობრიობას ბიოენერგეტიკის მომატების პერსპექტივა?"). იგი წერდა: "სულ რაღაც ხუთიოდ წელიწადში მივიღებთ ასიათასობით, მილიონობით დაავადებულ ადამიანს ახალი საკაცობრიო სენით, ბიოენერგეტიკული სინდრომით" (?!). საბედნიეროდ ეს ასე არ მოხდა, ხოლო სამწუხაროდ არც "არძინბას დამარხვის ადგილის ცოდნა" აღმოჩნდა მისგან მართალი! ხომერიკის ემისარნი ჩვეულებრივი გალვანომეტრით ქუჩებში ზომავდნენ "ბიოტოკებს" და საკუთარი შესაძლებლობების აღმოჩენით აღფრთოვანებულნი, დაწესებული თანხის გადახდის შემდეგ, ხომერიკის საეჭვო კვალიფიკაციის კურსებზე ხვდებოდნენ. გაიცემოდა დიპლომები. რა შედეგი მოჰყვა საქართველოში "ექსტრასენსების"გამრავლების ინდუსტრიას? ბიოველით მკურნალობისადმი ყურადღების ამაღლების ნაცვლად, თავად მეთოდის შესაძლებლობების დისკრეტიდაცია მოჰყვა. და ამიტომ არაკეთილმოსურნეთა მხრიდან "სატანის" იარლიყიც შედარებით ადვილად მიეწეპა!

### როგორ იქცა ჰერმეტული მეცნიერების ეზოთერული ცოდნა სამეცნიერო ცდისეულ ჭეშმარიტებად

ყოველივე ის, რაც ზემოთ გვქონდა პრიმიტიულ დონეზე "გამოკვლეული", აღმოსავლეთის მუდმივად დახშული ეზოთერული ფილოსოფიური სკოლებისათვის ყოველთვის წარმოადგენდა პირველად უტყუარ ჭეშმარიტებას. რადგან ევროპული სტილის ცნობიერება აღმოსავლური ცოდნის ჰერმეტიულობას ვერ ეგუებოდა, მე-19 და მე-20 საუკუნის მიჯნაზე ევროპული ცივილიზაციის სააზროვნო ორბიტაზე დაიწყო ამ ინფორმაციის გაჟონვა, მაგრამ ძირითად ცნებებშიც კი დამახინჯებული ფორმით. ერთ-ერთი გახლდათ დოქტორი შტაინერი, რომელმაც, აღასრულა რა მასზე დაკისრებული მისია (როგორც თავად თვლიდა), აღმოსავლეთის ჰერმეტული სკოლების გამოცდილება და ცოდნა საშუალო მკითხველისათვის მისაწვდომი გახადა. ამ ლიტერატურამ ღვთიურ საიდუმლოებათა ზედმიწევნით კონკრეტულად ცოდნის შეძენის მსურველთა საკმაოდ სოლიდური ფენა მიიზიდა, სალონური ეზოთერიზმის დონეზე შტაინერის ქართველი მიმდევრები ამრავლა. ამას კი, შტაინერისტობით გაამაყების, "ელიტარულ საზოგადოებაში" უპირატესობის მოპოვებისა და რეალური ცხოვრებიდან მოწყვეტის გარდა არაფერი მოჰყოლია.

დოქტორის მოღვაწეობის ჩართვა ჩვენს კონკრეტულ თემატიკაში მხოლოდ იმის დასაფიქსირებლად დაგვჭირდა, რომ ის ძირითადი, რაც სამყაროს ხედვის აღმოსავლური სკოლისათვის ქვაკუთხედს წარმოადგენდა, შტაინერმა თავის თეოსოფიურ ტრაქტატებში ევროპამდე

# მართლმადიდებლობა და მედიცინა ანუ ვისთან იმალება "სატანა"?

B6 გვერდიდან

ვერ ჩამოიტანა. ადამიანის შემადგენელ ღვთიურ კომპონენტებში მას გონიც "გამორჩა" და სასიცოცხლო ენერგიაც!

### მეცნიერული მიღწევები სასიცოცხლო ენერგიის მისადგომებთან

ახლა კი დოკუმენტურ ინფორმაციას მოგაწოდებთ მასზე, თუ როგორ და როდის დაადასტურა მეცნიერულმა ექსპერიმენტმა ცოცხალ ბუნებაში ენერგიის არსებობა.

1) გასული საუკუნის სამოციან წლებში მეცნიერებისათვის უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა განხორციელდა სტავროპოლში, რაც ცოლ-ქმარი "კირლიანების ეფექტის" სახელით არის ცნობილი. ქვემოთ წარმოდგენილია კირლიანების მიერ გადაღებული ფოტოები ხელის თითებიდან გამოსხივებული ენერგეტიკული ნათებისა (ფიგ.1), რაც, რასაკვირველია, პირველი მეცნიერული დადასტურება იყო დიდი ხნიდან ცნობილისა!

ამ ფოტოებზე, ჩემი აზრით, გაცილებით მნიშვნელოვანი მეცნიერული აღმოჩენაა დადასტურებული, ვიდრე ადამიანის თითებიდან "ბიოველის" ნათება. ამ ეფექტის ახსნა არც თავად კირლიანებს და არც შემდეგ ეფექტის შემსწავლელ მეცნიერებს უცდიათ, მისი მატერიალისტური პოზიციიდან აუხსნელობის გამო! ყურადღებით დააკვირდით ფოტოს, რომელზეც ჭინჭრის ფოთლის ენერგეტიკული ნათებაა დაფიქსირებული. თავისთავად იბადება შეკითხვა, რატომ არის ნათება შემორჩენილი იმ ზონაში (A), რომელიც ფოთლიდან მოწყვეტილ ნაკვეთზეც ვრცელდება თანაბარი ინტენსივობით და ფოთლის პირვანდელ კონტურს აფიქსირებს? ისევ "მეცნიერულად აუხსნელი "სასწაული"? თანაბრად ამისა, მოჭრილი თითის პირვანდელ კონტურზეც ხომ დავინახავდით ნათებას?

ამ ფაქტს მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ: ენერგეტიკული ნათება ბიოლოგიური ობიექტის ფიზიკური სხეულის თვისებას არ უნდა წარმოადგენდეს! ეს ფაქტია, მაგრამ, მაშინ რა უნდა იწვევდეს ნათებას? წინასწარ ვგრძნობ რა ირონიულ ღიმილს "ყოვლისმცოდნე", ქვანტური მექანიკის კურსჩაბარებულ ურწმუნო მეცნიერთა მხრიდან, მაინც მინდა გამოვთქვა მოსაზრება, რომ საქმე უნდა გვქონდეს ეზოთერული მეცნიერების კიდევ ერთი ფენომენის მეცნიერულ ექსპერიმენტულ დადასტურებასთან - ფიზიკურ სხეულზე ანალოგიური ეთერული სხეულის არსებობის შესახებ! როგორც ელექტრომაგნიტური ,ბიოელექტროაგნიტურიტალღისა თუ აზრის ურთიერთმიმოქცევაც უხილავ და ხილულ სამყაროს შორის სწორედ ამ გარემოში ხორციელდება. ეს ცოდნაც ხომ აღმოსავლური სამყაროს ხედვის ანბანური ჭეშმარიტებაა!

ჰიპოთეზის დონეზე მიმაჩნია, ყოველ ჩვენგანის თავის ტვინში უნდა არსებობდეს უზენაესი გონიდან მართვადი ორგანო-ბიომოდულატორი", რომელიც ტრანსცენდენტიდან შემოსულ აზრობრივ თუ ხატოვან შეტყობინებებს ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემასთან თავსებადად და შესაბამისად, გრძნობათა ორგანოებისთვის აღქმადად გარდაქმნის. ასევე პირიქით ,იგი ტრანსცენდენტში აზრობრივი შეღწევის, უხილავ სამყაროსთან ურთიერთობის ბიომექანიზმს უნდა წარმოადგენდეს. თუ აზრს განვიხილავთ, როგორც უცნობი სიხშირისა და ინტენსივობის რხევას, გარემო, რომელშიც ყოველივე ეს ხორციელდება, ყოვლისმომცველი და მატერიაში ყოვლისგამჭოლი ე.წ. "ეთერია". ბიომოდულატორი მრავალ ინდივიდს ბუნებრივად გააქტივებული სახით ეძლევა ნათელაზროვნების თუ ნათელხედვის ფენომენის სახით. ამ ორგანოს გააქტივების ინტენსივობა, ჩემი რწმენით, უხილავი სამყაროდან უნდა იმართებოდეს (გამოცხადების სასწაული). "ბიომოდულატორის" გააქტივებას ხელოვნურადაც აღწევენ სხვადასხვა ხერხით, მაგრამ ეს მეტად საშიში გზაა. ფიზიკოსებმა მათთვის აპრიორულად დაშვებულ, "ეთერად" წოდებულ გარემოს (აღმოსავლური სამყაროს ტერმინით-"თხელი მატერია") ბოლო დროს დასახელება შეუცვალეს და "ფიზიკური ვაკუუმი" შეარქვეს. ეს ის გარემოა, სადაც უცნობი კანონზომიერებით, ღია კონტურით თანაბრად ვრცელდება ელექტრომაგნიტური ტალღა, აზრი თუ ბიოგამოსხივება!

2) მსოფლიოშია ცნობილი რუსეთის აკადემიის აკადემიკის გულიაევის 1982-1987 წლების აღმოჩენა ცოცხალი ორგანიზმის თვისებაზე "გადასცეს ბიოლოგიური ინფორმაცია სხვა ორგანიზმებს ბიოელექტრომაგნიტური ველების საშუალებით". ესეც უძველესი აღმოსავლური ცოდნის კიდევ ერთი მეცნიერული დადასტურებაა (სანსკრიტულ ენაზე მას ეწოდება "ვრიტი").

### ცნობები თანამედროვე სამედიცინო "ეზოთერული ტექნიკის" შესახებ!

1) ქვემოთ მოყვანილია ამ სტატიის ავტორის დიაგნოსტიკური შარავანდედი და თითების გამოსხივება კომპიუტერულ ბლანკზე! ეს ის საყოველთაოდ ცნობილი აღმოსავლური აურაა (ფიგ. 2), რომლის შესახებ ქრისტიანულ დოგმატიკაში საერთოდ არაფერია თქმული! გამოსხივების დაფიქსირება შესრულებულია რუს გამომგონებელ კოროტკოვის აპარატის მიერ! ორი მათგანი თბილისში მოქმედებს სამედიცინო დაწესებულებაში.

2) ასევე, მსოფლიოში ცნობილია გერმანელი მეცნიერის ფოლის დიაგნოსტიკურ-სამკურნალო აპარატი, რომლის პრინციპი მთლიანად დაფუძნებულია ადამიანის სხეულში არსებულ ენერგეტიკული ველის აქტიურ "ჩინური" წერტილების პოტენციალთა მონაცემებზე. ეს აპარატიც თბილისში მეტად გავრცელებული და გამოყენებულია!

პატივცემულო ღვთისმსახურნო, რა ვქნათ ახლა, სამედიცინო ტექნიკის მიღწევები "სატანურ" აპარატებად გამოვაცხადოთ? ავუკრძალოთ მრევლს მათი გამოყენება თუ რა? ეს ხომ იგივეა, ორთქლმავალს "ეშმაკის მანქანით" რომ მოიხსენიებდნენ ეკლესიური ურწმუნონი, ხოლო ჭექაქუხილს წმინდა ელიას ცის გუმბათებზე ეტლით გასეირნებით ხსნიდნენ!

მართლმადიდებლური ეკლესიის დამკვიდრების დღიდან სამღვდელოების უპირველესი დანიშნულება სულთა გადარჩენისათვის ლოცვაა და არა ხორცის მკურნალობის მეთოდოლოგიათა განსჯა და სულისათვის ესოდენ, არცთუ უსაფრთხო, შეფასება! თქვენს პირდაპირ დანიშნულებას საერო საქმიანობაშიც შეუცდომლის ამპარტავნობით ნუ წაშლით!

სხვათაშორის, ცნობილი ფაქტია, რომ სულით ავადმყოფები ე.წ. "ბიოველით" მკურნალობას არ ემორჩილებიან! მათი მკურნალობა მხოლოდ ხელდასხმულთა ლოცვას ექვემდებარება, შველა კი უხილავი სამყაროდან მოდის. ასეთ მკურნალობას სულით მკურნალობა ეწოდება. სულით ხორცის (ცოცხალი მატერიის) მკურნალობა უმაღლესი ნეტარების შეგრძნებით მიმდინარეობს, მაგრამ ხორცით სულის მკურნალობა ისეთივე აბსურდია, როგორც მისი დარგი ფსიქიატრია, სადაც მეცნიერები ხილვას ილუზიას არქმევენ, გამოცხადებას ჰალუცინაციას და რომლის ერთადერთი იარაღი ცენტრალური ნერვული სისტემის დათრგუნვაა! სულით მკურნალობა სრულდება სამკუთხედით: ავადმყოფი-მლოცველი-უხილავი მკურნალი და მას არავითარი საერთო "ბიოველთან" არ აქვს! მაცხოვარი კი არ მკურნალობდა, ბატონო ღვთისმსახურნო, მისი სურვილი სულიწმინდით მყისიერად აღესრულებოდა! დღესაც, საქართველოს მორწმუნეთა შორის, ფართოდ ცნობილნი არიან ნამდვილი სულით მკურნალი მოძღვარნი, რომელთა ლოცვა (სიკვდილის შემდეგაც კი) უხილავ სამყაროში შესმენადია! ყველა დანარჩენი ხერხი მკურნალობისა, მათ შორის სიცოცხლის შემადგენელი ბიოენერგიით, კაცისგანაა!

ბატონო მართლმადიდებელნო! საღვთისმეტყველო ორთოდოქსობა, რასაკვირველია, საუკეთესოა მსოფლიო რელიგიათა მთელი სპექტრიდან, იმდენად, რამდენადაც არავითარი ახალი ინფორმაცია ღმერთის არსის შესახებ, უკანასკნელი 2000 წლის მანძილზე კაცობრიობისთვის არ გაუმეტებიათ. სხვა საქმეა, როცა "უფლებათა უფლის" (რუსთაველი) უხილავი ნებით განპირობებულ, საკაცობრიო პროგრესის, პირადად თქვენთვის ამოუცნობ მიღწევებს "სატანის კალათაში" ყრით, ამასთან, შეუცდომელი ორთოდოქსის პოზით ეს ხომ ნებისმიერი რელიგიის მოძღვართა პრიმიტიული ქედმაღლობაა.

და ყოველივე ეს ხდება დღეს, როცა თანამედროვეობას წილად ხვდა ბედნიერება, თავი იმ მოვლენების თანამედროვედ ჩათვალოს, როცა პოსტნეოკლასიკურმა მეცნიერებამ როგორც იქნა ტრადიციული აზროვნების შეზღუდულობისა და ტექნოგენური აგრესიულობის ზღუდე გადალახა, სამყაროს ხედვის ერთიან, სრულყოფილ, ჰარმონიულ მოდელს მიადგა და აღმოსავლური, ათასწლეულობით დაგროვილი ემპირიული სიბრძნის მეცნიერული, ცდისეული აღქმა დაიწყო, ტაბუდადებული "მისტიკა" თვალსაჩინო რეალობად გახადა, ყინულმჭრელივით შეიჭრა იგი უხილავ სამყაროს საკრალურ ველში, ხავსმოკიდებული დოგმები ცრუმორწმუნეობაში გადაიყვანა, რელიგიურ დემაგოგიად წარმოადგინა, დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის საიდუმლო მოძღვრებანი ყველასათვის ხელმისაწვდომ ექსპერიმენტში გადაიყვანა! არა მარტო გზა გაუკაფა მეცნიერებისა და რელიგიის მიახლოებას, არამედ მეცნიერება ეკლესიაზე მეტად რელიგიური აღმოჩნდა. არსებული ხელსაწყოების დონეზეა ყოველივე ეს წარმოდგენილი დღეს თუ კვლავ თვალები დავხუჭოთ? არ შევეწვდეთ შემეცნებით მას, თუ რა ხდება? ღმერთის არსებობის პრაქტიკული დადასტურებაა ეს, თუ ორთოდოქსთა მხრიდან აბსოლუტის ფაქტობრივი უარყოფა? კარგად მაქვს რა გაცნობიერებული ჩემი ინიციატივის უხერხულობა, თანამედროვე მეცნიერული ფაქტები მაიძულებენ, ამ თემაზე ხმამაღლა ვილაპარაკო. რასაკვირველია, განკითხვა ჩემი საქმე არ გახლავთ, მაგრამ არც თემაა საეკლესიო დაარც რელიგიის მესვეურთა მიერ თემის საკუთარ "კომპეტენციაში" ხელოვნურად მოქცევაა მისაღები. მათი "მოღვაწეობა" მთლიანად საზოგადოებაში და, განსაკუთრებით კი მრევლთა წევრებში, მათ ოჯახებში, სულიერი სიმყუდროვის აშკარა და სტაბილურ დარღვევას იწვევს. ვაცხადებ, რომ ამაზე მიუტევებელი საეკლესიო ცოდვა ძნელად თუ საძებნია, ხოლო ასეთის ქადაგება კი ბუნებით ანტიეკლესიურია! ოჯახი, ადამ და ევადან მოყოლებული, კაცობრიობის სიცოცხლის შესანარჩუნებელი, უპირველესი, ყველაფერზე მაღლა მდგომი ღვთიური ერთობაა, თვით რელიგიურ პრინციპებზე უზენაესი, რასაც თავიდანვე განმარტავდნენ მოციქულნი და წმინდა მამები! უკუნისს არავითარი რელიგია არ ესაჭიროება!

ყოველივე თქმულის შემდეგ ფრიად უცნაურად მეჩვენება ერთი გარემოება. ჩვენ მიერ ზემომოყვანილი მეცნიერულ-ტექნიკური ფაქტები ოცი-ოცდაათი წლის წინათ იყო ცნობილი და საშუალოდ განათლებული სამღვდელო პირისთვის სიახლეს აღარ უნდა წარმოადგენდეს. მაშ რაშია საქმე? რატომ არ უნდა აძლევდეს ხელს მეცნიერული ფაქტობრივი მონაცემების რწმუნება იმ კონკრეტულ საეკლესიო პირთ, რომელნიც ასეთი, უკიდურესად აგრესიული ქადაგებებით არიან დღეს დაკავებულნი? ან თუნდაც მათი პოზიცია, ვისთვისაც ცნობილია მოყვანილი ჭეშმარიტებანი, უხმოდ იზიარებენ (ასეთებიც შემხვედრია) და არ ეწინააღმდეგებიან ცდუნებულთ და შეგუებულ შუასაუკუნეობრივ ბნელეთში ამჯობინებენ ყოფნას. იქნებ ჩემმა "საჯარო აღსარებამ" მაინც გაათამამოს ისინი და თემას გამოეხმაურონ, ვინაიდან განსახილველი საკითხი და მასთან დაკავშირებული მრავალი პარალელური თემა სასულიერო პირთა და სალონურ ეზოთერიზმის მოდას აყოლილთა შორის სრულიად ვირტუალურ დონეზე რჩება და საზოგადოებრივ აზრდაბნევას იწვევს, აუცილებლად მიმაჩნია თემის საჯარო განხილვა და ქართული ეკლესიის წამყვან მოძღვართაგან ოფიციალური, ხმამაღალი აზრის მოსმენა.

სინანულითა და უკანასკნელი იმედით: გაიოზ ერაძე

**P.S.** რადგან უკანასკნელის იმედი მაინც ნაკლებად მაქვს, საზოგადოებრივი ფსიქოლოგიის ფარგლებში თავად შევეცდები გავერკვე, რა სახის მოვლენასთან შეიძლება გვქონდეს აქ საქმე, განზოგადოებულად შემოთავაზებული თემგარეშე დამატებით.

### ფანატიზმი და ინსპირირებული ფანატიზმი (დამატება)

ზოგადად ითვლება, რომ ქვეყნიერებაზე არაფერი არსებობს უარესი, რასაც ფანატიკოსნი არ მოიმოქმედებენ იმ შეხედულებათა სახელით, რომელსაც ისინი ბრმად თვლიან ჭეშმარიტებად. და მაინც, ფანატიკოსებისადმი დამოკიდებულება არცოდნა-არცოდვის პრინციპის მოშველიებით მიმტევებლურია, თავისებურ "ნეტარებად" შეირაცხებიან და დედამიწაზე ცოდვები ნაკლებად განეკითხებათ.

შედეგით ასჯერ უარესია ადამიანთა მიერ ფანატიზმის ინსპირირება (ვფიქრობ, სტალინიც ამ კატეგორიას მიეკუთვნებოდა). ასეთ შემთხვევებში ფანატიზმის საგანი თავად გვევლინება თავშესაფრის ობიექტად. რაც უფრო წმინდაა და მასშტაბური თავშესაფრის საგანი, მით უფრო მძიმე შედეგი მოაქვს მას თავშეფარებულთათვის. ყველაზე მასშტაბურ სათავშესაფრო ობიექტებს თავისუფლება, მშვიდობა თუ ღმერთი წარმოადგენს. თავისუფლების ცნება, განყენებულად, კაცობრიობის ქვეცნობიერი ჩრჩილია. რაც კი მასშტაბური სამარცხვინო უბედურება დატყდომია თავს მსოფლიო ისტორიას, მას ინიციატორთა ინსპირირებული ფანატიზმი ედო საფუძვლად. მათ შორის ბოლო იყო საყოველთაო უღმრთო თანასწორობის იდეა. იცით რამდენი მიუტევებელი სისხლიანი ბოროტება მოუტანია კაცობრიობისთვის პირჯვარმწერ ურჯულოებს, ღმრთის სახელით განხორციელებულ ინსპირირებულ ფანატიზმს. რა ძალა უბიძგებდა და უბიძგებს პიროვნებებს ინსპირირებული ფანატიზმისაკენ? ფორმულის სახით - არარაობიდან გაღწევის შეუძლებლობის ქვეცნობიერი შიშის შიში, კაცობრიობის სუსტი უმრავლესობის სახასიათო კოდი, როცა ადამიანის თავისუფალი გონი სულის მომსახურებაზე უარს აცხადებს.


სახელი
მისამართი
გვარი
ასაკი
საკონტაქტო ტელეფონის ნომრები
სიმაღლე

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

8 თქვენი ინტერესები

2 შვილები: (თუ გყავთ)

9 თქვენი ჰობი

3 პროფესია :

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა__________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გსურთ, დაგიკავშირდეთ?

თქვენი ფოტოსურათი


## TV პროგრამა

12 მაისი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ადამიანი-ობობა **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** ხალხის პირისპირ **22.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "კოლმეურნეობა ინტერტაიმენტი" **15.25** სერიალი "ზევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ადამიანი-ობობა **18.30** პატრული **19.00** დოკ. ფილმი "პატარა ანგელოზები" **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ვის უნდა 50 ათასი **23.00** სერიალი "მატრიოშკები" **00.00** მხ. ფილმი "ფანი კემბლის ისტორია" (18) (ჯეიმ სეიმური) **02.10** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "პირველი ოლიმპიელი" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "მეფე არტური" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" აზერბაიჯანულ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "ბიოგრაფიული პორტრეტები" **16.30** დოკ. ფილმი "ველური ინდონეზია" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "კამელოტის ქალები" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "შედევრის პირადი ცხოვრება" **23.00** მედიატორი **23.30** ქართ. ფილმი "ბაში-აჩუკი" (გ) **02.00** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "დევნა" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** "დები ტრევისის საოცარი სახლი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "და აი ჩვენ შევხვდით ისევ", "მიხო და ორი მარო", "გელინო" **00.00** მხ. ფილმი "ჩემი უკანასკნელი ტანგო" (გ) (სარა მონტელიე)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ზღვების რაჯა" **19.50** "ბაბილინა" **20.05** დოკ. სერიალი "სიცოცხლე ტყავის, ბუმბულისა და ბეწვის ქვეშ" **20.30** დოკ. სერიალი "ევროპის ახალი სახე" **20.55** დოკ. ფილმი "მითის ხელოვნება" **21.45** კინოსეანსი "ცეცხლთან თამაში" 1-ლი ს.

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "მშვიდობით მე-20 საუკუნევ" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **12.20, 17.10, 02.40** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 01.15** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ერთი ბელურას ამბავი" (გ) **15.00, 16.45, 18.00, 19.00, 22.00, 01.15** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** ერთხელ ჰოლივუდში **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.25** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.55** "ათასიდან ერთი შანსი" **23.25** მხ. ფილმი "ჩვეულებრივი გოგონები" (12) (კ. მაკორმაკი) **02.00** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** მუსიკა **10.30** დოკ. ფილმი **11.40** სათავგად. ფილმი "პიტერ პენი" **13.30** მუსიკა **14.30, 17.30, 20.30** ახალი ამბები **15.00** მხ. ფილმი "სიყვარული წესებით და წესების გარეშე" **18.10** მულტფილმი **18.30** ნოვოსტი **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** "ფეხბურთი და ჩვენ" **22.35** "საგამომცემლო სიახლენი" **23.15** "ექსკლუზივი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** კომედია "საყიდლები გვიან ღამით" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Многос. фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Утиные истории". **12.20** Татьяна Догилева в фильме **"СТРЕЛЕЦ НЕПРИКАЯННЫЙ 14.00** "Идолы". Карел Готт. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Детективный сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **19.50** Многос. фильм **"МОЯ ГРАНИЦА". 21.00** Время. **22.40** Тайны века. "Русская любовь Кристины Онассис". **23.30** Ночное "Время". **00.00** Теория невероятности. "Как преодолеть депрессию". **00.40** Гении и злодеи. "Мастер и три Маргариты". **01.10** Дензел Вашингтон в фильме **"УРАГАН".** Есть люди, которым в жизни всегда сопутствует удача. Про них говорят - "везунчики". Знаменитый чернокожий боксер Рубин Картер по прозвищу "Ураган" оказался не из их числа. Хотя вершина славы была совсем близко. Ураган победил чемпиона мира в среднем весе. Ему пророчили блестящую карьеру и звание чемпиона мира. Но судьба распорядилась иначе. Вместо пьедестала Картер оказался в тюрьме за преступление, которого не совершал. Его обвинили в тройном убийстве и приговорили к трем пожизненным заключениям. **04.00** Питер МакНикол в триллере **"ПОБЕДИТЕЛЬ ДРАКОНА".** Злой и коварный Дракон пожирает девственниц королевства, которых ему выбирают по жребию. Старый волшебник и его молодой ученик решают убить Дракона, чтобы спасти от неминуемой гибели очередную невинную жертву - дочь самого короля..

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **08.55** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 2**-я с. **10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** Сегодня. **10.15** Тайны разведки. **10.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Детективный сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..". 13.30** Чистосердечное признание. **14.00** Надежда Горшкова в фильме **"В МОЕЙ СМЕРТИ ПРОШУ ВИНИТЬ КЛАВУ К." 15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ЭПИДЕМИЯ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Детективный сериал **"КОРОЛЕВСТВО КРИВЫХ..". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ПОРТРЕТ БАРОНЕССЫ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** "К барьеру!" Ток-шоу Владимира Соловьева. **00.15** Сериал **"ТАКСИСТКА-2". 01.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ". 02.35** Бильярд. **03.10** Тери Поло в мелодраме **"КОЛЕСО СУДЬБЫ". 1**-я с. Молодая женщина Тана ищет свое место в жизни. Отношения с матерью не согрели семейной теплотой, ухаживания друга детства Гарри она отвергла, и воспылала чувствами к его отцу. Но разница в возрасте и мировоззрении сыграли свою роль. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ".**

# "ჰონდა სივიკი" ფინჯანი ყავით

## შეჩვევა, რომელიც აკვიატებას იწვევს



"სთარბაქსის" ყავა მისწრებაა, როცა აეროპორტში ხარ, ერთი ტერმინალიდან მეორემდე გასარბენად რამდენიმე წუთი გაქვს და დაღლილ-დაქანცული ძალების აღდგენას ძლიერი არომატის მქონე ყავით ცდილობ; ყავით, რომელსაც "მაკდონალდსისა" და სწრაფი კვების (სმის) პრინციპით გიდუღებენ, მუყაოს ფინჯანში გისხამენ და უხეშად გაჩეჩებენ, მერე დაძაბული სახით, რიგში თქვენს უკან მდგომს მიმართავენ: "შემდეგი". ასეთი "მაკდონალდსური" გარემოს მიუხედავად, "სთარბაქსის" ყავა მაინც მისწრებაა იმიტომ, რომ გემრიელია, ხარისხიანია და პოპულარულია.

ის მისწრებაა მაშინაც, როცა ტურისტი ხარ, უცხო ქალაქის დათვალიერებაში ძალა გერთმევა და ენერგიის აღდგენას ისევ "მაკდონალდსის" პრინციპით - მუყაოს ფინჯანში სწრაფად ჩამოსხმული ყავით ცდილობ.

მაგრამ არის ერთი ახალგაზრდა კაცი ჯონ ვინტერ სმიტი, რომლისთვისაც "სთარბაქსი" მხოლოდ მისწრება არაა. მისთვის ყავის ეს ცნობილი ამერიკული სავაჭრო ნიშანი აკვიატება უფროა. სილვერ სპრინგელი სმიტი უკვე რვა წელია ერთადერთი მიზნით ცხოვრობს: სურს, "სთარბაქსის" ყველა რესტორანში გასინჯოს ყავა.

თითქოს არაფერი, მაგრამ რიცხვებს რომ გადავხედავთ, ვირწმუნებთ, რომ "სთარბაქსის" ყავის გასასინჯად ჯონ ვინტერ სმიტს ასობით ქალაქის მოვლა დასჭირდება. ის უკვე ნამყოფია 4500-მდე რესტორანში ჩრდილოეთ ამერიკაში და 213 "სთარბაქსში" - ოკეანის გადაღმა. თუმცა, წინ კიდევ გრძელი გზა უდევს.

მაინც რამდენი? ალბათ, ამერიკაში 100-200 ცალი დარჩა, საზღვარგარეთ კი ასობით მეტი. მაგრამ მიზანი სმიტისთვის იმდენად დიადია, რომ შეჩერებას არ აპირებს. ეცდება, მსვლელობა "სთარბაქსის" გემოს სრულად გასათავისებლად ბოლომდე მიიყვანოს. ჯერჯერობით, ის ახერხებს სამსახური და აკვიატება ერთმანეთს შეუთავსოს. კომპიუტერების პროგრამისტობას ხომ ყავის სმა ხელს არ უშლის. ასე რომ, ჯერჯერობით, ყველაფერი კარგად არის.

"სთარბაქსს" კი ჩრდილოეთ ამერიკაში 4.525 მაღაზია აქვს, საზღვარგარეთ - 1018. მაგრამ წლის განმავლობაში ქსელი უნდა გაფართოვდეს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დამატებით 1500-მდე მაღაზია უნდა გაიხსნას. ე.ი. დაახლოებით ასეთი ინტენსივობით - დღეში ოთხი. ანუ, გამოდის, რომ სმიტის მიზანი რთულდება. რომ ეგონა, ფინიშს ვუახლოვდებიო, "სთარბაქსმა" ახალ-ახალი სამიზნეები გაუჩინა. და რაც უფრო გართულდა მისი ამოცანა, მით უფრო მეტად დაინტერესდა ამ უცნაური ახალგაზრდა კაცით პრესა.

"ბალტიმორ სანთან" საუბარში ის იხსენებს: 1997 წელი იყო, ჰიუსტონში, ჩემს მშობლიურ ქალაქში, "სთარბაქსის" კაფეში მეგობართან ერთად ვიჯექი და მშვიდად ვსაუბრობდით. "სწორედ ამ საუბრის დროს, სრულიად გაუაზრებლად და მოულოდნელად დამებადა იდეა, რომელმაც შემდეგ უამრავი ქალაქი მომატარა".

პირველად სმიტი ცდილობდა, ყველა ის ადგილი მოენახულებინა, რომელზეც "სთარბაქსის" ლოგო იყო გამოფენილი. მაგრამ მერე მიხვდა, რომ აეროპორტების კიოსკებსა და სასურსათო მაღაზიებში შესვლა არ ღირდა - ამ ადგილებს "სთარბაქსის" კაფეებთან არაფერი ჰქონდათ საერთო, ისინი ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს და თან არც "სთარბაქსის" მფლობელობაში შედიოდნენ. ასე რომ, სმიტმა გაამარტივა საკუთარი მიზანი და გადაწყვიტა, შესულიყო მხოლოდ იმ კაფეებში, რომელთაც "სთარბაქსი" ფლობს.

სტუმრობა მხოლოდ მაშინ ითვლება სტუმრობად, როცა სმიტი ერთ ფინჯან ყავას მაინც მიირთმევს. ფაქტობრივად, სმიტი სწორედ ამ ფინჯანი ყავების კოლექციონერია. ზოგი ხომ მარკებს აგროვებს, ზოგი - მონეტებს, ზოგი - როგორც თვითონ ამბობენ, მეგობრებს და შთაბეჭდილებებს, სმიტი აგროვებს "სთარბაქსის" ყავის არომატებს. ხანდახან შინ ფინჯნებიც მიაქვს და მათგან პატარ-პატარა მინიმალისტურ სკულპტურებს აგებს.

"რომ მთხოვოთ, ერთი სიტყვით გადმოვცე ეს ყველაფერი, მოგახსენებთ, რომ ეს მოგზაურობაა. გზებზე ხეტიალი ხომ საკულტო ამერიკული ფენომენია", - ამბობს ის.

სმიტი 1997 წლის "ჰონდა სივიკით" დაქრის ამერიკულ გზებზე შტატიდან შტატში და შესვენებებზე ყელს "სთარბაქსის" ცივი ყავით იგრილებს ხოლმე. მხოლოდ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მის "სივიკს" 70 ათასი მილი აქვს გავლილი. გაზაფხულზე ის მთელი 11 დღის განმავლობაში მოგზაურობდა სამხრეთში, ეძინა მანქანაში და სვამდა ყავას.

"სიმართლე რომ გითხრათ, სულაც არ ვიღლები. მთელი ეს პროცესი ძალიან საინტერესო და სახალისოა. ვისწავლე, თუ როგორ წავიდე იმაზე უფრო შორს, ვიდრე შინაგანი საზღვრები მომცემს ამის ნებას. ვისწავლე, როგორ გადავაჭარბო საკუთარ შესაძლებლობებს", - დასძენს ის.

სმიტს ცხადია, გამორჩეულად საყვარელი "სთარბაქსებიც" აქვს, ერთ-ერთი ასეთია - ტოკიოს გასართობ პარკში გახსნილი კაფე. წელს ის კალიფორნიისკენ აპირებს გეზის აღებას, სადაც ასევე უამრავი კაფე დახვდება.

"სთარბაქსის" წარმომადგენელი სმიტის უცნაურ აკვიატებას იწონებს და აცხადებს: "მართლა საოცარია, თუ როგორი სიყვარული აკავშირებს მას ჩვენი ყავის მიმართ".

სმიტი კი დასძენს: "მე სარეკლამო მიზნები არ მამოძრავებს. უბრალოდ, მიყვარს მათი ყავა. მას ძალიან სავსე გემო აქვს. და შევეჩვიე".

# ქართული აუთენტურობა

## მოისმინეთ "მთიები" - ქართული თვითმყოფადი ფოლკლორი

ია ვექუა



იური ლობოდინის ფოტო

გუშინ კონსერვატორიის დიდი დარბაზის აუდიტორიის ნაწილს დაახლოებით ისეთივე რეაქცია ჰქონდა, როგორიც ბუშს ძველ თბილისში მროკავი ქართველების დანახვაზე. ანსამბლებმა "მთიებმა" და "ამერ-იმერმა" საზოგადოებას მორიგი აუთენტური საღამო აჩუქეს. ფოლკლორის ამ ჟანრის განსაზღვრებას ქვემოთ შემოგთავაზებთ, მანამდე კი ცოტა რამ ანსამბლების შესახებ.

ეთნომუსიკის თეატრი "მთიები" წელს 25 წლის ხდება. მის რიგებში დღემდე მღერიან ის შემსრულებლები, რომლებთან ერთად ცნობილი ეთნომუსიკოლოგი ედიშერ გარაყანიძე ამ მიმართულებას საძირკველს უყრიდა. საყმაწვილო ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული სტუდია "ამერ-იმერი" 15 წლის წინ შეიქმნა და პატარებს მშობლიური ფოლკლორის გარდა იმ წესჩვეულებებსა და ტრადიციებსაც აზიარებს, რომლებიც ყოფაში, პტრაქტიკულად, აღარ არსებობს.

აუთენტური ფოლკლორი ხალხური შემოქმედების ის ნაწილია, რომელმაც ჩვენამდე ხელუხლებლად, თვითმყოფადი სახით მოაღწია. სწორედ ასე მღერიან, შაირობენ, ცეკვავენ და თამაშობენ საქართველოს სოფლებში გლეხები მოსავლის აღებისა თუ სხვადასხვა დღესასწაულებების დროს. აუთენტური ფოლკლორის პოპულარიზაცია ედიშერ გარაყანიძის სახელს უკავშირდება, რომელმაც თითქმის მთელი საქართველო შემოიარა და გლეხებისგან ქართული ფოლკლორისთვის ადრე უცნობი უამრავი ნუმუში ჩაიწერა. გარდა ამისა, ედიშერ გარაყანიძემ პირველმა აღადგინა საქართველოს ფოლკლორი ამჟამად თურქეთის კუთვნილ ტერიტორიაზე. დღეს აუთენტურ ფოლკლორს იშვიათად შეხვდებით. მისი მცირედი ნიმუშები სვანეთსა და ნაწილობრივ, რაჭაშია შემორჩენილი.

გარკვეული მასალის დაგროვების შემდეგ ედიშერ გარაყანიძემ ანსამბლი "მთიები" შექმნა. დღეს "მთიებს" მისი შვილი, გიორგი გარაყანიძე ხელმძღვანელობს, რომელიც ასე იხსენებს აუთენტური ფოლკლორის თანამედროვე საქართველოში დაბრუნებას: "თავიდან მსმენელი რეაქცია არაერთგვაროვანი იყო. ზოგს გაუჭირდა ახალი ჟღერადობისა და შესრულების მანერის მიღება. მათთვის "მთიების" წევრთა ჩაცმულობაც მიუღებელი იყო. სწორედ, ჩვენ გამოვედით სცენაზე პირველად გახსნილი ჩოხებითა და კოპლებიანი გლეხური ხალათებით. თუმცა, სპეციალისტებმა მალე აღიარეს მამას მონაპოვარი და აუთენტური ფოლკლორის უნიკალურობა".

დროთა განმავლობაში, "მთიებმა" მსმენელიც შეიძინა და ფოლკლორისტთა აღიარებაც მოიპოვა. თეატრს ხშირად იწვევენ საზღვარგარეთ გამართულ ფოლკლორის ფესტივალებზე. მარტო ინგლისში, ხალხური შემოქმედების მხრივ საკმაოდ ღარიბ ქვეყანაში შვიდჯერ იყვნენ და ერთ-ერთ კონცერტზე 15-ათასიანი აუდიტორიის შეკრებაც შეძლეს. "მთიებს" ოთხი ალბომი აქვს გამოშვებული. უახლოეს მომავალში კი საგასტროლოდ ლიტვაში მიემგზავრება.

გუშინდელ კონცერტზე "ამერ-იმერმა" ათი საბავშვო და უფროსებისთვის განკუთვნილი რეპერტუარიდან ათი სიმღერა შეასრულეს. ყოველგვარი აკომპანიმენტის გარეშე ჩატარებულმა მათმა გამოსვლამ მსმენელი არა მხოლოდ სიმღერის, არამედ შესრულების ორიგინალური მანერითაც მოხიბლა. მათმა პატარა თეატრალიზებულმა წარმოდგენამ რამდენიმე წუთით გააცოცხლა საუკუნეების წინანდელი ქართული სოფლები და თანატოლებს ძველი თამაშობებიც ასწავლეს.

ასეთივე სანახაობრივი იყო უფროსების - "მთიების" გამოსვლაც. მათ ხატობის, მოსავლისა აღების, ქორწილისა და ბავშვის ავადმყოფობის დროს შესასრულებელი ხევსურული, გურული, კახური, აჭარული, მეგრული და თუშური სარიტუალო-სადღესასწაულო სიმღერები შემოგვთავაზეს.


## სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერთიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო შპს **"ი ელ ელ"**-ი (**ELL. Ltd**) გთავაზობთ სწავლას დიდ ბრიტანეთში.

**ენის სასწავლო პროგრამები:**
- ინგლისური ენა - ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო, 2 - 48 კვირა.
- ინგლისური ენა და დასვენება -საზაფხულო სკოლებში, 2 - 10 კვირა.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა სტაჟირება 2 - 4 კვირა.

**წინა საუნივერსიტეტო მოსამზადებელი პროგრამები:**
- **A-level** 1-დან 2 წლამდე. 16 წლიდან.
- **Foundation** 1 წლით 17 წლიდან (სკოლადამთავრებულთათვის).
- **Pre - MBA** 3 - 6 თვე.

დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:
ქ. თბილისი ი. ჭავჭავაძის N74, მე-5 სართული; ოთახი 503;
ტელ: 22-59-57, 29-91-78 მობ: 899 50-40-12
**E-mail: n_makatsaria@yahoo.com**

თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24







